პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ამერიკელი რედაქტორების საქმე.
- დაიხურა უორკერს პარტის ყრილობა.
- პოლიტიკურ პატიმრების სიმშილობა რუმინეთის ციხეებში.
- განახლდა ჩინეთ - იაპონიის მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად.
- ნანკინის სამხედრო აკადემიის უფროსად [illegible] ნანკინის ჯარების სარდალი შანხაიში ბაი-ცზუნ-ჩი.
- კაიშუს ახლოს (დასავლეთ კორეა) [illegible]. — დაიღუპა 280 კაცი.
- მოსკოვში ჩავიდა ფინეთის მუშათა ექსკურსია.

პარასკევი, 9 სექტემბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 204 (1949)

ჩემბერლენის მოკავშირენი

უკანასკნელი ცნობის თანახმად, ინგლისის ტრედიუნიონების ყრილობამ ხმების უმრავლესობით მიიღო გენერალურ საბჭოს წინადადება ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტის გაუქმების შესახებ. ამგვარად, ინგლისის მუშათა კლასის მოღალატე ზედა ფენები საბოლოოდ და ოფიციალურად გაყვნენ ჩემბერლენს, რომელთაც საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა შეწყვიტეს. ისინი ცდილობენ აღმოფხვრან ორივე ქვეყნის მუშათა მასებ შორის არსებული სოლიდარობა, ამ სოლიდარობის ორგანიზაციული ფორმის ლიკვიდაციით, რომ ამ გზით ინგლისელ იმპერიალისტებს ზურგი გაუმაგრონ მათ ანტი - საბჭოთა კამპანიაში.

ედინბურგის ყრილობის ასეთი აქტი ჩვენთვის სრულებით არ არის მოულოდნელი. გენსაბჭოს უკანასკნელ დროის მთელი „მოღვაწეობა" იქითკენ იყო მიმართული, რომ ნიადაგი მოემზადებინა ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩაშლისათვის. ამ კომიტეტის ინგლისურმა ნაწილმა, გენერალურ საბჭოს კარნახით, ის ფაქტიურად უმოქმედო მკვდარ, ორგანიზაციად აქცია.

მდგომარეობა კი დაჟინებით მოითხოვდა ხსენებული კომიტეტის ამოქმედებას. მემაღაროეთა გაფიცვა და მისი დამარცხება ინგლისში, პროფკავშირების წინააღმდეგ კანონის გამოცემა ბოლდუინის მთავრობის მიერ, ბრიტანეთის იმპერიალიზმის ბრძოლა ჩინეთის რევოლიუციასთან, ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა კავშირთან, კაპიტალისტურ ქვეყნების დამოკიდებულების გამწვავება და ახალი საერთაშორისო ომის საფრთხის მოახლოვება, კაპიტალის სასტიკი პოლიტიკურ და ეკონომიური შეტევა მუშათა კლასზე მთელს მსოფლიოში, — ყველა ეს ფაქტები, რომელთა მოწმენი ჩვენა ვართ, მოითხოვდნენ პროლეტარული რიგების რევოლიუციონურ დარაზმვას. ამ მხრივ ინგლის - რუსეთის კომიტეტს უნდა ეთამაშა მეტად მნიშვნელოვანი როლი როგორც, ამ ორი ქვეყნის მუშების, ისე მთელი მსოფლიო პროლეტარიატის გასაერთიანებლად.

საბჭოთა პროფკავშირების საერთაშორისო პოლიტიკის ქვაკუთხედს სწორედ ეს შეადგენდა. ისინი ყოველნაირად ცდილობდენ ინგლის - რუსეთის კომიტეტის მუშაობის გამოცოცხლებას, რათა მას სათანადო პასუხი გაეცა საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე, დღეს წამოჭრილ საკითხებზე. მაგრამ ეს ჩვენი ცდა აწყდებოდა გენერალურ საბჭოს სისტემატიურ საბოტაჟს, გენსაბჭოს, რომელიც, როგორც ინგლისის კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის აგენტი, სრულებით არ ფიქრობდა იმ ვალდებულებათა შესრულებაზე, რომლებიც მანვე, ინგლისის მუშათა კლასის ზეგავლენით, იკისრა ინგლის - საბჭოთა კომიტეტის დაარსების დროს; ეს ვალდებულება: ბრძოლა ომის საფრთხისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ, მუშაობის წარმოება ინგლის-საბჭოთა მუშათა კლასის დაახლოვებისა და მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისათვის.

გენსაბჭო თავისი საბოტაჟის პოლიტიკით ლამობდა, რათა ჩვენ გადაგვედგა პირველი ნაბიჯი ინგლის - რუსეთის კომიტეტის ჩასაშლელად, რათა ჩვენ მოგვეხდინა მისი ლიკვიდაცია. ამით ის ფიქრობდა პასუხისმგებლობის თავიდან აცდენას, თავის გამართლებას ინგლისის მასების წინაშე და გამთიშველებად ჩვენს გამოყვანას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ასეთ პროვოკაციულ ანკესზე არ წამოვეგებოდით. ეს იქნებოდა დახმარების გაწევა მოღალატეებისათვის გენსაბჭოდან და მათ უკან მდგომ ხიკსებისა და ჩემბერლენებისათვის. ამავე დროს ინგლის - რუსეთის კომიტეტი ჩვენთვის სრულიად არ იყო ბელადების ბლოკი, არამედ საშუალება მასების შესაკავშირებლად და მათ დასაყენებლად კლასობრივ ბრძოლის გზაზე. ამასთან, თავის თავად ცხადია, ინგლის - რუსეთის კომიტეტში ყოფნა ჩვენ ოდნავადაც არ გვიბორკავდა ხელს, რომ გვეწარმოებია გენსაბჭოს მოღალატეობის შეუბრალებელი მხილება. ჩვენ ამ მხილებას ვაწარმოებდით და სიმართლის ხმას ვაწვდიდით ინგლისის მუშათა კლასს რომ ამ გზით ხელი შეგვეწყო მისი გათვითცნობიერებისა და გამცემელ ბელადების გარიყვისათვის.

და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ გენსაბჭო ვერ იტანს ჭეშმარიტ სიტყვას მისი მოღალატეობის შესახებ, ვერ ურიგდება ინგლის-საბჭოთა კომიტეტის მომქმედ ორგანიზაციად გადაქცევის ცდას და თვითონ შლის მას. ამისთვის მას აწვება მთელი პასუხისმგებლობა ინგლისისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

ედინბურგის ყრილობამ გაიზიარა გენსაბჭოს საამისო წინადადება. ეს გასაკვირი არ არის. ყრილობაში მეტ წილად პროფმოხელეები მონაწილეობენ, და არა მუშათა მასის ჭეშმარიტი წარმომადგენელნი. ამიტომ მისი მუშაობა მიდის ერთი მხრით მემარცხენე მოძრაობასთან სასტიკი ბრძოლის და კაპიტალის შეტევის წინაშე ქედის მოდრეკის, მეორე მხრით საბჭოთა პროფკავშირებზე გაბოროტებულ თავდასხმის ნიშან ქვეშ. ედინბურგის კონგრესის უმრავლესობა ასრულებს ბოლდუინის მთავრობის და ბურჟუაზიის დავალებას. ბოლდუინმა გენსაბჭოს მისცა „რჩევა" რომ მას „მრეწველებთან ზავით ჩამოგდების", ე. ი. კაპიტალისტებისადმი მუშათა კლასის დამონების პოლიტიკა ეწარმოებია კონგრესზე, ხოლო ბურჟუაზიული პრესა ხოტბას ასხამდა გენსაბჭოს თავმჯდომარე ხიკსს მისი შტრეიკბრეხერული და ანტისაბჭოთა გამოსვლისათვის და ასკვნიდა, რომ ხიკსის სიტყვის შემდეგ საჭიროა მხოლოდ „კარები გამოეკეტოს მოსკოვის გიჟურ ლათაიებს"-ო ვიმეორებთ, გენსაბჭომ ბურჟუაზიის დირექტივა პირნათლად შეასრულა.

მაგრამ ედინბურგის ყრილობის ნაბიჯი სრულებით არ გამოხატავს მასების განწყობილებას. ჯერ თვით ყრილობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მასზე მეტწილად პროფბიუროკრატები არიან წარმომადგენელნი, მძლავრად გაისმა ხმა ოპოზიციის, ინგლისის მუშათა კლასის რევოლიუციონურად განწყობილ ნაწილის ხმა. ინგლის-რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს 620.000 მუშას დელეგატებმა. ხოლო ინგლისის პროლეტარიატის ქვედა ფენები გულწრფელად არიან მოწადინებულნი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან მჭიდროდ დაახლოვებას და სასტიკად გმობენ გამთიშველებს და მოღალატეებს გენსაბჭოდან. ინგლისის პროფმოძრაობის უმცირესობის უკანასკნელად შემდგარი კონფერენცია ამას მჭევრმეტყველურად ნათელყოფს.

მომავალი ამ მოძრაობას ეკუთვნის. ამიტომაა, რომ გენსაბჭო მას სასტიკად ებრძვის, ვინაიდან იცის, რომ ბოლოს და ბოლოს ის დაიპყრობს მთელ მუშათა კლასს და გამცემელ ლიდერებს თავის საკადრის ადგილს მიუჩენს და მაშინ ინგლისის მუშათა კლასი უეჭველად შესძლებს მკვიდრი კავშირის განმტკიცებას საბჭოთა პროლეტარიატთან. გენსაბჭოს ეხლანდელი ნაბიჯი ამას ხელს შეუწყობს.

მორიგი სერიოზული კამპანია

(უჯრედთა ბიუროების არჩევნების გამო)

საქართველოს ყველა პარტიულ ორგანიზაციებში იწყება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის კამპანია. პარტიულ მუშაობის სწორი ლენინური გზით წასაყვანათ, საბჭოთა აღმშენებლობაში პარტიულ ხელმძღვანელობის კიდევ უფრო განსამტკიცებლად, ორგანიზაციის ქვედა საფეხურების მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ამიტომაა, რომ უჯრედთა ბიუროების არჩევნებს ჩვენ ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდით. მიმდინარე ასეთივე არჩევნები კი გაცილებით დიდ ყურადღებას მოითხოვს.

პარტია უკანასკნელი წლების განმავლობაში და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ ზრდასთან ერთად გაიზარდა მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენების პოლიტიკური აქტივობა. პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სადაც არსებობს დემოკრატია მხოლოდ მშრომელთათვის, ანტირევოლიუციონური ძალების პოლიტიკური „საქმიანობისათვის" მაგრათაა გადარაზული ჩვენი საზოგადოებრივ ასპარეზის კარები. მაგრამ ანტისაბჭოთა ელემენტების იდეოლოგიის გამტარებლათ. ამ ძალების პითიათ, რაც არ უნდა გაიკვირვონ ეს ჩვენმა „მემარცხენე" კრიტიკოსებმა, ნებსით თუ უნებლიეთ გამოდის დღეს პარტიული ოპოზიცია.

„ფართე პარტიული დემოკრატია"-ს, რომელსაც ასე შესტრფის ტროცკისტული ოპოზიცია, პირდაპირი და მოკლე გზით წაგვიყვანდა „დემოკრატიისაკენ საზოგადოთ", ამ სიტყვის მენშევიკური გაგებით. ტროცკისტული დემოკრატია საბოლოო ანგარიშით ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურის ლიკვიდაციას, ის ნიშნავს შეგნებულ პოლიტიკურ თვითმკვლელობას.

ოპოზიციის გალაშქრება მიწის რეფორმის დაკვრითი წესით გატარების წინააღმდეგ 1922 წელში, უარყოფა ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსების, ოპოზიციის მოთხოვნა ბათომის „პორტო-ფრანკოთ" გამოცხადების შესახებ, მისი ცდა საქართველოში საკუთარ ფინანსიური პოლიტიკის წარმოებისა და სხვა მრავალი წვრილ-ბურჟუაზიულ, შოვინისტურ - ინტელიგენტურ იდეოლოგიის მიერ ნაკარნახევი მოთხოვნილებანი, რომელთა სრული უსაფუძვლობა და მავნებლობა უკვე სავსებით ცხადჰყო ცხოვრებამ, ერთხელ კიდევ მოწმობს, ვინ არიან ეს „მემარცხენეთა" სამოსში გახვეული პარტიის „კეთილმყოფლები" და ვინ ლაპარაკობს მათი პირით.

საქართველოს ორგანიზაციამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არა ნაკლებ, ვიდრე სხვა რომელიმე ორგანიზაციამ, გაიცნო ოპოზიციის პოლიტიკურ წოჯიქ - უკუჯიქობა, მან საკმაოთ კარგათ გაუსინჯა კბილი ლენინურ სიწმინდისათვის „თავდადებულ" ოპოზიციონერებს. სწორეთ ამით აიხსნება, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები ერთხმად ჰგმობენ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას და მოითხოვენ ხელმძღვანელ ორგანოებისაგან პარტიის გამთიშველთა სასტიკ პასუხისგებაში მიცემას.

პარტიული მასების ეს სულისკვეთება უთუოდ თავის გამოძახილს ჰპოებს უჯრედთა ბიუროების არჩევნებშიაც. პარტიის ქვედა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებათ ჩვენ უნდა ავირჩიოთ მტკიცე და ნდობით აღჭურვილი ლენინელები.

ამასთან ერთად, რომ კამპანია უფრო გაცხოველებით. და პარტიული მასის მეტი აქტიური მონაწილეობით ჩატარდეს. საჭიროა სავსებით დაცული იქნას შინაპარტიული დემოკრატია. ამ მიზნით ფართე გასაქანი უნდა მიეცეს საქმიან თვით კრიტიკას. იქ, სადაც მუშაობა მოისუსტებდა, საჭიროა აღინიშნოს ყველა ნაკლი, შესწავლილ იქნას მათი გამომწვევი მიზეზები და გადაიდგას ნაბიჯები შემჩნეულ დეფექტების აღმოსაფხვრელათ.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება უჯრედთა მუშაობის შეფასების დროს, ესაა იმის შემოწმება, თუ რა მონაწილეობა მიიღო უჯრედმა პარტიის მიერ დასახულ მორიგ საერთო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასეთი საკითხები საკმაოზე მეტი მოიძებნება. მათ რიცხვს ეკუთვნის ბრძოლა ფასების დაკლებისათვის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის გაძლიერებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ და სხვა.

როგორი იყო უჯრედის მონაწილეობა ამ კამპანიებში და რა შედეგი მოგვცა მისმა მონაწილეობამ? აი ის საზომი, რომლითაც უნდა მიუდგეთ უჯრედთა ბიუროების წარსული მუშაობის შეფასებას და, რაც უნდა დაუდვათ საფუძვლად პარტიის ქვედა საფეხურების მომავალ მუშაობას.

იმ უაღრესად საპასუხისმგებლო და მძიმე მოვალეობის შესრულების დროს, რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია, როგორც სოციალისტური მეურნეობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, პარტიული მასა ქვედა საფეხურის ორგანიზაციების საშუალებით უდიდეს როლს თამაშობდა და თამაშობს. უჯრედთა ახლად არჩეული ბიუროები ამ პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით მტკიცეთ და ენერგიულათ წაიყვანენ წინ პარტიულ მასას სწორი ლენინური, ბოლშევიკური გზით.

მ. ლ—ძე.

გამცემლებმა გენსაბჭოდან ჩაშალეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი

ფინ-იუი-სიანი ჯარებს აგროვებს სიუჩჟოუზე გასალაშქრებლად

ანტი-იაპონური დემონსტრაცია მუკდენში.—დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 60.000 კაცმა

ოსმალეთში მეჯლისის არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო პარტიამ

ჩაშალეს ინგლის-რუსეთის კომიტეტი

ედინბურგი, 7 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირთა ყრილობამ ედინბურგში გენსაბჭოს წინადადება ინგლის - რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ მიიღო 2.551.000 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 620.000 ხმისა. (კენჭის ყრა მოხდა ყოველ დელეგაციის ამომრჩეველთა რიცხვის მიხედვით).

ინგლისის სამთამადნო ფედერაციის დელეგაციამ თავი შეიკავა. (ადს).

ნიადაგს აზადებენ

ედინბურგი, 7 სექტემბერი. გენერალური საბჭოს დამატებითი განცხადება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ შესდგება 12 ნაბეჭდი ფურცლისაგან. მასალის 11 ფურცელი უჭირავს შემდეგ დოკუმენტებს. დოგადოვის მიერ ხელმოწერილი მიმართვა ტრედ-იონიონების ედინბურგის კონგრესისადმი 2 სექტემბრის თარიღით, საკავშირო პროფსაბჭოს 30 აგვისტოს განცხადება (პასუხი გენსაბჭოს) და მიწერ-მოწერა სიტრინსა და ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ტომსკისა და მელნიჩანსკისათვის ინგლისში შემოსასვლელი ვიზის მიცემის შესახებ ედინბურგის კონგრესზე დასასწრებლად.

პირველად მასალები დაიბეჭდა უკომენტარიოდ, მაგრამ უკანასკნელ წუთში გენერალურმა საბჭომ დაუმატა მე-12 ფურცელი, რომელიც შეიცავს ჩამოთვლილი დოკუმენტების ერთგვარ შესავალს:

„მას შემდეგ, როცა გენერალური საბჭოს ანგარიში უკვე მზად იყო, მოხდა ისეთი ამბები, რომლებმაც გამოიწვიეს, რომ გენერალურ საბჭოს ყრილობისათვის გაეცნო თავისი დამოკიდებულება საკავშირო პროფსაბჭოსადმი.

გენერალური საბჭოს ანგარიშის მე-129 გვერდზე არის გენსაბჭოს განცხადება, რომელიც მან მიიღო იმ ფაქტების ყურადღებით განხილვის შემდეგ, რომლებიც შეეხება საკავშირო პროფსაბჭოს პოზიციასა და პოლიტიკას. ეს განცხადება საკავშირო პროფსაბჭოს გაეგზავნა 1927 წ. 27 ივლისს მითითებით, რომ გენსაბჭოს დამოკიდებულებას გადასწყვეტს საკავშირო პროფსაბჭოს პასუხი ამ განცხადებაზე. პასუხის ტექსტი, რომელიც მიღებულ იქნა ამ ყრილობის გახსნის დღეს, დართულია აქვე, ისევე, როგორც იმ დეპეშის ტექსტი, რომელიც მიღებულ იქნა საკავშირო პროფსაბჭოსაგან 1927 წ. 3 სექტემბერს. ეს დეპეშა წარმოადგენს „ძმურ" მიმართვას ტრედ-იუნიონების კონგრესისადმი, ამასთანავე აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი შინაარსი გამოქვეყნებული იყო კომუნისტურ გაზეთებში უფრო ადრე, ვიდრე ის გაეგზავნა კონგრესს. საკავშირო პროფსაბჭოს პასუხი და მოხსენებული დეპეშა არ საჭიროებენ გენერალურ საბჭოს კომენტარიებს. გენერალურ საბჭოს ის ღა დარჩენია მხოლოდ, რომ მან განაცხადოს სავსებით კატეგორიულად: გენერალური საბჭო ძალაუნებურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არ არის არავითარი ნიშნები იმისა, რომ საკავშირო პროფსაბჭოს აქვს განზრახვა ,დაიცვას' პირობები, რომელთა შესრულებაც აბსოლუტურად აუცილებელია, რათა ინგლის-რუსეთის კომიტეტმა იარსებოს მომავალშიაც. ამიტომ გენერალურმა საბჭომ უნდა მიუთითოს კონგრესს, რომ საკავშირო პროფსაბჭოსთან მოლაპარაკების გაგრძელება მოკლებულ იქნება ყოველგვარ აზრს, სანამ საკავშირო პროფსაბჭოს პოზიცია და პოლიტიკა დარჩება წინანდელი და რომ საკავშირო პროფსაბჭოს უნდა ეცნობოს ამის შესახებ" (ადს).

მემარჯვენეები ზეიმობენ

ედინბურგი, 7 სექტემბერი. 107 ხმის უმრავლესობით 4-ის წინააღმდეგ სამთა-მადნო მუშათა ფედერაციის დელეგაციამ გაილაშქრა გენერალურ საბჭოს ანგარიშის მე-92 მუხლის უარყოფის წინააღმდეგ. ამნაირად, ირკვევა, რომ ყრილობის მარჯვენა ფრთას ეკუთვნის ხმების დიდი უმრავლესობა გენერალურ საბჭოს პოზიციის დასაცავად უმცირესობის მოძრაობის წინააღმდეგ. მუშათა პარტიის აღმასკომი აჯაკად მუშაობს ედინბურგში და, როგორც ჩანს, მოლაპარაკება აქვს გენერალურ საბჭოსთან შეთანხმებული მოქმედების შესახებ მემარცხენეების წინააღმდეგ. (ადს).

ამსტერდამი—იმპერიალიზმის იარაღი

ედინბურგი, 7 სექტემბერი. ლაუ-ხან-სინმა, გომინდანის წარმომადგენელმა „იმპერიალიზმისა და კოლონიალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლ ლიგაში", პროფკავშირთა ედინბურგის ყრილობას მიმართა წერილით, რომელშიც მოუწოდებს ინგლისის მუშათა კლასს დაეხმარონ ჩინეთის ხალხს მათ ბრძოლაში განთავისუფლებისათვის. ლიაუ აღნიშნავს, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის პარიზის კონგრესმა უპასუხოდ დატოვა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა გაერთიანების წარმომადგენლისა და „ლიგის" მიმართვა იმის შესახებ, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალს განეცხადებია პროტესტი ჩინეთის პროფკავშირების ტერორისტული დარბევის წინააღმდეგ. ლიაუმ განაცხადა, რომ „ამსტერდამის ინტერნაციონალის ასეთი მოქმედება ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩინეთის მშრომელ მასებში, რომ თითქოს ამსტერდამის ინტერნაციონალი არის იმპერიალიზმის იარაღი. (ადს).

ახალი მანევრი

ედინბურგი, 7 სექტემბერი. ყრილობის მემარცხენე წრეებში ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ გენსაბჭოს დამატებითი განცხადება ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესახებ წაკითხულ იქნა მას შემდეგ, როცა მემარჯვენე ფრთამ გაიმარჯვა უმცირესობათა მოძრაობის საკითხში. მაკდონალდი თავის სიტყვას წარმოსთქვამს 8 სექტემბრის სხდომის დასაწყისში. რასაც მემარჯვენეთა წრეებში აფასებენ როგორც ახალ მანევრს, რომელმაც სათანადო როლი უნდა ითამაშოს მომავალ დებატებში ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხზე. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ანტიიაპონური დემონსტრაცია მუკდენში

პეკინი, 7 სექტ. ტოხოს სააგენტოს ცნობით 4 სექტემბერს მუკდენში გაიმართა ანტიიაპონური დემონსტრაცია, რომელიც მოაწყო „ჩინეთის დიპლომატთათვის საზოგადოებრივი დახმარების აღმოჩენის კავშირმა". ეს კავშირი დარსებულია აღმოსავლეთის სამი პროვინციის სავაჭრო სამრეწველო კავშირის მიერ. დემონსტრაციამ, რომელშიც 40.000 კაცი იღებდა მონაწილეობას, გაიარა მუკდენის მთავარ ქუჩებში. დემონსტრაციის ლოზუნგი იყო—„ძირს ტანაკას კაბინეტი! ძირს იმპერიალიზმი"! (ადს).

ფინ-იუი-სიანის შტაბის ცნობა

შანხაი, 7 სექტემბერი. ფინ-იუი-სიანის შტაბი იუწყება, რომ მისი ჯარების მდებარეობის ხაზი ლუნხაის რკინის გზით გაფართოვდა ტაოშანსიანამდე და აღწევს ცზიანსუს, შანდუნის და ხენანის საზღვრებს.

ფინ-იუი-სიანის შტაბი შემდეგ იუწყება, რომ ფინ-იუი-სიანი აგროვებს 50.000 ჯარისკაცს სიუჩჟოუზე (ლუნხაის რკინის გზის საბოლოო პუნქტი) იერიშების მისატანათ. (ადს).

მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა

შანხაი, 8 სექტემბერი. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ ნანკინში ჩავიდა უხანის მოღვაწეთა ჯგუფი. ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობით, მოლაპარაკება ერთი მხრით სუნ-ფოსა და ტან-ენ-კაისა და მეორე მხრით შანხაის მოღვაწეთა შორის წარმატებით დამთავრდა. მაგრამ მაინც საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ხუ-ხან-მინი დაუბრუნდეს აქტიურ მოღვაწეობას.

როგორც გაზ. „შინ-ბაო" იუწყება, სუნ-ფო გაერთიანებულ მთავრობაში დაიკავებს ფინანსთა მინისტრის პოსტს. (ადს).

დიპლომატიური ხელშეუხლებლობა ჩინეთის სასამართლოს წინაშე

პეკინი, 7 სექტემბერი. გაზეთებში გამოქვეყნებულია ამერიკელი ვექილის ფოკსის წერილი 15 საბჭოთა მოქალაქის შესახებ, რომელნიც დაპატიმრებულ იქნენ საბჭოთა საელჩოს ტერიტორიაზე თავდასხმის დროს.

„უახლოეს დღეებში გამოირკვა,—სწერს ფოკსი, უწევს თუ არა ანგარიშს ჩინეთის უზენაესი სასამართლო პეკინში საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ე. ი. სცნობს თუ არა იგი, რომ ის პირები; რომელნიც დიპლომატიური ხელშეუხლებლობით სარგებლობენ, არ შეიძლება იქნენ გასამართლებული იმათ მიერ. საერთაშორისო სამართლის დებულების მიხედვით, დიპლომატიური ხელშეუხლებლობა; რომელიც ენიჭება დიპლომატიური მისიის მეთაურს, ვრცელდება აგრეთვე მისიის მთელ პერსონალზე, მის პირად მოსამსახურეებზედაც კი. თუ ჩინეთის უზენაესი სასამართლო სხვაგვარად შეხედავს საქმეს და ამ პირებს გაასამართლებს, იგი აშკარად დაარღვევს საერთაშორისო სამართალს. გადასახლება დაცვის სიგელის მინიჭებით—ერთად-ერთი კანონიერი სასჯელია დიპლომატიური წარმომადგენლობის მოსამსახურეთათვის, რომელთაც რაიმე ბრალი მიუძღვით იმ სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი, რომელთანაც იმყოფება მათი წარმომადგენლობა". (ადს).

60,000 დემონსტრანტი

პეკინი, 7 სექტ. ჩუნეის სააგენტო იუწყება, რომ მუკდენის საპროტესტო დემონსტრაციებში, რომელიც გაიმართა იმის წინააღმდეგ, რომ იაპონელებმა თვითნებურად დაარსეს საკონსულო ლინძიანში, მონაწილეობა მიიღო 60.000 კაცმა. დემონსტრაციის ყველა მონაწილენი დადიოდენ დროშებით, რომლებზედაც ეწერა: „ძირს ტანაკას მთავრობის აგრესიული პოლიტიკა! ძირს იაპონიის საკონსულო ლინძიანში"!

დემონსტრაციის მონაწილეებმა მუკდენის გუბერნატორს წარუდგინეს პეტიცია, რომელშიაც მოითხოვენ იაპონიის საკონსულოს გაუქმებას ლინძიანში. (ადს).

გენ. დუნკანი და ნაციონალისტები

შანხაი, 7 სექტემბერი. ინგლისის საოკუპაციო ჯარების უფროსი გენერალი დუნკანი, რომელმაც გადასჭრა შანხაი-ნანკინის რკინის გზა ნანკინის ჯარებისათვის კრიტიკულ მომენტში, სუნ ჩუან-ფანის დამარცხების შემდეგ ნაციონალისტებს ეარშიყება.

„სინ-ვა-ბაო"-ს თანამშრომელთან საუბარში დუნკანმა განაცხადა, რომ ინგლისს [illegible] ერთი სურვილია იხილოს განთავისუფლებული ჩინეთი. დუნკანი აქებდა ნანკინის ჯარებს, რომლებმაც შანხაის აღების შემდეგ ქალაქში დაიცვეს წესრიგი და მშვიდობიანობა. მაგრამ დუნკანი უკმაყოფილოა ანტიინგლისური პლაკატებით, რომლებიც ვრცელდება ქალაქის ჩინურ ნაწილში. იგი თხოულობს, რომ ეს პლაკატები დახეულ იქნას (დას).

ბაი-ცზუნ-ჩი დანიშნულია სამხედრო აკადემიის უფროსად

შანხაი, 7 სექტემბ. ნანკინის ჯარების სარდალი შანხაიში ბაი-ცზუნ-ჩი დანიშნულია სამხედრო აკადემიის უფროსად ნანკინში.

იაპონია - ჩინეთის მოლაპარაკება

პეკინი, 7 სექტემბ. სამი თვის შეწყვეტის შემდეგ, კვლავ განახლდა იაპონია-ჩინეთის მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულების დასადებად.

ნანკინის პროტესტი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

შანხაი, 7 სექტ. ნანკინის სააგენტო გომინი იუწყება, რომ ნანკინის მთავრობა ესალმება რა იაპონიის ჯარების მოსალოდნელ ევაკუაციას შანდუნიდან, სასტიკ პროტესტს აცხადებს იმ შეხედულების წინააღმდეგ, რომლის მიხედვით იაპონიის მთავრობა უფლებას იტოვებს გაგზავნოს ჯარები ჩინეთის ტერიტორიაზე თავის ქვეშევრდომთა დასაცავად. ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა იაპონიის კონსულს მიმართა ნოტით, რომელშიც კატეგორიულად უარყოფს იაპონიის მთავრობის უფლებას გაგზავნოს ჩინეთში ჯარები.

იმპერიალისტებმა დაიბრუნეს პრივილეგიები

შანხაი, 7 სექტემბერი. შანხაის ინგლისური ორგანოს „ნორდ ჩაინა დეილი ნიუზის" პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ხანკოუში აღდგენილია კონტროლი მარილის მონოპოლიაზე. კონტროლი მარილის მონოპოლიაზე უცხოელებმა ჩინეთში დააწესეს უცხოეთის სესხების უზრუნველსაყოფად. (ადს).

უხანელ და ნანკინელ გენერლების დეკლარაცია

შანხაი, 7 სექტემბერი. ნანკინელ და უხანელ გენერლების ჯგუფმა, მათ შორის მინ-ჩიუნ, ლი-ჩუნ-ჟენმა, ტან-შენ-ჩინ და სხ. გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიც აღნიშნავენ, რომ იცავენ რა გომინდანის განსვენებული ბელადის მცნებას და აგრეთვე მხედველობაში იღებენ რა პარტიის ინტერესებს, აერთიებენ თაიღებენ რა პარტიის ინტერესებს, აერთიებენ თავიანთ არმიებს, რათა განაახლონ ჩრდილოეთის ექსპედიცია. (ადს).

ჩინეთის რევოლიუცია სცოცხლობს

როგორც კი იწყებს გაფრთხილებას მასების რომელიმე რევოლიუციონური მოძრაობა, მაშინვე გამოჩნდებიან სხვადასხვა ფერის ოპორტიუნისტული ყვავ-ყორნები და დაიწყებენ ჩხავილს:

„რევოლიუცია ნამდვილი დაღუპვისაკენ მიდის", იგი „უკვე იღუპება", იგი „უკვე დაიღუპა" და სხ. ეს მოვლენა დიდი ხანია გახდა გარდაუვალ ისტორიულ კანონად. თუ ძველი დროიდანვე პოპულიარული თქმულების გმირი გახდა „ბუ მინერვა", რომელიც ყოველთვის განსაზღვრულ საათში გამოფრინდებოდა ხოლმე, ჩვენს ხანაში შექმნილ უნდა იქნას თქმულება ოპორტიუნისტული, მაგალითად, ავსტრო-მარქსისტული ბუს შესახებ. წელიწად ნახევრის წინედ, 1926 წლის 30 მარტს, რეფორმისტული მსოფლიოს ამ ბუმ ხმა-მაღლა დაიხჩავლა: „ჩინეთის 1849 წელი".

1849 წელი, როგორც ცნობილია, არის რევოლიუციის დამარცხების წლის სიმბოლო: ამ წელში ბურჟუაზიული რევოლიუციები ევროპის კონტინენტის უდიდეს ქვეყნებში ბურჟუაზიის გამარჯვებით დამთავრდა. ამგვარად, ოტო ბაუერის გაზეთმა წელიწად ნახევრის წინედ გამოაცხადა, რომ ჩინეთის რევოლიუცია მარცხდება.

ყველამ იცის, თუ რა ამბები მოჰყვა ამას. ჩინეთის რევოლიუცია 1926 წლის მარტის შემდეგ არამც თუ დამარცხებისაკენ დაექანა, არამედ მოიპოვა მთელი რიგი დიდ გამარჯვებათა, რის შემდეგაც შეიქმნენ და გავითარდენ მუშათა კლასის ორგანიზაციები—პროფკავშირები, კომპარტია, გლეხობის რევოლიუციონური ორგანიზაციები,—„გლეხთა კავშირები", „წითელი რაზმელების" კავშირები და სხ.

სამხრეთი ჩინეთი ამ პერიოდის განმავლობაში სავსებით იქნა გაწმენდილი ფეოდალური და მილიტარისტული რაზმებისაგან და მოძალადეთა ჯარებისაგან, როგორც, მაგ., ჩან-ძო-ლინის და სხვ. ამავე დროს შესაძლო გახდა ის, რომ ყოფილი კანტონის არმიის ნაწილები ჩამოშორდენ ბურჟუაზიული მილიტარისტების გავლენას და დაემორჩილენ ნამდვილი რევოლიუციონური ელემენტების გავლენას და ხელმძღვანელობას.

ცხადია, რომ ავსტრო-მარქსისტული ყვავის ხმა-მაღლა ჩხავილი არ გამართლდა.

მაგრამ აი, როცა წელიწადნახევრის შემდეგ, ნახევარი წლის, რომელიც მშვიდობიანი განვითარების ათეულ წლებს უდრის, ჩვენ დავდექით იმ ფაქტის წინაშე, რომ განხეთქილება იწყება ყოფილ „მთლიან საერთო-ეროვნულ ბანაკში". ბურჟუაზიამ გასცა ეს მოძრაობა და ძლიერი მახვილი ჩასცა მუშებსა და გლეხებს, და აი, აქ კვლავ თავი წამოჰყვეს ავსტრო-მარქსისტულმა წინასწარმეტყველებმა.

„მუშათა გაზეთ"-ში, 21 აგვისტოს თარიღით, კვლავ იბეჭდება წერილი სათაურით: „ჩინეთის 1849 წელი". ავტორები ხცდილობენ შური იძიონ შარშანდელი თავისი „შეცდომის" გამო. „მარქსისტი შეიძლება შესცდეს ვადის განსაზღვრაში,—ტრაბახობენ ეს ავტორები,—მაგრამ რაც შეეხება მოვლენათა განვითარების აუცილებელ მსვლელობას, მარქსისტული თვალსაზრისი უდაოდ ნათელ პასუხს იძლევა".

ავსტრო - მარქსისტები მთელი ძალ-ღონით ცდილობენ: რათაც არ უნდა დაუჯდეთ, თუ 1926 წელში ვერ შესძლეს, 1927 წელში მაინც ევროპის იმპერიალისტებთან ერთად დაამტკიცონ ჩინეთის რევოლიუციის დაღუპვა.

მაგრამ ხომ კიდევ არ აჩქარდენ ეს ვაჟბატონები, რომ ანდერძს უგებენ რევოლიუციას, როცა მათთვის სასურველ ფაქტს ნამდვილ ფაქტად იღებენ? ფაქტები ამ შემთხვევაშიაც იმავე „ჯიუტობით" ამსხვრევენ ყველა ოპორტიუნისტურ სქემებს და მწარედ დასცინიან ავსტრო-მარქსისტების წინასწარმეტყველობას.

აი, უკვე თვენახევარი—ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის სამხრეთ პროვინციებში ნელ-ნელა ვითარდება ახალი რევოლიუციონური აჯანყება ჩინეთის ხალხის ყველა მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მათ შორის ამ შემთხვევაში ჩინეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგაც, რომელმაც უღალატა მუშებსა და გლეხებს. ყოველ კვირა ჩვენ ვიღებთ სულ ახალ და ახალ ცნობებს, რომ თანდათან ძლიერდებიან ადგილობრივ გლეხთა პარტიზანული რაზმები.

დღევანდელ დეპეშაში, მაგალითად, ჩვენ ერთად გვაქვს, სულ ცოტა ექვსი სასიამოვნო ცნობა ამ აჯანყების შესახებ: ხო-ლუნის და ი-ე-ტინის არმიამ გუანდუნის პროვინციაში კვლავ წაიწია წინ კანტონისაკენ დასახული გზით; ამ არმიას შეუერთდა აჯანყებული გლეხობის შეიარაღებული ძალები; შეისიანთან რევოლიუციონური არმიის მხარეზე უხანის არმიიდან გადავიდა 6.000 კაცისაგან შემდგარი რაზმი; ხუნანის პროვინციაში შედგენილია რევოლიუციონური არმიის ახალი დივიზია, რომელიც ამ პროვინციის მთავარი ქალაქის—ჩანშას მიმართულებით მიდის წინ; გლეხთა რაზმებმა ხუნანში განაიარაღეს ტან-შენ-ჩის (უხანელების) ერთი დივიზია; ხუბეის პროვინციაში გლეხთა რაზმებმა დაიპყრეს ორი მაზრის ტერიტორია; მუშათა მოძრაობა უხანსა და ნანკინის ტერიტორიაზე არ ნელდება და ზურგიდან კვლავ საფრთხეს უმზადებს ბურჟუაზიულ გენერლებს.

აჯანყება, ამგვარად, უკვე სამი პროვინციის ტერიტორიაზე ვითარდება, ტელეგრაფი იუწყება იმ ჯარების შესახებ, რომლებსაც უხანის და ნანკინის შეშინებული მმართველები გზავნიან გლეხთა და რევოლიუციონური არმიების წინააღმდეგ.

სვატოუში ემზადებიან ბანკების ევაკუციისათვის და იქ იზრდება პანიკა აჯანყების გავრცელების მოლოდინში. ეს ცნობები, რომელიც გამომდინარეობს სულ სხვადასხვა მხრიდან უეჭველად და აშკარათ ხდის ერთს უბრალო ფაქტს: აჯანყებამ მისი დაწყების პირველ დღიდან უსათუოთ წინ წაიწია.

და მაინცა და მაინც მაშინ უნდა მომხდარიყო ეს ამბავი, როდესაც ვენის ყორნებმა კვლავ დაიწყეს ჩხავილი 1849 წ., ე. ი. ჩინეთის რევოლიუციის დასრულებაზე. აი, ამას ეწოდება სწორედ „უბედობა".

არის ფაქტები, რომლის წარმოდგენა წინასწარ და ახსნა სრულებით არ ძალუძს ოპორტიუნისტულ თეორიას. სწორედ ასეთ ფაქტს წარმოადგენს გლეხობის ახლანდელი აჯანყება ჩინეთში.

ჩინეთის რევოლიუციის ორთქლმავალმა აშკარათ დაარღვია ოპორტიუნისტული „მატარებლის მიმოსვლის ნუსხა", ის არ გაჩერდა იმ სადგურზე, სადაც უნდა გაჩერებულიყო ოპორტიუნისტების „განკარგულებით", არამედ სულ წინ მიქრის. ჩინეთის რევოლიუცია ეს „ჩვეულებრივი; ბურჟუაზიული რევოლიუცია არისო", მსჯელობს ჭკუა-მახვილი ავსტრო-მარქსისტი. რაკი ეს ასეა, მაშინ რევოლიუციამ ძალაუფლება „უნდა გადასცეს ბურჟუაზიას, ამის იქით არც ერთი ნაბიჯი: რაც არ შეეფერება ამ შაბლონს, ის „ეშმაკისაგანაა".

1848 წლის კლასიურმა ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ ძალა-უფლება გადასცა ბურჟუაზიას რამდენიმე ათეული წლით—მაშასადამე, ასევე უნდა მოხდეს ჩინეთშიაც, რა უყოთ; რომ ჩინეთი კოლონიალური ქვეყანაა და იჩაგრება იმპერიალიზმის მიერ. საფრანგეთი-კი უკვე 1848 წლიდან წარმოადგენდა მჩაგვრელ ქვეყანას. ისიც არაფერია, რომ საფრანგეთში 1848 წელს მიწის საკითხი; ბონოპარტის მიერ ჩატარებულ რეფორმის წყალობით უკვე მოწესრიგებული იყო და წარსულს ეკუთვნოდა, ხოლო ჩინეთში ფეოდალური წყობილება დღესაც აღმოუფხვრელია. დასასრულ ისიც არაფერია, რომ დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, სრულებით არ წააგავს 1848 წელს არსებულ საერთაშორისო მდგომარეობას, ჩინეთის ყველა ეს „დაუწყნარებელი" თავისებურობანი რეფორმისტისათვის არ არსებობენ.

1848 წელს ლუი ბონაპარტმა ხელში ჩაიგდო ძალა - უფლება საფრანგეთის გლეხობის დახმარებით პროლეტარიატის წინააღმდეგ. არავითარი გლეხური აჯანყება ლუი ბონაპარტის წინააღმდეგ არ მომხდარა. მაშასადამე ჩინეთშიაც „არ უნდა ექნეს ადგილი" არავითარ გლეხურ აჯანყებას ჩან-კაი-შის და მისი მემკვიდრეების წინააღმდეგ. მაგრამ თუ-კი ეს აჯანყება მაინც მოხდა? მაშინ დრომდე ის მიჩქმალული უნდა იქნეს. ასე მოიქცევიან ავსტრო - მარქსისტები და არც შერცხვებათ თავის საქციელის. შემდეგ-კი, როდესაც უკვე შეუძლებელი გახდება ფაქტების დამალვა, შესაძლებელი იქნება ამ ფაქტების დამახინჯება და ცილისწამება. მაგრამ განა ამ საშუალებით შეიძლება დამალული იქნეს ოპორტიუნისტული თეორიების და „წინასწარმეტყველების" გაკოტრება?

ხო-ლუნის და ი-ე-ტინის აჯანყების პირველ დღიდანვე ჩვენ ფრთხილად მოვეკიდეთ ცნობებს ამ აჯანყების შესახებ და არ გავაზვიადეთ არც მისი მნიშვნელობა და არც მისი პერსპექტივები. ეს აჯანყება ჯერ-ჯერობით არც ისეთია, რომ შეიძლებოდეს წინასწარმეტყველება მისი გამარჯვების შესახებ. ის სდგას განადგურების საშიშროების წინაშე, მისი დიდი ამოცანაა ძალთა შემდგომი შეკრება.

მაგრამ არავის არ შეუძლია წაართვას ამ სამხედრო აჯანყებას მისი ისტორიული მნიშვნელობა და ძალა, რომელიც მან მოიპოვა გლეხურ მოძრაობასთან და ჩინეთის მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით. თუ-კი აჯანყების ხელმძღვანელებმა ეს აჯანყება შემდეგშიაც წაიყვანეს ამ სწორ გზით, უზრუნველყოფილია ძალების გამრავლების საქმე და აჯანყებაც თანაგრძნობას მოიპოვებს, როგორც ჩინეთის ერის მასებში, ისე საერთაშორისო პროლეტარიატის წრეებშიაც. ამასთან ერთად აჯანყების ხელმძღვანელთა კავშირს კომპარტიასთან შეუძლია უზრუნველჰყოს აჯანყების ჭეშმარიტათ სწორი რევოლიუციონური ხელმძღვანელობა.

კომუნისტური პარტია ამ ახალ მოძრაობას სრულებითაც არ უყენებს უშუალოთ სოციალიზმის ამოცანებს. კომუნისტების ტაქტიკის ასეთი განმარტება შეუძლია მხოლოდ მოძრაობის მტრებს, რეფორმისტებს, რომლებსაც ამ სიცრუით და ცილისწამებით სურთ შექმნან უნდობლობა კომუნისტებისადმი. აჯანყებაში მონაწილე გლეხებმა არ იციან რა არის სოციალიზმი და რა საკვირველია არც კომუნისტებს აქვთ განზრახული „თავზე მოახვიონ" მათ ისეთი ლოზუნგები, რომელიც ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს და სურვილებს.

აქ ლაპარაკი გვაქვს ნაციონალურ რევოლიუციის ორ მთავარ ამოცანაზე: ჩინეთში არსებული უცხოეთის იმპერიალიზმის ჩაგვრის მოსპობაზე და მსხვილ მემამულეთა კლასის და საერთოდ ფეოდალიზმის ნაშთების განადგურებაზე.

ბურჟუაზიამ უღალატა მუშებს და გლეხებს და აღნიშნული ამოცანები მთლიანად ხელუხლებელი დასტოვა. და აი, ჩინეთის მუშებმა და გლეხებმაც ამჟამად ხელი მოჰკიდეს ამ ამოცანების განხორციელებას უბურჟუაზიოთ და ჩინეთის ბურჟუაზიის სურვილების წინააღმდეგ.

და რაც არ უნდა იჩხავლონ ყველა ჯურის და ყველა ქვეყნის ოპორტიუნისტულმა ყორნებმა ჩინეთის მუშურ - გლეხური რევოლიუცია მიუხედავათ დროებითი დამარცხებისა ცოცხლობს და ვითარდება. ადრე თუ გვიან ის გაიმარჯვებს, უფსკრულში გადაისვრის იმპერიალისტების, რეაქციონურ გენერლების და ბურჟუაზიულ დიქტატორების ხროვას და განთავისუფლებულ ჩინეთს დააყენებს ბრძოლის ფართე გზაზე მშრომელ კაცობრიობის გასანთავისუფლებლად.

„პრავდა", 8 სექტემბერი.

საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების პროექტს ამზადებენ

პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა

ვარშავა, 7 სექტემბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ დაგზავნა შემდეგი შინაარსის ცნობა:

„საყოველთაო საგარანტიო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებულ არა სწორ და გაზვიადებულ ცნობების გამო, საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ პოლონეთის დელეგაცია ნამდვილად წარუდგენს ერთა ლიგას განსახილავად ასეთ პროექტს. პროექტი ასეთი ხელშეკრულების, რომლის ფორმის განსაზღვრაც წინასწარ შეუძლებელია, სანამ ერთა ლიგის პლენუმს არ გამოუთქვამს თავისი აზრი მის შესახებ, იქნება ერთგვარი დამატება ერთა ლიგის წესდებისა, რომელიც, როგორც ვიცით, საერთაშორისო ურთიერთობაში შესაძლებლად თვლის ომს. საერთო საგარანტიო ხელშეკრულებას შეიძლება და შეუერთდნენ ერთა ლიგის ყველა წევრები და აგრეთვე ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ლიგაში არ შედიან. რა თქმა უნდა, ეს ხელშეკრულება არ იქნება მიმართული ვინმეს წინააღმდეგ, ვინაიდან მისი მიზანი მდგომარეობს ერებში ურთიერთისადმი ნდობის განმტკიცებაში, საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში და ერთა ლიგის პრესტიჟის აწევაში".

ჩემბერლენის „გაფრთხილება"

ჟენევა, 7 სექტემბერი. ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში ჩემბერლენმა გააფრთხილა პოლონეთი, რომ ახალი მოთხოვნილებებით ფასი არ დაუკარგოს „უშიშროების საკმაო გარანტიებს, რომლებიც ლოკარნოს ხელშეკრულებას შეიცავს".

თავისი განცხადების განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩემბერლენმა აღნიშნა იმით, რომ, წინააღმდეგ ჩვეულებისა ნება მისცა ჟურნალისტებს მისი სახელი მოიხსენიონ კორესპონდენციაში.

ერთა ლიგასთან ახლო მდგომ წრეებში ფიქრობენ, რომ პლენუმი მიიღებს პოლონეთის წინადადებას იმ სახით, როგორც ზემოთაა აღნიშნული, და შემდეგი განსახილველად გადასცემს მას კომისიას.

ჩემბერლენის პოზიციის გამო, შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ კომისიაში გაჭიანურდება ბრძოლა.

პოლონურ წრეების განცხადება

ჟენევა, 7 სექტემბერი. პოლონეთის წრეები გადაჭრით უარყოფენ, რომ თითქოს პოლონეთის წინადადება მიმართული იყოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამტკიცებენ, რომ ეს წინადადება „ხელს შეუწყობს პოლონეთ-საბჭოთა მოლაპარაკებას, ვინაიდან იგი ეთანხმება ჩიჩერინის თვალსაზრისს უშიშროების საკითხში" (ადს).

შესაძლოა თუ არა ბალტიის სახელმწიფოთა კავშირი?

რეველი, 7 სექტემბერი. ბალტიის სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების ჟენევაში მომავალი თათბირის შესახებ, გაზეთი „კაია სწერს::

„განა შეიძლება შეიქნას ბალტიის სახელმწიფოთა კავშირი ცელენსის მონაწილეობით, რომელსაც არაფრად მიაჩნია ესტონეთთან კავშირი და მზად არის უარჰყოს იგი მოსკოვის ინტერესების გულისათვის?".

გაზეთი მეორე წერილში ლატვიის, სოციალისტებს ბრალს სდებს იმაში, რომ მათ „გერმანელებისა და ებრაელების დახმარებით" სურთ „ლატვიის ხალხის ინტერესებს უღალატონ რუსეთის გულისათვის". (ადს).

პოლონეთის წინადადება

ჟენევა, 7 სექტემბერი. საიდუმლო თათბირის შემდეგ პოლონეთის დელეგაციამ შეიტანა წინადადება შემდეგი ფორმით:

„1. ყოველგვარი ომი, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალება, აკრძალულია და აკრძალული რჩება მომავლისათვისაც.

2. ყველა საერთაშორისო კონფლიქტები მშვიდობიანი გზით უნდა გადაწყდეს".

საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის და პოლონეთის იურიდიულმა ექსპერტებმა გუშინ საერთო თათბირზე განიხილეს ეს წინადადება. საფრანგეთის წრეები სცდილობენ პოლონეთის წინადადება დაახასიათონ ისე, როგორც „პატარა სახელმწიფოების შეტევა", რომელსაც მხარს უჭერენ ჰოლანდია, მცირე ანტანტა და ბალტიის სახელმწიფოები, ყოველგვარი გავლენის გარეშე საფრანგეთის მხრივ. (ადს).

ჰოლანდიის წინადადება

ჟენევა, 7 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმზე გამართულ კამათში, რომელიც უკვე მეორე დღეა, რაც გრძელდება, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარ ადგილს უთმობენ საკითხს უშიშროების შესახებ, რათა ამით მიჩქმალონ ლიგის დამარცხება განიარაღების საკითხში. ამ საკითხის წამოყენების თაოსნობა ჰოლანდიას ეკუთვნის.

ჰოლანდიელების მიერ შეტანილ წინადადებამ უნდა დააყენოს ბურუსი, რომელზეამოფარებით უნდა მოხდეს საფრანგეთ-პოლონეთის გამოსვლა აღმოსავლეთ ლოკარნოს იდეით. დილის სხდომა მოუნდა ლიმიტროფების წარმომადგენლების სიტყვებს. ესტონეთის და განსაკუთრებით ფინეთის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს პოლონეთის ინიციატივას. საჭიროა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ ილაპარაკეს ინდოეთის და სპარსეთის წარმომადგენლებმა. საბჭოთა კავშირის მეზობლების ასეთ განსაკუთრებულ წამოყენებას არა აქვს შემთხვევითი ხასიათი. ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ცელენსმა სასტიკად გააკრიტიკა განიარაღების იდეის სრული უსუსურობა ჟენევის ოქმის უარყოფის დღიდან და აღნიშნა, რომ ლატვია საგარანტიო მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირთან აწარმოებს ერთა ლიგის მიმართ თავისი ვალდებულებების დაცვით. პლენუმის მონაწილენი მეტად სუსტ ინტერესს იჩენენ ლიმიტროფების წარმომადგენლების სიტყვებისადმი. **დარბაზი ნახევრად ცარიელია.დიდი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები მხოლოდ ხანგამოშვებით ჩნდებიან.**

მოელიან, რომ პოლონეთის წინადადება ახლო ხანში და შეიძლება ხვალაც იქნება შეტანილი პლენუმზე. პოლონეთის რეზოლიუციის ტექსტი წინანდებურად გამოურკვეველია, მაგრამ სარწმუნო ცნობების მიხედვით, მასში საერთო ფორმით ჩამოყალიბებულია ერთა ლიგის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოების წინადადება ყოველმხრივ აკრძალულად გამოაცხადონ შეტევითი ომი და მიიღონ არბიტრაჟის პრინციპი. პოლონეთის წინადადება წარმოადგენს ერთა ლიგის წესდების 16 მუხლის დამატებას, რომლიდანაც ის არ უარყოფს ომის შესაძლებლობას.

პოლონეთის პროექტი და საფრანგეთის პრესა

პარიზი, 7 სექტემბერი. საფრანგეთის პრესა, რომელიც სხვადასხვა გვარად აფასებდა პოლონეთის პროექტს, ჰავასის სააგენტოს ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ერთსულოვნად უჭერს მხარს ამ პროექტს.

მხოლოდ პერტენაკსი „ეკო დე პარი"-ში კვლავ ილაშქრებს პროექტის წინააღმდეგ და წინასწარმეტყველობს პროექტის დამარცხებას შტრეზემანის გამგზავრების გამო, რომელიც ჟენევაში სექტემბრის ბოლომდე არ ჩამოვა.

ჰავასის სააგენტოს ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთის მთავრობას წინასწარ ეცნობა ამ პროექტის შესახებ და მან წააქეზა პოლონეთის ეს ინიციატივა. რაც შეეხება ჩემბერლენის გალაშქრებას პროექტის წინააღმდეგ, ეს გალაშქრება,—სააგენტოს სიტყვით,—არ ეხება პროექტს არსებითად და ნაკარნახევია იმით, რომ იგი პირველად არ იცნობდა პროექტის ნამდვილ ხასიათს; ამიტომ შეიძლება, რომ ჩემბერლენმა უკან წაიღოს თავისი მოსაზრებანი. (ადს).

საფრანგეთის გარეშე საქ. სამინისტროს ცნობა

პარიზი, 7 სექტემბერი. საფრანგეთის გარეშე საქმ. სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მართალი არ არის ის ცნობა, ვითომც ბრიანმა გაოცება გამოსთქვა იმის გამო,რომ პოლონეთმა წინასწარ არ აცნობა მას თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პროექტის შესახებ .(ადს).

სახალხო პარტიის გამარჯვება

ანგორა, 7 სექტ. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

მეჯლისის არჩევნები დასრულდა. **სახალხო პარტიის კანდიდატები ყველგან ერთხმად აირჩიეს.** ამის გამო, პრეზიდენტმა მუსტაფა-ქემალმა გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელშიც მადლობას უცხადებს ხალხს, ნიშნად იმისა, რომ ხალხმა მოიწონა პრეზიდენტისა და სახალხო პარტიის მოღვაწეობა და საშუალება მისცა მათ განაგრძონ მუშაობა. მუსტაფა-ქემალი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **ოსმალეთმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავისი ძლიერება და დაურღვეველი მთლიანობა ნაციონალური იდეალის განხორციელების საქმეში.**

უორკერს პარტის ყრილობა

საქმე 1922 წლის კომუნისტური ყრილობის შესახებ

ნიუ - იორკი, 7 სექტემბერი. უტყუარი ცნობების თანახმად, **მიჩიგანის შტატის ხელისუფლებას განზრახული აქვს უახლოეს დროს განაახლოს საქმე, კომუნისტების წინააღმდეგ 1922 წლის კომუნისტურ ყრილობასთან დაკავშირებით.** ხმებია, რომ პირველ რიგში პასუხისგებაში მიცემული იქნებიან **ლოვსტონი, მაინორი ან ფოსტერი.**

როგორც ცნობილია, რუტენბერგის საქმის გარჩევა თავის დროზე დასრულდა მისი გამტყუნებით, საქმე გადაცემული იქნა შემდეგ აპელიაციის წესით, უმაღლეს სასამართლოში, ხოლო რუტენბერგი ამასობაში მოკვდა. (ადს).

ყრილობის დახურვა

ნიუ - იორკი, 7 სექტემბერი. დაიხურა უორკერს პარტის ყრილობა. ყრილობამ დაადგინა პარტიის ცენტრალური კომიტეტი გადატანილი იქნეს ჩიკაგოდან ნიუ - იორკში. ახალი ცეკა არჩეულია 48 კაცის შემადგენლობით. ახალ ცეკაში არჩეული არიან: **ლოვსტონი, ფოსტერი, მაინორი, გიტლოუ, პეპერი** და სხვა.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ავალებს პარტიის ცეკას ზომების მიღებას ფრაქციულობის წინააღმდეგ. (ადს).

ესტონეთის კომუნისტების საქმე

რეველი, 7 სექტემბერი, „ვაბა მაა" იუწყება, რომ გამოძიება დაპატიმრებული კომუნისტების საქმის გარშემო, დამთავრდა. სასამართლოში მიცემულია ვირკი, იალკასი, კუკი, ტორნი და სხ. სულ 11 კაცი. გაზეთი ფიქრობს, რომ საქმე სამხედრო სასამართლოში გაირჩევა, ვინაიდან ყველა ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ ბრალდება იმაში, რომ ისინი სცდილობდენ ძალადობით დაემხოთ არსებული წყობილება. (ადს).

უსირცხვილო სიცრუე

პარიზი, 7 სექტ. სანტეს ციხეში მყოფმა მარტიმ მიმართა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს ბუისონს წერილით, სადაც აღნიშნავს, რომ საროს განცხადება, იმის შესახებ, თითქოს ის (მარტი) არ არის გადაყვანილი სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმზე, წარმოადგენს უსირცხვილო სიცრუეს.

მარტი წინადადებას აძლევს დეპუტატებს ინახულონ იგი ციხეში და დარწმუნდენ რომ, ის მართლა გადაყვანილია სისხლის სამართლის დამნაშავეთა რეჟიმზე და რომ არ სარგებლობს არავითარი შეღავათით. მარტი ხაზს უსვამს, რომ ერთს სიტყვასაც არ დაიბრუნებს იმ წერილიდან, რომელიც გაუგზავნა ფოშს, ვინაიდან ამ წერილმა შტუტგარდის კონგრესის წლის თავზე უნდა მოაგონოს საფრანგეთის და კოლონიების მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას, რომ მის უპირველეს მოვალეობას შეადგენს უსასტიკესი ბრძოლის წარმოება საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩაშლის გარშემო

მაკდონალდის გამოსვლა ედინბურგის კონგრესზე

ედინბურგი, 8 სექტემბერი. ინგლისის პროფკავშირების დღევანდელ დილის სხდომაზე ედინბურგში მისალმებით მუშათა პარტიის სახელით გამოვიდა მაკდონალდი, რომელსაც ყრილობის უმრავლესობა ოვაციებით შეხვდა. მაკდონალდი შეეხო კანონს პროფკავშირების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გაფიცვის თავისუფლების შეზღუდვას, კრიტიკაში გაატარა ეს კანონი, მაგრამ დაუმატა შემდეგი დამახასიათებელი ფრაზა: „თუ გაფიცვას აკრძალავენ, უნდა იქნეს სამაგიეროთ შექმნილი სათანადო შემარიგებელი აპარატი“.

შემდეგ მაკდონალდმა იცნება უწოდა ფიქრს პოლიტიკის გარეშე მდგომ პროფმოძრაობის არსებობის შესახებ და დაჟინებით მოითხოვდა, რომ დატოვებული ყოფილიყო პროფკავშირების წარმომადგენლობა პარლამენტში, მუშათა პარტიის პარლამენტის ფრაქციის საშუალებით. კანონს პროფკავშირის წინააღმდეგ—მაკდონალდმა უწოდა: „ეკონომიური შემოტევა მუშათა პარტიაზე“. მუშათა მოძრაობამ—განაგრძო მაკდონალდმა—უნდა გაარკვეცოს თავისი ძალღონე, რომ ძალა-უფლება მიანიჭოს კვლავ მუშათა პარტიას, რომელიც გააუქმებს კანონს პროფკავშირების შესახებ. კონსერვატორებს ეშინიათ არჩევნების, ვინაიდან კარგათ იციან, რომ ამ არჩევნებში უახლოეს მომავალში დამარცხდებიან, მაგრამ მთავრობა გადადგომამდე ცდილობს უზრუნველყოს გატარებული კანონის ხანგრძლივობა. ბოლდუინი ცდილობს იმოქმედოს ჰინდენბურგის მსგავსად. ის სცვლის კონსტიტუციას და თემთა პალატის ხარჯზე აძლიერებს ლორდთა პალატას. ასეთი მოქმედება წარმოადგენს კონსტიტუციის დარღვევას. კონსერვატორებმა დამარცხება მოგვანიჭეს და მუშათა მოძრაობამ უნდა გამოიჩინოს მოთმინება და ენერგია და ებრძოლოს რეაქციას“.

მაკდონალდის მიერ სიტყვის დასრულების შემდეგ, ხიკსმა ჩამოკიდა მაკდონალდს ოქროს მედალი. დელეგატებმა ფეხზე დგომით ოვაციები გაუმართეს მას. ოვაციების დროს გაისმოდა ინგლისური ცნობილი სუფრული სიმღერა: „ო, საუცხოვო ყმაწვილო“, თუმცა მაკდონალდს არაფერი უთქვამს საერთაშორისო პროფმოძრაობის შესახებ, მაგრამ მაინც ფაქტიურათ თავისი გამოსვლით, კამათის მოლოდინში, შექმნა გენსაბჭოსათვის სასურველი ატმოსფერა. (ადს).

გენსაბჭო ტრედიუნიონების საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ

ედინბურგი, 8 სექტემბერი, ყრილობის დღევანდელ დილის სხდომაზე გამოვიდა სიტრინი, რომელმაც აუხსნა ყრილობას გენსაბჭოს პოზიცია ინგლისის პროფკავშირთა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხში. ამ პოზიციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ანგარიშში, რომელიც წარუდგინა ყრილობას გენსაბჭომ და გენსაბჭოს იმ დამატებით ცნობაში, რომელიც დაურიგდა ყრილობის დელეგატებს გუშინ.

„ორი წლის განმავლობაში გენსაბჭო ცდილობდა შეთანხმების დამყარებას ინგლისელებსა და რუსებს შორის და რუსების შემოყვანას ამსტერდამის ინტერნაციონალში—სთქვა სიტრინმა—მაგრამ გენსაბჭოს ცდა უნაყოფო გამოდგა და დაარწმუნა, რომ ყოველგვარი ღონისძიება ზედმეტია, როგორც კაცი. რომელიც მუდამ მოლაპარაკების მსვლელობას თვალყურს ვადევნებდი, შემიძლია დავარწმუნო დელეგატები; რომ არა შეურაცყოფილმა გრძნობამ აიძულა გენსაბჭო გაეკეთებია თავისი წინადადება. ორივე მხარე სხვადასხვა შეხედულების იყო ინგლის რუსეთის კომიტეტის შესახებ. თავდაპირველათ იყო იმედი, რომ უშუალო კავშირი მოაწესრიგებდა ამ უთანხმოებას; მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. რუსები ფიქრობდენ, რომ მთელი დანარჩენი მსოფლიო ისევე უნდა მოქცეულიყო, როგორც რუსეთის ბრძოლის დაინტერესებული მეთაურები. გარდა ამისა; რუსები მოითხოვდენ; რომ მთელ მსოფლიოში გამოეყენებიათ მათი მეთოდები. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ აქვთ უფლება უკარნახონ კომიტეტს თავისი პოლიტიკა. ინგლისის პროფმოძრაობა-კი აშენებულია ავტონომიის პრინციპზე, რომელიც მიღებულია აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობაში. რუსებს ინგლის-რუსეთის კომიტეტი მიაჩნდათ ახალ საერთაშორისო ორგანიზაციათ და თავიდან ფიქრობდენ, რომ ამ კომიტეტის მოვალეობას შეადგენს მათი დისინდეტური ზრახვების განხორციელება მთელს მსოფლიოში. რუსები მუდამ ცდილობდენ კომიტეტის ფუნქციების გაფართოებას, მაგრამ ინგლისელები ლოიალურ განწყობილებას არ კარგავდენ იმ რეზოლიუციების მიმართ, რომლებიც მიღებული იქნა სკარბოროში და არ სურდათ არალოიალობა გამოეჩინათ ამსტერდამის ინტერნაციონალისადმი მანამდე, სანამ შედიოდა ამ ინტერნაციონალში. ინგლისელები ატარებდენ პატივისცემის პოლიტიკას იმ დაწესებულების მიმართ, რომლებიც არსებობდენ სხვა ქვეყანაში, და გაურბოდენ ყველაფერს, რაც შეიძლება ახსნილი ყოფილიყო როგორც გალაშქრება რუსეთის წინააღმდეგ. არავის არა აქვს შეგნებული ისე, როგორც ტრედიუნიონების კონგრესს ომის საფრთხე, არვინ არ ღებულობს იმდენ ზომებს მშვიდობიანობის დასაცავათ, როგორც ტრედიუნიონების კონგრესი, მაგრამ მშვიდობიანობის საქმისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ის მუდმივი სჯა-ბაასი ომზე, რომელსაც აწარმოებენ რუსები. ფაქტიურათ ინგლის-რუსეთის მთლიანობის კომიტეტი არ იძლევა უეჭველ გარანტიას ომის წინააღმდეგ.

გენერალური საბჭო ომის წინააღმდეგ გამოდიოდა ჯერ კიდევ 1920 წელს, ე. ი. ინგლის-რუსეთის კომიტეტის დაარსებამდე, პოლონეთის კრიზისის დროს. თუ კვლავ დადგა ომის საშიშროება, გენსაბჭო ისევ მიიღებს ზომებს მის წინააღმდეგ.

სიტრინმა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „რუსებისათვის კარები არ არის დაკეტილი“.

სამოქალაქო უწყებათა მოსამსახურეების კავშირის დელეგატმა ბრაუნმა შემოიტანა რეზოლიუცია გენსაბჭოს ანგარიშის იმ ნაწილის უარყოფის შესახებ, რომელიც ეხებოდა ინგლისის პროფკავშირთა საერთაშორისო ურთიერთობას. ბრაუნმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ბოლო დროს კრიტიკულია და ამის დასამტკიცებლად მოაგონა ყრილობას პირობები, რომლებიც არსებობენ საფრანგეთში, შეერთებულ შტატებში, ჩინეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში.

„რუსეთი — სთქვა ბრაუნმა — წარმოადგენს ერთად - ერთ ქვეყანას, სადაც კაპიტალიზმი დამხობილია. ესეც საკმარისია იმისათვის, რომ ინგლისის პროფმოძრაობამ მხარი დაუჭიროს რუსეთს. თვით გენერალური საბჭოც არ უარყოფს ომის საშიშროების არსებობას. ჩვენ გენსაბჭოს წინადადების მიღებით საუკეთესოთ შეუწყობთ ხელს ომს, ამაზე უკეთეს ვერაფერს მოვიმოქმედებთ ომის სასარგებლოთ“.

„მე სრულებით არ მაწუხებს ტომსკის საქციელი, — განაგრძო ბრაუნმა, — საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, თუ რა გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ურთიერთ მიმართ ინგლისის და რუსეთის მეთაურები, არამედ იმაში, რომ დაცული იქნეს ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს ინგლისის და საბჭოთა კავშირის უდიდესი მასიური მოძრაობას შორის“.

ორთქლმავალთა მემანქანეების კავშირის დელეგატმა კოლიკმა, რომელიც გამოვიდა ბრაუნის რეზოლიუციის დასაცავად, განაცხადა:

„გენსაბჭო ძლიერ დაშორდა იმ დავალებას, რომელიც დააკისრა მას პროფკავშირთა ყრილობამ გულში და რომლის თანახმად მას უნდა შეექმნა ერთიანი ინტერნაციონალი. გენსაბჭოს არ გამოუჩენია ენერგია ერთიანი ინტერნაციონალის შექმნის საქმეში. როდესაც ამსტერდამის ინტერნაციონალმა უარი სთქვა წინასწარი პირობების გარეშე პროფმოძრაობის მთლიანობის უზრუნველსაყოფად საერთაშორისო კონგრესის მოწვევაზე, გენსაბჭოს თვითონ უნდა მოეწვია ასეთი კონგრესი. რუსეთის პროფესიონალური მოძრაობა ინტერნაციონალიზმს ნაციონალიზმზე უფრო მაღლა აყენებს, კოლიკმა შემდეგ სთქვა: „ლაპარაკი ომის საშიშროებაზე უნიადაგო არ არის. ეს ლაპარაკი შეიძლება ისეთი სერიოზული ფაქტებით დადასტურდეს, როგორიცაა ინგლისის სამხედრო-საზღვაო უწყების მიერ მუშაობის განახლება როზიტაში და გუშინდელი განცხადება ინდოეთის დელეგატის სეტისა იმის შესახებ, რომ ინდოეთში სწარმოებს სამხედრო სამზადისი“.

დასასრულ კოლიკმა აღნიშნა, რომ გენსაბჭო რომელიც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა პროფკავშირების ლიდერების კრიტიკა, ივიწყებს იმ ფაქტს, რომ ინგლისის პროფკავშირთა ლიდერებიც კრიტიკაში ატარებენ საბჭოთა პროფესიონალურ მოძრაობას. (ადს).

ამხ. დოგადოვის განცხადება

მოსკოვი, 8 სექტემბ. „ტასს“-ის თანამშრომელთან საუბარში საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, ამხ. დოგადოვმა შემდეგი განაცხადა რუსეთ - ინგლისის კომიტეტის გაუქმების შესახებ ედინბურგის ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების გამო:

ცნობა რუსეთ - ინგლისის კომიტეტის გაუქმებაზე ედინბურგის კონგრესის მიერ გამოტანილ დადგენილების შესახებ საბჭოთა კავშირის მუშებისათვის მოულოდნელი არ არის. უკვე დიდია, განსაკუთრებით მემაღაროეთა გაფიცვის ლიკვიდაციის შემდეგ, გენსაბჭო და მისი ლიდერები აწარმოებდენ იერიშს რუსეთ - ინგლისის კომიტეტის წინააღმდეგ. გენსაბჭოს პოზიცია, რომელიც მან დაიკავა მემაღაროეთა გაფიცვის, „არკოს“-ზე თავდასხმის და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტის დროს, — აშკარად გვიჩვენებდა, რომ გენსაბჭო ნამდვილად ხდება კონსერვატიულ მთავრობის დამატებად და მთლად დადგა ბურჟუაზიის მხარეზე. ედინბურგის ყრილობა, რომელზედაც წარმოდგენილი არიან ტრედიუნიონების მოხელეები, სრულიად არ გამოხატავს ინგლისის მუშათა კლასის განწყობილებას. ედინბურგში თავმოყრილ კაპიტალის კომიტეტმა შეასრულა ბოლდუინის ნებისყოფა. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ზიზღით შეხვდება ედინბურგის კონგრესის ლიდერების საქციელს და გამონახავს გზებს და საშუალებებს, რომ ბოლდუინის აგენტების და შავი რეაქციის მსახურთა გარეშე უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ინგლისის მუშათა კლასს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ედინბურგის კონგრესის გადაწყვეტილება ინგლის - რუსეთის კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ ენერგიულ აღშფოთებას გამოიწვევს მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსან, რევოლიუციონურად განწყობილ მუშებში და პირველყოვლისა ინგლისის მუშებში. ინგლისის მუშათა კლასი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ მუშათა მოძრაობა, ე. წ. ლიდერებისაგან, გარდა მუშების ინტერესების გაცემისა, არაფერს არ შეიძლება მოელოდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ინგლისის მუშათა კლასი ახლო მომავალში ისტორიის სანაგვე ყუთში გადაისვრის ყველა ამ ხიკსებს და ტომასებს და შესცვლის მათ ისეთი ბელადებით, რომელნიც რევოლიუციონურ ბრძოლას აწარმოებენ მუშათა კლასის ინტერესებისათვის, კაპიტალისტების წინააღმდეგ (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

საუბარი ამხ. დავთიანთან

მოსკოვი, 8 სექტემბერი. თეირანში გამგზავრების წინ სპარსეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად ახლად დანიშნულმა ამხ. დავთიანმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„მე დანიშნული ვარ სპარსეთში სწორედ ისეთ დროს, როდესაც წარმატებით ბოლოვდება მოსკოვში ორივე მთავრობას შორის გამართული მოლაპარაკება სავაჭრო და ეკონომიურ ურთიერთობის და მათთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხების მოწესრიგების გარშემო. ეს შეთანხმებები გამომდინარეობენ 1921 წლის ხელშეკრულებიდან, რომლითაც მეგობრული კავშირი დამყარდა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის და რომელმაც ბოლო მოუღო მეფის მთავრობის მტაცებლურ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირსა და სპარსეთის ურთიერთობაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სავაჭრო [illegible] გაბმა ორივე ქვეყნის შორის, უკანასკნელ დრომდე ამ მხრივ ადგილი ჰქონდა მრავალ არასასიამოვნო ფაქტებს, რაც აიხსნებოდა უმთავრესად სავაჭრო ხელშეკრულების უქონლობით. მოსკოვში დადებული შეთანხმება სრულ გარკვეულობას შეიტანს ჩვენს სავაჭრო ურთიერთობაში და, უდავოა, განავითარებს და განამტკიცებს ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის. ამ შეთანხმებით საბჭოთა მთავრობა მთელ რიგ მნიშვნელოვან შეღავათებს აძლევს სპარსელ ვაჭრებს. სპარსეთთან ვაჭრობის თავისებურობის გამო, წესდება სპარსეთის საქონლის ულიცენზიო შემოზიდვა და სპარსელ ვაჭრებს ეძლევათ უშუალო ვაჭრობის უფლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ე. ი. უფლება განსაზღვრული კონტინგენტის საქონლის შემოზიდვა-გაზიდვის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის სპეციალური ნებართვის გარეშე. შეთანხმებას საფუძვლად აქვს დადებული ნეტტო. ბალანსის პრინციპი (ე. ი. ექსპორტ-იმპორტის თანასწორობა), ამასთან სპარსელ ვაჭრებს ეძლევათ დამატებითი უფლება გაიტანონ სპარსეთში საიმპორტო საქონლის რეალიზაციიდან აღებული ვალიუტა. შეთანხმება ითვალისწინებს სპარსეთის საიმპორტო საქონლის განსაზღვრულ კონტინგენტს, რომლის რაოდენობაც უახლოეს წლისათვის განსაზღვრულია 50 მილიონი მანეთით. გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე სესხის მიცემას სპარსელ ვაჭრებისათვის საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების საწარმოებლად.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეთანხმებას კმაყოფილებით შეხვდება სპარსეთის საზოგადოებრივი აზრი და ის სპარსეთის ეკონომიკას მისცემს საბჭოთა ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირების საშუალებას.

ყველა შეღავათები, რომლებსაც ჩვენ ვაძლევთ სპარსეთის ხალხს, გამოწვეულია სპარსეთის სამეურნეო ცხოვრების ამაღლების და ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებისათვის ხელის შეწყობის გულწრფელი სურვილით.

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრი. უდიდესი ინტერესით და ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმ მიღწევებს ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგში, რომლებიც სპარსეთის [illegible] ამ უკანასკნელ წლებში. თუ წარსულში, როდესაც სპარსეთი დაუძლურებული იყო ინგლისისა და მეფის მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკის წყალობით, მისი პოლიტიკა ქანაობდა ამ ორ ძალას შუა, სამაგიეროდ ეხლა სპარსეთის სახელმწიფომ მოიპოვა საკმაო დამოუკიდებლობა როგორც საშინაო, ისე საგარეო ურთიერთობაში. ჩვენ სრული სიმპატიებით ვეკიდებით სპარსეთის ყველა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სპარსეთის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ.

უკანასკნელ წლებში სპარსეთში ტარდება მთელი რიგი რეფორმები, რომლებმაც მტკიცე საფუძველი უნდა ჩაუყარონ ქვეყნის დემოკრატიზაციას და მისი დამოუკიდებლობის შემდგომ განმტკიცებას. მეტად საყურადღებოა სპარსეთის მთავრობის გადაწყვეტილება იმ ვალდებულებათა გაუქმების შესახებ, რომელიც უთანასწორო ხელშეკრულებებზეა აგებული, როგორც ვიცით, საბჭ. კავ. ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც საკუთარი სურვილით გააუქმა უთანასწორო ხელშეკრულებები და ამნაირად სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულება, დადებული 1921 წ., სპარსეთის მთავრობისათვის წარმოადგენს პირველ ხელშეკრულებას, რომელიც ემყარება ურთიერთ პატივისცემისა და სრული თანასწოროუფლებიანობის პრინციპს. ამჟამად მთელი რიგი სახელმწიფოები, რომელთა ქვეშევრდომნიც სპარსეთში ჯერ კიდევ სარგებლობენ კაპიტულიაციის რეჟიმით (ე. ი. არ ემორჩილებიან ადგილობრივ სასამართლოებს და სარგებლობენ მთელ რიგ პრივილეგიებით), იძულებული გახდებიან დასდონ სპარსეთთან ახალი ხელშეკრულებები; თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

არა ნაკლებ საინტერესოა ის რეფორმები, რომლებსაც ამ უკანასკნელ წლებში ატარებს სპარსეთის მთავრობა სასამართლო, სახალხო განათლების; ფინანსიურ და აგრეთვე სპარსეთის მრეწველობის განვითარების დარგში. აგრეთვე ყურადღებას იქცევს მიწის საკითხის სამართლიანად გადაჭრა. ყველა ეს ფაქტები მოწმობენ, რომ თუ სპარსეთი ბოლომდე და მტკიცედ გაატარებს აღნიშნულ მნიშვნელოვან წარმატებებს თავისი სახელმწიფოებრივობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში, ამ შემთხვევაში, რასაკვირველია; საბჭოთა კავშირი მასთანაა და ის მუდამ მხურვალედ გამოეხმაურება მას.

ახლო ხანში შეთანხმებაზე ხელის მოწერა კიდევ უფრო გააღრმავებს საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულებას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მტრების ვერავითარი ინტრიგა, რომელიც განსაკუთრებით სპარსეთშია საგრძნობი, ვერ შეარყევს სპარსეთის მთავრობის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირთან დაახლოების პოლიტიკას. სპარსეთის ხალხის ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო მეგობრულ კავშირს საბჭოთა კავშირის ერებთან. სპარსეთის მთავარი ეკონომიური ინტერესები მჭიდროთაა გადახლართული საბჭოთა კავშირის ინტერესებთან. რამდენად უფრო მტკიცე იქნება ჩვენი ურთიერთობა და რამდენადაც უფრო მეგობრული იქნება სპარსეთის მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, იმდენად უფრო სწრაფად განვითარდება სპარსეთის სამეურნეო ცხოვრება და ხალხის კეთილდღეობა. მე დარწმუნებული ვარ, სპარსეთის გონიერი მთავრობა აუცილებლად დაადგება ამ გზას და ყურადღებას არ მიაქცევს ჩვენი საერთო მტრების ინტრიგებს და წასისიანებს“. (ადს).

დავითიანი

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სპარსეთში ამხ. დავითიანი

გაჩუმდნენ

საბჭოთა წარმომადგენლობის წინააღმდეგ მტრული კამპანია შესწყდა

ვარშავა, 7 სექტემბერი. პოლონური გაზეთების კამპანია სრულუფლებიან წარმომადგენლობის წინააღმდეგ ტრაიკოვიჩის თავდასხმასთან დაკავშირებით, როგორც სჩანს, საბოლოოდ შესწყდა. მთავრობასთან ახლო მდგომი გაზეთები დღეს სრულიად არ იხსენიებენ ამ ამბავს, ხოლო ოპოზიციონური გაზეთები გაკვრით ეხებიან მას.

გადაფრენები

ტრანსატლანტიის გადაფრენები

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. ნიუ-ფაუნდლენდიდან ლონდონში გაფრინდა კანადის ჰაეროპლანი. მეორე კანადელი მფრინავი გაფრინდა მენის შტატიდან და მიფრინავს ვინძორის (ინგლისი) მიმართულებით.

ამერიკელი მფრინავისაგან, რომელიც რომში გაფრინდა, რადიოთი მიღებულია უბედურების სიგნალი, რომელიც გამოგზავნილია 500 მილის მანძილზე ზღვის ნაპირიდან. (ადს).

ამხ. შესტაკოვის უკან გამოფრენა

ტოკიო, 7 სექტემბერი. შიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა მფრინავ **შესტაკოვის** აპარატმა, რომელშიაც ზის საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებული **ბესედოვსკი**, გამოსამშვიდობებელი ფრენა მოახდინა ტოკიოზე. ჰაეროპლანმა გადმოჰყარა მრავალი ფურცლები, რომელშიაც ემშვიდობება და მეგობრულ სალამს უძღვნის ქალაქის მცხოვრებთ. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, შესტაკოვი უკან გამოფრინდება 9 სექტემბერს. (ადს).

დასავლეთ ევროპის გარშემო

მოსკოვი, 8 სექტემბერი. გუშინ ღამით, მოსკოვის ჰაეროდრომიდან აფრინდა მფრინავი **შებანოვი**, რომელსაც განზრახული აქვს მოახდინოს გადაფრენა დასავლეთ - ევროპის გარშემო. შებანოვი მიფრინავს ჰაეროპლან „პროლეტარით“ — რომელზედაც დადგმულია 400 ცხენის ძალიანი საბჭოთა მოტორი. გაფრენიდან 7 საათის შემდეგ შებანოვი დაეშვა კენიგსბერგში, ამრიგად მან დაფარა 1.200 კილომეტრი 160 კილომეტრის სისწრაფით საათში. დღეს შებანოვი აფრინდება კენიგსბერგის ჰაეროდრომიდან და პრაგაში დაუშვებლად გაფრინდება ვენისაკენ. შემდეგი მარშრუტია: პრაგა — პარიზი — ბერლინი — კოპენჰაგენი, სტოკჰოლმი, რეველი, ლენინგრადი, მოსკოვი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მეტრიული რეფორმა

მოსკოვი, 8 სექტემბერი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ცენტრალურ მეტრიულ კომისიის თავმჯდომარემ პროფ. ფედოროვსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობისა და ვაჭრობის მეტრიზაცია წარმატებით მიმდინარეობს.

პურის დასამზადებელი მიმდინარე კამპანია ტარდება მეტრიული წონის მიხედვით. მთელ საბჭოთა კავშირში მეტრიული სისტემა მთლიანად გატარდება ახლობელ სამი წლის განმავლობაში. (ადს).

უცხოეთის სავაჭრო აპარატის შემსწავლელი დელეგაცია

მოსკოვი, 8 სექტემბერი. ახლო მომავალში ვაჭრობის სახ. კომისარიატი, ცენტროსოიუზი და მომხმარებელ საზოგადოებათა მოსკოვის კავშირი უცხოეთში აგზავნიან სპეციალურ დელეგაციას სავაჭრო-კოოპერატიული ტექნიკის გასაცნობად. საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირის ცეკამ ვაჭრობის სახ. კომისარიატს მიმართა წინადადებით დელეგაციის შემადგენლობაში შეიყვანოს ტექნიკური მუშაკები—მაღაზიის გამგე, უფროსი ნოქარი, მოანგარიშე და საწყობის გამგე იმ მიზნით, რომ დელეგაცია უკეთ გაეცნოს ვაჭრობისა და კოოპერატიული ტექნიკის საკითხებში და საზღვარგარეთ მიღებული გამოცდილება გამოიყენოს საბჭოთა სავაჭრო აპარატში. (ადს)

თათბირი ფილოქსერასთან საბრძოლველად

სიმფეროპოლი, 7 სექტემბერი. სიმფეროპოლში გაიხსნა საკავშირო ტექნიკური თათბირი ფილოქსერასთან საბრძოლველად. თათბირზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ—რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების, ტიმირიაზევის აკადემიის, უკრაინის, ჩრდილოეთ-კავკასიისა და ამიერ-კავკასიის წარმომადგენლები (ადს).

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წ. თავის დღესასწაულის მომწყობ კომისიისაგან

მოსკოვი, 8 სექტემბ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან არსებული ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მომწყობი და ჩამტარებელი კომისიის პლენუმი აღნიშნავს, რომ მოსამზადებელი მუშაობა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მოწყობისათვის ვერ ვითარდება საკმაო ტემპით; ამასთანავე კომისიის პლენუმი ყველა დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ აუცილებელია წინეთ გაცემული დირექტივების შესრულების და მთელი მოსამზადებელი მუშაობის მდგომარეობის შემოწმება.

ამასთან ერთად დამატებით იმ ძირითადი დირექტივების, რომლებიც კომისიის აპრილის პლენუმმა დაგზავნა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების შესახებ, პლენუმი აუცილებლად სთვლის შემდეგ ღონისძიებათა გატარებას:

აუცილებელია, რომ ალმასკომებმა დაწყებული მოკავშირე რესპუბლიკების ცაკებიდან დაგათავებული სათემო ალმასკომით) გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობის გაწევა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის მოსამზადებელ მუშაობისათვის. ყოველმა ალმასკომმა არა უგვიანეს ა.-წ. 15 სექტემბრისა უნდა მოისმინოს ოქტომბრის რევ. ათი წლის თავის მომწყობ სათანადო კომისიების მოხსენებანი და აგრეთვე ყველა იმ ორგანიზაციების მოხსენებები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ დღესასწაულის მზადებაში; მოხსენებაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რამდენად ეთანხმება მათი მუშაობა საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებული კომისიის ყველა დირექტივებს.

ალმასკომებმა უნდა უზრუნველჰყონ იმ დირექტივების განხორციელება, რომელნიც შეეხება მუშათა და გლეხთა მაქსიმალური თვით მოქმედების განვითარებას იუბილეისათვის მოსამზადებელ მუშაობაში და საბჭოთა კავშირის შრომელთა ფართო ფენების ორგანიზაციულ მონაწილეობას ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულში. დაუყოვნებლივ გატარებულ უნდა იქნას ცხოვრებაში ყველა ის ღონისძიებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ამ დირექტივის შესრულებას.

საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმთან არსებული კომისია საჭიროდ სცნობს შემდეგს:

ა) ყველა წარმოებებში, კონფერენციებზე, ყრილობებზე, სასოფლო კრებებზე ან სასოფლო საბჭოების სხდომებზე ქალაქად ან სოფლად სექტემბრის განმავლობაში მოსმენილი უნდა იქნას სამაზრო საორგანიზაციო კომისიების მოხსენებანი; ამასთანავე ამ კრებების მუშაობა ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული პრესაში.

ბ) ყველა ადგილობრივმა კომისიებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ყოველმა აქტიურმა მუშამ და გლეხმა იკისროს ადგილობრივი კომისიის გამსაზღვრული დავალება და შევიდეს იმ ამხანაგთა ჯგუფში, რომელნიც კომისიის ხელმძღვანელობით უშუალოდ მუშაობენ დღესასწაულის ამა თუ იმ ნაწილის მომზადებისათვის.

გ) აუცილებელია ეხლავე დაიწყოს მზადება მოგონებათა საღამოებისათვის, რომლებმაც უნდა დაასურათონ რევოლიუციის უკანასკნელი ეტაპები: ცარიზმი, ოქტომბრის გადატრიალება და სამოქალაქო ომი განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ინტერვენციის და თეთრი ტერორის ფაქტები), ეკონომიური ნგრევა და სოციალისტური აღმშენებლობა.

დ) რომ მასებმა დღესასწაულში უდიდესი თვითმოქმედება და შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინონ აუცილებელია, რომ დღესასწაულის დროს ყოველ წარმოებაში და ყოველ სოფელში სავსებით იქნას გამომჟღავნებული ადგილობრივი რევოლიუციონური გამოცდილება და ადგილობრივი სოციალისტური აღმშენებლობის შედეგები, მაგრამ იმგვარად, რომ ყოველივე ეს დაუკავშირდეს საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის საერთო ამოცანებს.

ე) კომისია ცნობს, რომ ადგილობრივი და ცენტრალური პრესა საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ოქტომბრის რევ. ათი წლის თავს და საჭიროდ სთვლის ადგილობრივმა კომისიებმა აუცილებლად მიაქციონ ყურადღება: ა) პრესის ფურცლებზე გაშუქებულ იქნას მოვლენათა მსვლელობა 1917 წლის ოქტომბერში, განსაკუთრებული მომენტები აღნიშნულ უნდა იქნას წერილებში და ამგვარად გაფართოვდეს მუშაობა იმ მიმართულებით, რომ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს განემარტოს ოქტომბრის რევოლიუციის არსება; ბ) გაშუქებულ იქნას ადგილობრივი ოქტომბრის კომისიების, და აგრეთვე საბჭოთა, პროფკავშირთა და სხვა ორგანიზაციების მუშაობა, რამდენადაც მათი მუშაობა დაკავშირებულია ოქტომბრის რევ. 10 წლის თავის დღესასწაულის მომზადებასთან; გ) ოქტომბრის რევ. დღესასწაულის მოსამზადებელ ღონისძიებათა განხილვასა და შეფასებაში ადგილებზე ჩაბმულ უნდა იქნან მუშგლეხკორთა ფართო წრეები და საერთოდ გაზეთის მკითხველები იმგვარად, რომ ცალკე წარმოებებსა და დაწესებულებებს შორის მოხდეს შეჯიბრება მზადების საქმეში; დ) პარტიული ლიტერატურის პოპულიარიზაცია, როგორც საბიბლიოგრაფიო განყოფილებებში, ისე იმ მხრივ, რომ გაზეთებში უნდა დაიბეჭდოს ამონაწერები დასაბეჭდად გამზადებული და უკვე გამოცემული წიგნებიდან, რომლებიც შეეხება ოქტომბრის გადატრიალების და მისი წინა პერიოდის ისტორიას; ე) ყოველ წარმოებაში და დაწესებულებაში სოფლად გლეხკორებმა უნდა შეიმუშაონ თავისი გეგმები დღესასწაულში მონაწილეობისათვის, როგორც საერთო პრესისათვის ხელის შეწყობით, ისე კედლის გაზეთების სპეციალური ნომრების, პლაკატების და სხ. მომზადებით.

ინგლის-ფინეთის ჯაშუშების გასამართლება

დოცენტი—ჯაშუში

ლენინგრადი, 8 სექტემბერი. 7 სექტემბრის დილის სხდომაზე დაკითხულ იქნა სატყეო ინსტიტუტის დოცენტი **ნიკიტინი**, რომელმაც თავი სცნო დამნაშავედ მხოლოდ იმაში, რომ იცოდა გრუზდევის ჯაშუშობა და არ აცნობა ეს ხელისუფლებას. ნიკიტინი უარყოფს, რომ ის გრუზდევს აწოდებდა ცნობებს ქიმიურ მრეწველობის საკითხების შესახებ.

კუნიცინ-ნარადოვი

შემდეგ დაჰკითხეს ერთ-ერთი სამხედრო გუმის ქიმიკოსს **ევგენი კუნიცინ-ნარადოვს**. კუნიცინი აცხადებს, რომ ჯაშუშობას ის სჩადიოდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამო, მატერიალურად კი არ ყოფილა დაინტერესებული. ჯაშუშური მუშაობა დაიწყო 1924 წელში, როდესაც კუნიცინთან გამოცხადდა უცნობი პირი პაროლით და თავი გააცნო ესერად. უცნობმა პირველად სთხოვა კუნიცინს საერთო-პოლიტიკურ ხასიათის ცნობების მიწოდება, შემდეგ კი მოუტანა დავალებათა მთელი სია, რომლებსაც უახლოესი დამოკიდებულება ჰქონდათ თავდაცვის საკითხებთან.

პირველი შეხვედრის დროს უცნობმა გადასცა კუნიცინს 30 მანეთი დახმარების სახით. შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მას დავალებული ჰქონდა გადაეცა კუნიცინისათვის 50 მანეთი. იმის შემდეგ, რაც კუნიცინმა გასწყვიტა კავშირი ფინეთის დაზვერვასთან, დანაკლისი ფულისა მიეცა კუნიცინის ცოლს ფინეთის საკონსულოში.

უცნობ პირთან კავშირის გაწყვეტა მოხდა იმის გამო, რომ კუნიცინს საჭიროდ მიაჩნდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლა. არა მარტო ჯაშუშობის საშუალებით, არამედ უფრო ენერგიული ზომებითაც.

შემდეგ ერთხელ უცნობმა მოუტანა კუნიცინს მონარქისტული პროკლამაციები. ამან ისე აღაშფოთა კუნიცინი, რომ მან დახია პროკლამაციები და განუცხადა ფინეთის აგენტს, რომ არავითარი საქმის დაჭერა მასთან აღარ სურს. კუნიცინი აცხადებს, რომ ის ცნობები, რომლებსაც ის აწვდიდა უცნობს თავდაცვის საკითხების შესახებ, დანიშნული იყო ფინეთის დაზვერვისათვის.

ევგენი კუნიცინის ძმა ლეონიდი აღიარებს, რომ მან იცოდა თავისი ძმის ჯაშუშობა და თითქოს კიდეც ურჩევდა მას დაენებებია თავი ჯაშუშობისათვის. მაგრამ ამას არ ეთანხმება მის მიერ წინასწარ გამოძიებაზე მიცემული ჩვენება.

კუნიცინის ცოლს თავის ქმრის ჯაშუშური ცნობები დაუბეჭდავად მიჰქონდა ფინეთის საკონსულოში და იცოდა მათი შინაარსი.

საღამოს სხდომაზე დაჰკითხეს საარტილერიო პოლკის უფროსი **ვირშიკოვსკი** და საარტილერიო პარკის უფროსის ყოფილი თანაშემწე **პაშკოვსკი**. ორივე კატეგორიულად უარჰყოფს თავის დანაშაულს. (ადს).

პარტიული ცხოვრება

თბილისის ორგანიზაციის რაიკომების პლენუმები

თბილისის ორგანიზაცია იწყებს უჯრედთა ბიუროების არჩევნებს; არც ერთი მერყევი ბოლშევიკი უჯრედის ბიუროს შემადგენლობაში; — მეტი ყურადღება შინაპარტიულ დემოკრატიის განმტკიცებას: — მეტი ყურადღება საქმიან თვითკრიტიკას;--ვემზადოთ რაიპარტკონფერენციების მოწვევისათვის; — ერთიანი ლენინური რიგებით მივიდეთ მე-XV პარტყრილობაზე.

ლენინის რაიონში

გუშინ, საღამოს, პლეხანოვის სახელობის კლუბში შესდგა საქ. კომ. პ. (ბ) ლენრაიკომის მორიგი პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი უჯრედების ბიუროების ხელახალი არჩევნების მომავალი კამპანიის ჩატარების და პარტაღმზრდელობითი ქსელის გაფართოების შესახებ.

ინსტრუქტიული მოხსენებით მომავალი კამპანიის შესახებ გამოვიდა ამხ. **გუდავაძე**.

უჯრედთა ბიუროების მომავალი გადარჩევის ძირითად ამოცანას აღნიშნა მომხსენებელი—წარმოადგენს ჩვენი ორგანიზაციების რიგების მთლიანობის და სიმტკიცის შემოწმება. განსაკუთრებულ ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედის ბიუროს მუშაობის თვითშემოწმებას. თვითეულმა უჯრედმა უნდა აღნიშნოს ის ნაკლი, რომელიც აღმოჩნდება აღმზრდელობით მუშაობის დარგში და უდიდესი ყურადღება უნდა [illegible] მუშაობას თავდაცვის საქმისათვის. გადარჩევის კამპანიამ ჯამი უნდა გაუკეთოს ნაკლს, რომელიც აღმოჩნდება უჯრედის მუშაობაში და უნდა მიუთითოს პარტიულებს ამ ნაკლზე.

პლენუმმა დაავალა რაიკომის პრეზიდიუმს დაიწყოს მოსამზადებელი მუშაობა უჯრედის ბიუროების გადარჩევის კამპანიის ჩასატარებლად იმ ანგარიშით, რომ 20 სექტემბრისათვის კამპანია უკვე დამთავრებული იქნეს.

შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა რაიკომის პრეზიდიუმის დადგენილება რაიპარტკონფერენციის 6 ოქტომბრისათვის მოწვევის შესახებ. პლენუმმა მიიღო თბილისის კომიტეტის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი, მხოლოდ შეავსო ის მოხსენებით ა.-კ. რკინისგზების მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ პლენუმმა განიხილა საკითხი რაიონში პარტქსელის გაფართოების შესახებ. მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამჟამად აღმზრდელობითი მუშაობას პარტიულებს შორის. რ—მა მიიღო ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ პარტიული ამხანაგები მაქსიმალურად იქნენ ჩაბმული პარტგანათლების ქსელში. ჩატარებულ იქნა მუშაობა ყოველი პარტიული ამხანაგის ცოდნის გამოსარკვევად. პლენუმმა მომავალი სამოსწავლო წლისათვის დაამტკიცა პარტგანათლების შემდეგი ქსელი: პირველი საფეხურის—10 სკოლა, მეორე საფეხურის — 14 სკოლა, უმ. საბ.-პარტიული სკოლა — 12. სკოლების მოეწყობა რუსულ და ქართულ ენებზე, ხოლო 2 სკოლა ოსურ ენაზე. გარდა ამისა რაიონებში მოეწყობა საგნობრივი წრეები. პლენუმზე კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ ნაკლულევანებას წარსულ სამოსწავლო წელში და აყენებდენ მთელ რიგ ღონისძიებებს ამ ნაკლთა აღმოსაფხვრელად.

მომავალი სადელეგატო კრებების გადარჩევის შესახებ და საბჭოს წევრთა საანგარიშო კამპანიის შედეგების შესახებ საკითხის განხილვის შემდეგ, პლენუმის სხდომა დაიხურა.

მეორე რაიონში

8 სექტემბერს, გემო - კვების კავშირის კლუბში შესდგა არსენალის რაიკომის პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა სამი საკითხი:

პირველი საკითხის — მუშკოოპის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ერისთავმა**, რომლის მოხსენება მოყვანილი იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში (იხ. თბილისის კომიტეტის პლენუმის ანგარიში).

ერისთავის შემდეგ გამოვიდა ამხ. არზუმანაშვილი, რომელმაც ინფორმაციული მოხსენება გააკეთა უჯრედთა ბიუროების მომავალი გადარჩევის შესახებ.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა გადარჩევის კამპანიის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ აუცილებელია სათანადო პასუხი გაეცეს ოპოზიციის გამოსვლებს.

მოხსენების გარშემო გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ გადარჩევის კამპანიაში აუცილებლად უნდა იქნას ჩაბმული რაიკომის წევრები. ეს უნდა გატარდეს ამ ამხანაგების მიმაგრებით უჯრედებზე, კონტროლის გატარებისათვის, თბ. კომიტეტის დირექტივების შესასრულებლად და გადარჩევისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

კამათში გამოსული ამხანაგების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ საუჯრედო მუშაობის შემოწმება აუცილებლად უნდა გატარდეს ზედმიწევნით და ყოველმხრივ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა თბილისის კომიტეტის ცირკულიარული წერილი გადარჩევის შესახებ. პლენუმმა რაიკომს დაავალა, რომ წერილის მიხედვით შეიმუშაოს კალენდარული გეგმა რაიონებში არჩევნების ჩატარებისათვის.

დასასრულ ამხ. **შავერდოვამ** გააკეთა მოხსენება დელეგატ - ქალთა გადარჩევის კამპანიის საკითხის შესახებ.

მესამე რაიონში

გუშინ მე-3-ე რაიკომის შენობაში შესდგა რაიკომის პლენუმის კრება.

პლენუმმა მოისმინა ამხ. შავერდოვას მოხსენება სადელეგატო კრებების ხელახალი არჩევნების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ ზოგიერთ მიღწევებისა, სადელეგატო კრებები ჯერ არ წარმოადგენენ პრაქტიკულ მუშაობის სკოლას და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კომუჯრედმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტმუშაობის ამ დარგს. საჭიროა წარმოებებსა და დაწესებულებებში დაისვას საკითხი სადელეგატო კრებების ხელახალი არჩევნების შესახებ. უჯრედებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამხანაგებს, რომლებიც გამოყოფილი იქნებიან ქალთა ორგანიზაციებში სამუშაოთ. მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: კონჩალმა, ვანო სტურუამ, ვანციანმა, სოხიანმა, ალი ზადემ, პეტროსიანმა, დვორიანოვმა, მატევოსოვმა, მაქსიმოვმა.

რეზოლიუციაში, რომელიც მიღებული იქნა მოხსენების გამო, პლენუმი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა უჯრედების ხელმძღვანელობის გაძლიერება მუშაობის ამ დარგში. რაიკომს ევალება მიიღოს ზომები კურსების დასაარსებლათ ქალთა შორის ორგანიზატორების მოსამზადებლათ. სადელეგატო კრებების არჩევნები გადაწყვეტილია ჩატარებული იქნეს, როგორც მასიური კამპანია.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ვართანოვის მოხსენება კომუჯრედის ბიუროს მომავალი გადარჩევის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიკომის დადგენილების თანახმათ, არჩევნები მე-3-ე რაიონში გადაწყვეტილია დაწყებული იქნეს 14 სექტემბერს. არჩევნებამდე ჩატარებული იქნება მოსამზადებელი მუშაობა. შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის ამოცანები, რომელიც სდგას უჯრედების წინაშე არჩევნების ხანაში საერთაშორისო და შინა-პარტიულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ვანო სტურუამ, გალიჩმა, ქანდარელმა, პეტროსოვმა; ჩოდრიშვილმა, ვანციანმა.

მიმდინარე საკითხების განხილვის დროს პლენუმმა დაამტკიცა მიმღები კომისიის ოქმები, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

მეოთხე რაიონში

გუშინ, პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი:

1. უჯრედის ბიუროს გადარჩევები და უახლოესი პარტკონფერენცია.
2. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. კუდრიავცევი. ბიუროების გადარჩევის კამპანიას — განაცხადა მან, ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს კამპანია უკავშირდება პარტკონფერენციების სამზადისს და პარტხელმძღვანელობის გამაგრებას. კამპანიის ნაყოფიერად ჩატარების მიზნით საჭიროა უჯრედებში შეიქნას შემმოწმებელი კომისიები, რომლეთაც უნდა გამოარკვიონ უჯრედის როგორც მიღწევანი, ისე დეფექტებიც.

ბიუროს შემადგენლობაში უნდა გავიყვანოთ ლენინურად გამობრძმედილი ამხანაგები. გადარჩევები უნდა ჩატარდეს შინაპარტიულ დემოკრატიის მტკიცედ დაცვით.

რაც შეეხება პარტკონფერენციის ჩატარებას, ასეთი მოწვეული იქნება, 12—14 ოქტომბერს. რაიკომის აზრით დელეგატთა ნორმა იქნება 15 წევრზე—1 დელეგატი, სათათბირო ხმით დელეგატები არ აირჩევიან.

უახლოეს პერიოდში ჯგუფურ და ზოგიერთ მსხვილ უჯრედის კრებებზე მოსმენილი იქნება რაიკომის საანგარიშო მოხსენებები.

ვ. დ—ა.

მტკიცეთ დავიცავთ პარტიის მთლიანობას

ამხ. ხარაბაძის განცხადება

„83-ის განცხადებაზე ჩემ მიერ ხელის მოწერის გამო ვაცხადებ შემდეგს: იმ დღიდან, რაც უთანხმოება წარმოიშვა პარტიის ცეკასა და ოპოზიციის შორის, მე არც ერთ ჯგუფში და ფრაქციულ მუშაობაში მონაწილეობა არ მიმიღია, ვინაიდან ვფიქრობ, რომ ყოველგვარი უთანხმოება, რომელსაც ადგილი აქვს პარტიაში, უნდა განხილულ იქნას და გადაწყდეს პარტიის წესდების ფარგლებში და ამიტომ დაუშვებლად მიმაჩნია რომელიმე ისეთი არალეგალური ფრაქციების შექმნა საკავშირო კომპარტიის (ბ) შიგნით, რომელნიც არღვევენ პარტიის მთლიანობას.

მე არ ვიზიარებდი ოპოზიციის პოლიტიკურ შეხედულებებს და ყოველთვის ვიყავი იმის მომხრე, რომ სადაო საკითხები პარტიის ცეკასა და ოპოზიციის შორის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო, და, ვინაიდან „83-ის“ განცხადებაში იყო ისეთი მუხლები, რომლებიც მოითხოვენ უთანხმოების ერთად განხილვას ცეკას პლენუმზე და იძლეოდენ პარტიის მთლიანობის შენარჩუნების გარანტიას, მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ, — მე არ ვეხებოდი სხვა მუხლებს, — მოვაწერე ხელი ამ განცხადებას. შეცდომად ვსთვლი, რომ არ გავაკეთე ეს არსებითი შესწორება.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, განიხილა რა ყველა საკითხები, გამოიტანა სათანადო დადგენილებანი, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ ჩემს გულწრფელ სურვილს— გამონახული იქნას გზა პარტიის მთლიანობის დამყარებისათვის და ამის შემდეგ ჩემს ხელმოწერას „83-ის“ განცხადებაზე, ვსხნი.

ვდგევარ რა საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგების მთლიანობის შენარჩუნების სადარაჯოზე, დაუშვებლად ვსთვლი ფრაქციული მუშაობის გაგრძელებას, რის შეწყვეტის საკმაო გარანტიას ჩემის აზრით, არ იძლევა ოპოზიციის მიერ ცეკასა და ც. ს. კ. პლენუმზე გაკეთებულ განცხადების ზოგიერთი ადგილებმ. იმის შემდეგაც კი, როცა პლენუმმა გამოიტანა დადგენილება, რომლის ცხოვრებაში გატარება იძლევა საშუალებას ყველა უთანხმოებანი განვიხილოთ და გადავსწყვიტოთ პარტიული წესდების ფარგლებში პარტიის მეათე ყრილობის დადგენილების მიხედვით.

მე სავსებით მაკმაყოფილებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებანი, და ჩემს პარტიულ მოვალეობად ვსთვლი, რომ როგორც დღემდე, ისე მომავალში გავაგრძო პარტიის ხაზის შეურყევლად ცხოვრებაში გატარება.

საქართველოს კომპარტიის (ბ) წევრი—
კ. ხარაბაძე.

კომკავშირში

შევამჭიდროვოთ რიგები ლენინის დროშის ქვეშ

(საქ. ა. ლ. კ. კ. თბილ. ორგ. აქტივის კრება)

გუშინ, წით. არმ. კლუბში შესდგა საქ. ა. ლ. კ. კ. ქალაქის აქტივის კრება. ვრცელი მოხსენებით საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. საკ. კ. პლენუმის შედეგების შესახებ გამოვიდა ამხ. მიხ. კახიანი.

კრებამ, რომელსაც დაესწრო 600-მდე კაცი, 5—წინააღმდეგ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. უკანასკნელ პლენუმის შედეგების შესახებ, ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციების აქტივის საერთო კრება სავსებით ეთანხმება გაერთიანებული პლენუმის გადაწყვეტილებებს და აღუთქვამს ცეკას ენერგიულ დახმარებას ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში უკლებლივ გასატარებლათ.

სცნობს რა სავსებით სწორად ც. კ. და ც. ს. კ. ღონისძიებებს, რომელნიც მიმართულნი არიან პარტიაში მთლიანობის დაცვისაკენ, კრება ამასთანავე აღნიშნავს ოპოზიციის უკანასკნელ განცხადების არაგულწრფელობას, რადგან იგი არ იძლევა არავითარ გარანტიას ოპოზიციის მიერ ანტიპარტიულ გამოსვლების და პარტიის მთლიანობის დარღვევისაკენ მიმართულ მოქმედებების შეწყვეტის შესახებ,.

ლენინური კომკავშირი მხარს დაუჭერს პარტიის ყველა ღონისძიებათ პარტიის ფოლადისებური მთლიანობის და რკინის დისციპლინის შესანარჩუნებლათ, ვინაიდან მაშინ, როდესაც კაპიტალისტური ქვეყანა გაცხოველებით ამზადებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, როდესაც იმპერიალისტები იყენებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ პროვოკაციას, პარტიული დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა ობიექტურათ ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციას.

პარტიის და კომკავშირის მთელი ყურადღება, მიმდინარე მომენტში, მიქცეული უნდა იყოს სოციალისტური მშენებლობის ერთსულოვან და პრაქტიკულ განხორციელებისაკენ. პარტიამ და კომკავშირმა ანგარიში უნდა გაუწიონ იმ გარემოებას, რომ სწორედ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის საქმიანი კონკრეტიული წარმატება და მიღწევები წარმოადგენენ მსოფლიოს პროლეტარული რევოლიუციის სტიმულს და დასაყრდენს. კრება სთხოვს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს უზრუნველყოს სოციალისტური მშენებლობის ნორმალური მსვლელობა, ყველა ზომებით, პარტიის რიგებიდან გაძევების საშუალებამდე ალაგმოს ალვირახსნილი ოპოზიციონერები და საბოლოოთ მოსპოს მათი დეზორგანიზატორული მოღვაწეობა.

კრება ეხება რა ადგილობრივ კომკავშირის ოპოზიციის საბრალო და უპრინციპო გამოსვლებს, იმ ოპოზიციის, რომელშიაც ითვლება მხოლოდ ობივატელურათ მოაზროვნე კომკავშირელების ერთეულები, აღშფოთებით აღნიშნავს, რომ მთელი მათი „მოღვაწეობა“ გამოიხატება დეზორგანიზატორულ მოქმედებაში, რომელიც მიზნათ ისახავს სრულიად ჯანსაღ კომკავშირელთა ორგანიზაციაში არევ-დარევის შეტანას, პარტიული ოპოზიციის ლოზუნგების მექანიკური განმეორებით. თავის მხრით-კი კომკავშირის ოპოზიცია უძლურია წამოაყენოს ისეთი ნათელი დებულება, რომელიც ხელს შეუწყობდა კომკავშირის განვითარებას და მუშაობის გაუმჯობესებას.

კრება ესალმება და ყოველგვარ დახმარებას პირდება საქართველოს ახ. ლ. კომ. კავშირის ცეკას და იწონებს მისი ხელმძღვანელობის სწორ, ბოლშევიკურ ხაზს და ბრძოლას ერთ მუჭა ინტელიგენტ - ოპოზიციონერების უმსგავსო გამოსვლების წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საქ. კომ. პარტიის ფოლადისებურ მთლიანობას და მისი ცეკას ნაცად ხელმძღვანელობას!

ანდრე მარტი--მარშალ ფოშს*)

მარშალ ფოშს, მოკავშირეთა ჯარების ყოფ. მთავარსარდალს

ბატონო მარშალო!

ინგლისურ გაზ. „ოეფერი“-ში დაბეჭდილია თქვენი ინტერვიუ, რომელშიაც თქვენ ამტკიცებთ, რომ 1919 წლის თებერვალში ელჩთა კონფერენციის სხდომაზე თქვენ გაგიცხადებიათ, რომ თქვენ სიამოვნებით იკისრებდით საბოლოოდ მოგესპოთ ბოლშევიკური საფრთხე, თუ მხოლოდ რუსეთის გარშემო მდებარე სახელმწიფოებს მიეცემა საკმაო იარაღი და სამხედრო მოწყობილობა. თქვენი წინადადება, როგორც სჩანს უარჰყვეს იმის გამო, რომ მაშინ ყველა დაღლილი იყო ომისაგან.

ეხლა, როგორც სჩანს, თქვენ გინდათ დაარწმუნოთ ქვეყანა, რომ რუსეთის რევოლიუცია დღემდე მხოლოდ იმიტომ სცოცხლობს, რომ ელჩთა კონფერენციამ არ გაიზიარა თქვენი რჩევა.

ნება მიბოძეთ, ბატონო მარშალო, მოგაგონოთ ზოგიერთი ფაქტები, რომლებიც თუმცა თქვენს შეხედულებებს არ გამოსცვლიან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში თვალს აუხელენ იმ მრავალრიცხოვან მუშებს, რომლებიც კიდევ კითხულობენ ბურჟუაზიულ პრესას.

1919 წლის თებერვალში, თქვენ, როგორც მოკავშირეთა არმიების მთავარსარდალი, არ დაკმაყოფილდით იმ სახელმწიფოების შეიარაღებით, რომლებიც მდებარეობენ რუსეთის გარშემო. თქვენ, როგორც საფრანგეთ-ინგლისის იმპერიალისტური ჯგუფის აგენტმა, და ამ ჯგუფის გეგმების შემსრულებელმა. 1918 წლის 18 დეკემბერს დაიწყეთ მე-156 დივიზიის გადასხმა ოდესაში; ამის შემდეგ თქვენ შეუწყვეტლივ აგროვებდით ჯარებს და სამხედრო მოწყობილობას რუმინეთ-უკრაინის საზღვარზე და შავი ზღვის რუსულ სანაპიროებზე.

1919 წლის აპრილის დასაწყისში რუმინელების, პოლონელების, სერბების. რუსი მოხალისეების (თეთრგვარდიელების), ბერძნების და ფრანგების 100.000-ზე მეტმა ჯარისკაცმა 60 სამხედრო გემის დახმარებით რკინის სალტე შემოარტყა რევოლიუციონურ რუსეთს და კლემანსო დაუსრულებლად იმეორებდა, რომ ის გასრესდა ბოლშევიზმს არა უგვიანეს 6 თვისა.

საფრანგეთის კაპიტალისტებმა, მათმა მინისტრებმა და გენერლებმა,რომლების მეთაური იყავით მაშინ თქვენ,—მხედველობიდან გაუშვეს მხოლოდ ერთი რამ: ეს არის ის, რომ პირველ პირობას რუსეთის რევოლიუციის ჩასახშობად წარმოადგენს არა იმდენად ტანკების, მძიმე ზარბაზნების და ჰაეროპლანების ქონება, რამდენადაც ჯარისკაცების და მეზღვაურების ბრმა მორჩილება.

მართალია ამ მიზნის მისაღწევად თქვენ არ დაგიზოგავთ არავითარი საშუალება.

თქვენ მიმართავდით მოტყუილებას. ასე მაგალითად, აღმოსავლეთის არმიისადმი გაცემულ ბრძანებაში 1918 წლის 8 დეკემბრის თარიღით, (გენერალური შტაბი, მესამე ბიურო № 6224/3) ნათქვამი იყო, რომ მე-156 დივიზია სალონიკიდან მიდის არა საომრად, არამედ „საგარნიზონო სამსახურისათვის ოდესაში და სევასტოპოლში, სადაც არმია კომფორტით იქნება დაბინავებული“. ამასთან ერთად „მოკავშირეთა ჯარების ბიულეტენი“ და ასეთივე ტიპის გაზეთები განუწყვეტლივ ავრცელებენ ყოვლად ფანტასტიურ ხმებს რუსეთის რევოლიუციის შესახებ, მაგალითად: ჭორები ქალების ნაციონალიზაციის შესახებ (ჭორი, რომელიც საკადრისია თქვენი ფელდფებელების), ჭორები ლენინის და ტროცკის ღალატის შესახებ, რომლებიც ვითომ იყვენ გერმანიის იმპერიალიზმის აგენტები, ხმები იმის შესახებ, თითქოს ბოლშევიკები აწამებენ და ჰკლავენ ტყვეებს, სჭამენ ბავშვებს და სხვა.

თქვენ მიმართავდით წამებას: თქვენი პოლიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოდესის კომენდანტი გენერალი დ,ანსელმი, აწამებდა ათეულ რევოლიუციონერ მუშებს. ასე მაგალითად, საფრანგეთის პოლიციამ აწამა ბოლშევიკურ პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ლასტოჩკინი, რომელიც 15 დღის საშინელი წამების შემდეგ წყალში დაახრჩო 1919 წ. 5 აპრილს. ამ 15 დღის განმავლობაში მას ფრჩხილებში უყრიდენ ნემსებს, რომ იძულებული გაეხადათ გაეცა ყველაფერი.

თქვენ მიმართავდით მკვლელობებს და თქვენმა ოფიცრებმა გადააჭარბეს თავის კოლეგებს, რუს თეთრგვარდიელებს: ისინი ულმობლად ჰკლავდენ ყველას, ვისზედაც შეიტანდენ ეჭვს, რომ ის აწარმოებდა ბოლშევიკურ პროპაგანდას. მრავალრიცხოვან ბოროტმოქმედებათაგან მოგაგონებთ მხოლოდ ერთს, რომელიც მოხდა ღამით 1919 წლის 1—2 მარტს, როდესაც მოკლულ იქნა 11 კაცი, მათ შორის სამი ახალგაზრდა ქალიშვილი, და ჩვენი ამხანაგი ჟანა ლაბური.

ამხ. ანდრე მარტი

თქვენ მოაწყვეთ მასიური ხოცვა-ჟლეტა, მაგალითად ხერსონში, რომელსაც კონტრ-ადმირალმა ლეგემ 1919 წლის 10 მარტს დაუშინა ზარბაზნები ახლო მანძილიდან, რის გამო დაიღუპა 100-ზე მეტი ქალი და ბავშვი; ან სევასტოპოლში, სადაც პოლკოვნიკმა ტრუსონმა (რომელსაც გენერლობა უბოძა ბატონმა ერიომ, ადამიანის უფლებათა ლიგის წევრმა) დახვრიტა მშვიდობიანი მანიფესტაცია და დახოცა ფრანგი მეზღვაურები რუს მუშებთან და მუშა-ქალებთან ერთად, რომელთა შორის იყო 16 წლის ქალიშვილი მურაშოვა.

ღამით თქვენ დახვრიტეთ პროლეტარიატის მებრძოლნი—მე-19 საარტილერიო პოლკის ჯარისკაცები, რომელთა სახელებს თქვენ დღემდე მალავთ. თქვენი საველე სასამართლოები ათეულ ჯარისკაცებს გზავნიდენ საკატორღო სამუშაოებზე.

ყოველივე ამის მიუხედავად ვერაფერი ვერ გაუმკლავდა სოციალურ რევოლიუციის მორალურ ძალას. ვერც ერთმა თქვენმა ზომამ ვერ შესძლო ხელი შეეშალა ათასეულ მშრომელთა კლასიურ შეგნების გაღვიძებისათვის, იმ მშრომელთა, რომლებსაც ეცვა სამხედრო და საზღვაო ფორმა.

თქვენ ბედავთ იმის მტკიცებას, რომ ელჩთა კონფერენციას რომ დაეჯერებია თქვენთვის, თქვენ შესძლებდით ბოლშევიზმის განადგურებას. სისულელეა!

მე-58 პოლკმა და მე-2 ტყვიისმფრქვეველმა პოლკმა მიიღეს ბრძანება აეღოთ ტირასპოლი 2 თებერვალს. საჭირო გახდა ამ ჯარისკაცების სასწრაფოდ გამოწვევა ფრონტიდან, მე-58 პოლკის განიარაღება და მისი გაგზავნა მაროკოში.

როდესაც მარტის დასაწყისში ატამანმა გრიგორიევმა იერიში მიიტანა ხერსონზე, მე176 პოლკის ორმა გუნდმა, რომელსაც მაშინ ეჭირა ციხე, უარი განაცხადა სალაშქროდ გასვლაზე და საჭირო გახდა მათი დაბრუნება ოდესაში.

სამწუხაროა, ბატონო მარშალო, რომ თქვენ არ დასწრებიხართ 1919 წლის 5 აპრილს ოდესის ევაკუაციას, როდესაც მე-19საარტილერიო პოლკმა, მე-2 მესანგრეთა და 1-ლმა ტყვიისმფრქვეველმა პოლკებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერეს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში. თქვენ დაინახავდით, თუ როგორი სიამოვნებით უთმობდა ადგილს წითელარმიელებს სახელოვანი, ძლევამოსილი საფრანგეთის ჯარი, და შეგეძლოთ დამტკბარიყავით მშვენიერი სანახაობით, როდესაც მთელი ჯარები „ინტერნაციონალის“ სიმღერით მიდიოდენ ოდესის საბჭოს შენობის წინ. და თითონ თქვენც, ბატონო მარშალო, უთუოდ მოიქცეოდით ისე, როგორც მოიქცენ აღმოსავლეთის არმიის ყველა უმაღლესი ხელმძღვანელები, რომლებიც, დევნილნი ლებელის ტყვიებით, გაიქცენ თავის გადასარჩენათ სამხედრო გემებზე, ზოგი კი აკერმანში.

მარშალი ფოში

რამოდენიმე დღის შემდეგ მე-4 და მე-8 კოლონიალურმა პოლკებმა,ბენდინშიაც ისე, როგორც არხანგელსკში, უარი განაცხადეს თუნდაც ერთხელ ესროლათ წითელ არმიისათვის. უკვე ძლიერ ბევრ ჯარისკაცებზე აღარ შეიძლებოდა დანდობა.

თქვენ მაშინ გადასწყვიტეთ დაყრდნობოდით მეზღვაურებს, ვინაიდან მათ არ ჰქონდა უშუალო კონტაქტი რუსეთის რევოლიუციასთან. მაგრამ მათთანაც ვერაფერს გახდით.

16 აპრილს მოხდა სამხედრო გემ „პროტე“-ს ინცინდენტი; 20 აპრილს აჯანყდა მთელი სევასტოპოლის ესკადრა; უდიდესმა გემებმა „ფრანს“-მა, „ჟან-ბარტ“-მა, „ვერნიო“-მ, „ჟიუსტის“-მა ააფრიალეს წითელი დროშა. მეზღვაურები მუშებთან ერთად დემონსტრაციას ახდენენ ქალაქში. 27 აპრილს აჯანყდენ ოდესასთან სამხედრო გემ „ვალდეკ რუსო“-ს მეზღვაურები. ამ გემზე დაპატიმრებული ვიყავი მე. შემდეგ აჯანყდა „ბიური“. ყველა გემებზე იწყება საპროტესტო მოძრაობა. აჯანყება მოედო მთელ ხმელთა შუა ზღვას. კონსტანტინოპოლში „ჟან-ბარტ“-ის მეზღვაურები შეშინებულ ოფიცრების თვალისწინ მართავდენ ქალაქში დემონსტრაციას „ინტერნაციონალის“ და „ახალგაზრდა გვარდიის“ სიმღერით. იტეაში, საბერძნეთში ამბოხება მოახდინეს გემ „გიშენ“-ის მეზღვაურებმა და ხელისუფლებამ დაიმორჩილა აჯანყებულნი მხოლოდ ფერადი ჯარების წყალობით.

11 ივნისს ტულონში საადმირალო კრეისერი „პროვანს“-ი უარს ამბობს წავიდეს შავ ზღვისაკენ და თავის ზარბაზნებს მიმართავს საზღვაო პრეფექტურის წინააღმდეგ, ორი დღის განმავლობაში მეზღვაურები აწყობენ მიტინგებს და მართავდენ დემონსტრაციებს მთელ ქალაქში. ისინი ეპირებოდენ საზღვაო საპყრობილეს კარის გაღებას. საჭირო გახდა ორი ცხენოსან და ჟანდარმთა პოლკის ჩარევა, რომ არ მიეცათ მათთვის ამის საშუალება.

ბრესტში, შერბურგში, როშფორში, ბიზერტაში ხდება მეზღვაურთა მანიფესტაციები გემებზე და ხმელეთზე. ეს დემონსტრაციები გაგრძელდა აგვისტომდე და მთავრობამ ბოლო მოუღო ამას მხოლოდ მასიური დემობილიზაციით.

და ამ ხალხის დახმარებით თქვენ გინდოდათ რუსეთის რევოლიუციის დახშობა? დიახ, ბატონო მარშალო, თქვენ რომ მაშინ გამოცხადებულიყავით ოდესაში იმ სამხედრო ოპერაციის ხელმძღვანელოდ, რომელიც დაიწყო კლემანსომ და პუანკარემ კონსტიტუციის წინააღმდეგ,—შესაძლებელია, რომ მე ამჟამად აღარ მექნებოდა საშუალება პოლემიკა მეწარმოებია თქვენთან; თქვენ ახლა იქნებოდით პანთეონში *) და თქვენი იქ ყოფნით შეურაცყოფას მიაყენებდით ჟორესის ხსოვნას.

ერთი რამ ნათელია: თქვენი განცხადება, რომელიც მომზადებულია მსხვილი კაპიტალის მთავრობის მიერ, წარმოადგენს საბჭ. კავშირის წინააღმდეგ მიმართულ განსაზღვრულ მუქარას.

მაგრამ სასარგებლოა, ბატონო მარშალო, რომ თქვენ და თქვენმა ბატონებმა, საფრანგეთის კაპიტალისტებმა—იცოდეთ, რომ მე განუწყვეტლივ ვღებულობ ასეთ წერილებს:

„ამხანაგო!

ეს იყო გუშინ, 7 თებერვალს.

ხომ არ გაგონებთ თქვენ ეს რიცხვი 1919 წელს და ტირასპოლს?

რამოდენიმე წლის სიჩუმის შემდეგ. რომლებმაც ვერ მოსპო ჩემი სინდისის ქენჯნა, მე ბრალსა ვდებ თავს იმ სამარცხვინო როლისათვის, რომელსაც მე, მუშა, მაშინ შეუგნებლად ვთამაშობდი. მე დიდხანს ვინახავდი ამ მოგონებებს და ახლაკი გადმოგცემთ თქვენ. მიიღეთ როგორც ერთგულების საბუთი იმ კაცისაგან, რომელმაც ვერ შესძლო გაჰყოლოდა შავი ზღვის მეზღვაურთა მაგალითს.

7 თებერვალი 1927 წელი **მე-301 პოლკის ყოფილი ჯარისკაცი“.**

ამრიგად,იმათაც კი, ვინც მაშინ თქვენ გემორჩილებოდა, ესმით ახლა, რომ მაშინ მათ შეუგნებლად ჩაიდინეს ბოროტმოქმედება საერთაშორისო პროლეტარიატის მიმართ. ეს ნიშნავს, ბატონო მარშალო, იმას, რომ წავიდა გალიფეს (კომუნის ჯალათის—**რედ.**) დრო, რომლის სახელი მოსვენებას არ გაძლევს თქვენ.

ახლა თქვენ აშკარად ემუქრებით საბჭოთა კავშირს, საფრანგეთის მილიტარიზმით, რომლის წარმომადგენელი თქვენ ხართ. მაგრამ იცოდეთ რომ მოიპოვებიან რუსეთის და შავი ზღვის ბრძოლის ათეული ათასი ძველი მონაწილენი რომლებიც დღეიდან გაარკვევენ თავის ძალღონეს იმისათვის, რომ ამხედრონ მუშები და გლეხები, ჯარისკაცები და მეზღვაურები იმ ომის წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ ამზადებთ საფრანგეთის კაპიტალისტების და მათი მთავრობის, „ნაციონალურ გაერთიანების“ მთავრობის ბრძანებით. და იმ დღეს,როდესაც თქვენ მოინდომებთ 1919 წლის ბოროტმოქმედების განმეორებას, ჩვენ ჩვენი კოპარტიის დახმარებით გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ახლა ჯარისკაცები და მეზღვაურები აღარ დაკმაყოფილდენ ომში გასვლაზე უარის თქმით, არამედ თავისი იარაღით დაეხმარონ მუშებს და გლეხებს იმაში, რომ სოციალურმა რევოლიუციამ შესძლოს ომის, სიღატაკის და სისხლის კაპიტალისტურ რეჟიმის დამხობა.

მიიღეთ ბატონო მარშალო ჩემი ანტიმილიტარისტული და რევოლიუციონური სალამი.

ანდრე მარტი.

პარლამენტის დეპუტატი, დაპატიმრებული საპყრობილე სანტეში.

---

*) ამხ. ანდრე მარტი ხელმძღვანელი და გმირია იმ აჯანყებისა, რომელიც საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავად მოახდინეს ფრანგმა მეზღვაურებმა 1919 წ. შავ ზღვაზე, როგორც ვიცით, კლემანსოს მთავრობამ მაშინ ოდესისაკენ გამოგზავნა სამხედრო გემები ჯარებით, რათა თეთრგვარდიელებისათვის ხელი შეეწყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში. ეს აჯანყება იყო ინტერვენციის და კონტრ-რევოლიუციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი.

აქ მოყვანილ წერილისათვის ამხ. მარტის რომელიც ციხეში ზის ანტიმილიტარისტული მოწოდებისათვის, პოლიტიკურ პატიმრის რეჟიმი შეუცვალეს სისხლის სამართლის დამნაშავეთათვის დაწესებულ რეჟიმით.

საპყრობილე სანტე, 24 აგვისტო 1927 წ.

*) პანთეონში საფრანგეთში მარხავენ მათ, ვისაც სცნობენ „დიდადამიანებათ“.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. მთელ მაზრაში 1927-28 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამი უდრის 31.300 მანეთს, ნაცვლად 36.500 მანეთისა, რომელიც შარშან იყო.

საგადასახადო ფურცლები დამზადებულია და დაგზავნილია ადგილებზე. ამ დღეებში დაიწყება გადასახადის აკრეფა. (ადს).

თამბაქოს პლანტაციები

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. თამბაქოს პლანტაციებზე თამბაქოს ფურცლების აკრეფად დაწყებული მუშაობა შეწყდა წვიმების გამო. პლანტაციები წყალშია. (ადს).

მებაღეთა არტელი

ოზურგეთი, 8 სექტემბერი. სოფ. ქანიეთში შესდგა მებაღეთა არტელი, რომელშიც შედის 11 მეურნე. არტელი უკვე მუშაობს. დაგროვილია მრავალი ნერგი, აშენებენ მანდარინის პლანტაციას და ხეხილის ბაღს.

აფხაზეთი

საუბარი გამოფენაზე

სოხუმი, 7 სექტემბ. რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო სამხატვრო სამეცნიერო აკადემიამ წინადადებით მიმართა აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატს გამოგზავნოს ნაციონალური ხელოვნების ექსპონატები საიუბილეო გამოფენაზე (ადს).

ახალი წყალსადენი

სოხუმი, 7 სექტემბ. სოხუმის აღმასკომი შეუდგა ახალი წყალსადენის აგებას (ადს).

სიმინდის მოსავალი

სოხუმი, 7 სექტემბ. საექსპერტო კომისიის ცნობებით, მიმდინარე წელს სიმინდის მოსავალი აფხაზეთში დესიატინაზე შეადგენს 50 ფუთს.

კომუნალურ ბანკის შენობა

სოხუმი, 7 სექტემბ. სოხუმის აღმასკომს კომუნალურ ბანკის შენობის ასაგებად გაეხსნა სესხი 100.000 მანეთის რაოდენობით ((ადს).

წერილები

შორაპნის მაზრის ავ-კარგი

შორაპნის მაზრის აღმასკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თემ-საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებას. ამ მიზნით სამაზრო აღმასკომმა აგვისტოში დაათვალიერა რამოდენიმე თემის მუშაობა და თემსაბჭოებს მიუთითა ზოგიერთი უარყოფითი მხარეებზე.

საზანოს თემის მუშაობა შედარებით წინანდელთან საგრძნობლათ გამოცოცხლებულია. საგზაო მშენებლობა განსაკუთრებით სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს.

თემის დაწესებულებების საქმიანობა სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული, ხოლო ჰრა-კერის სკოლა ძალიან ცუდ და დაზიანებულ შენობაშია მოთავსებული. ეს გარემოება აფერხებს ჰრა-კერის სკოლის ნაყოფიერებას.

სიმინდის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. ხოლო ღვინის მოსავალი კი წარსულ წელზე ნაკლებია.

თავასის თემის სამმართველო მოთავსებულია ერთ სერ ადგილზე, რომელსაც „სარიკაის" ეძახიან. სამმართველოს შენობა უვარგისია და მოითხოვს ძირითად შეკეთებას. ამ თემის სასწავლებლები დიდი მანძილით არიან დაშორებული სოფლებს. ამის გამო ფერხდება სკოლების მუშაობა. არსებობს აგრეთვე ეპოც, რომელსაც სოფ. მუჯირეთში აქვს სავაჭრო განყოფილება, მაგრამ რატომღაც ეპოს გამგეობამ ეს განყოფილება დაკეტა.

გარდა ამისა სოფ. თუზის ეპოს განყოფილებაში არის საქონლის ნაკლებობა, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თემის ცენტრის მონახვა და მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დიდ უთანხმოებას იწვევს გლეხებში. საჭიროა ეს საკითხი მოაგვაროს სამაზრო აღმასკომმა გლეხებთან შეთანხმებით.

მუხურის თემის სამმართველოსთან გაუხსნიათ კოოპერატივის განყოფილება, რომელიც ეკუთვნის ტყიბულის კოოპერატივს, ხალხის ლტოლვა კოოპერატივისადმი ძლიერია. მთელს თემში 600 მცხოვრებია. აქედან ერთი თვის განმავლობაში კოოპერატივის წევრად ჩაეწერა 500 კაცი.

მუხურაში არსებობს აგრეთვე ორი ოთხწლედი, მაგრამ ისინი ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. გლეხები მოითხოვენ შვიდწლედის დაარსებას. თემში ამჟამად მივლინებულია ტექნიკოსი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს გლეხობას გზის გაკეთების საქმეში.

ქვაციხის თემი აერთიანებს ოთხ სოფელს. თემის სამმართველო მოთავსებულია სოფ. ქვაციხეში. აქვე არსებობს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, საფერშლო პუნქტი და ერთი ოთხწლედი.

საბჭოს მუშაობა ამ თემში არ არის დამაკმაყოფილებელი. თემში ადგილი აქვს სიმინდის ნაკლებობას. ფუთი სიმინდი თითქმის ხუთ მანეთამდე აღწევს. გლეხთა ახალგაზრდობის სკოლას ჯერ-ჯერობით შესაფერი შენობა არა აქვს. მაგრამ სკოლის მუშაობა მაინც დამაკმაყოფილებელია: მიღებულია ზომები სკოლის შენობის ასაგებად, რომლის დამთავრებაც უფრო გააცხოველებს სასკოლო მუშაობას.

სათემო მნიშვნელობის ტყით სარგებლობის საკითხი ჯერ კიდევ მოსაგვარებელია. სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ დაათვალიერა ეს ტყე და საბოლოო დასკვნისათვის საკითხი გადაიტანა სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმზე.

უნდა აღინიშნოს, რომ 1923 წელში დაკვრითი წესით ყოფ. მემამულეებისაგან ჩამორთმეული ქონება ვერ არის სათანადოდ გამოყენებული.

ჩხარის თემის მუშაობა შედარებით წარსულ წელთან საგრძნობლად გამოცოცხლებულია. გატარებულია ნებაყოფლობითი თვითდაბეგვრა სკოლის შენობის ასაგებად.

დაწყებულია და მოკლე ხანში დამთავრდება ჩხარი-ტყიბულის შარა-გზა სამი ვერსის მანძილზე. თემში არის ხუთი ოთხწლედი და ერთი შვიდწლედი. თემის გლეხკომის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. მიღებულია ზომები მის გამოსაცოცხლებლად.

სურსათის ნაკლებობას ამ თემშიც აქვს ადგილი.

რაიმილიციის მუშაობას ხელს უშლის ტრანსპორტის უქონლობა. მილიციის უფროსის შუამდგომლობით სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე შეჰპირდა ორი ცხენის შესაძენ თანხის გაცემას. ეს წინ წასწევს მილიციის საქმიანობას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიწების ყიდვა-გაყიდვა შორაპნის მაზრაში საგრძნობლად შემცირდა, რაც უნდა მიეწეროს თემ-აღმასკომების მუყაით მუშაობას.

სათემო საბჭოების დათვალიერებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხებზე. ისინი დიდის გულმოდგინებით აცნობებდნენ სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს თემის მდგომარეობას და აღნიშნავდენ თემაღმასკომების მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს.

შალვა მოდებაძე.

წერილებიდან

წინ მივდივართ

ახალმა აღმასკომის თავმჯდომარემ ვასილ ვაჭარაძემ და თემკომის პ.-მ. მდივანმა სერგო ახობაძემ ძველი აწეწილი საქმეები თითქმის გამოასწორეს. შევიძინეთ ორი სასწავლებლის შენობა, დაჯდა 4.000 მანეთი. გამოვიყვანეთ ქვაციხის თემიდან ტელეფონის ხაზი და უერთებთ ძველ გაუქმებულ ხაზს ჩხარამდის.

უდგებით საექიმო პუნქტების მოწყობას, გვყავს ექიმიც.

ვემზადებით ხიდების და გზების შესაკეთებლად, ცოტას მოიკოჭლებს ქოხ - სამკითხველოს საქმე, მაგრამ ალბად ესეც გამოსწორდება მალე. ერთი სიტყვით ძველი აღმასკომისაგან აწეწილ საქმეს ახალი აღმასკომი დაუღალავად ასწორებს.

გლეხები დაიმედებული არიან.

იმედია ახალი აღმასკომი არ გადაუხვევს ამ გზას და გაამართლებს ბოლომდის გლეხების იმედს.

იპ. ცინაძე.

ნოქალაქევი, სენაკის მაზრა

დაგვიარსეთ გლეხთა ახალი სკოლა.

ჩვენი სოფლის გლეხები ჯერ კიდევ წაარევია ლაპარაკი მეურნეობის ახალ წესებზე მოწყობის შესახებ. სხვათა შორის ამისათვის აუცილებელია სათანადოთ მომზადებულ მეურნეთა კადრის შექმნა. საჭიროა ჩვენი შვიდწლედი გადაკეთდეს გლ. ახ. სკოლად, რომელიც მოგვცემს მომზადებულ ახალგაზრდა მეურნეებს.

იმედია, ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევენ სათანადო ორგანოები.

ან. ბეთლემელი.

სენაკის მაზრა, ქვედა თეკლათი

შეაგნებინეთ მოვალეობა

სოფ. ქვედა თეკლათში არსებობს ქოხ - სამკითხველო, რომელსაც ძალიან ეტანებიან ადგილობრივი გლეხები.

მაგრამ სამკითხველოს გამგეს წყალობით გლეხები მოკლებულნი არიან გაზეთის წაკითხვას. გამგეს როცა მოეპრიანება, მაშინ გააღებს ხოლმე სამკითხველოს. უფრო მეტად სამკითხველო დაკეტილია. ხშირად გლეხები სხედან სამკითხველოს კარებთან და გამვლელ - გამომვლელს სთხოვენ გაზეთს, რომ გაეცნონ ქვეყნის ამბებს.

საჭიროა სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს სათანადო ყურადღება ამ გარემოებას და სამკითხველოს გამგეს შეაგნებინოს თავისი მოვალეობა.

კომკავშირელი.

აუცილებელია ხიდის აგება

ლეჩხუმი, დეხვირის თემი.

არა ერთი ათეული წელია ამ თემის მოსახლეობა მეზობელი თემების მოსახლეობასთან ერთად ოცნებობს მდინარე ცხენის წყალზე სოფ. ლასურიაშის ბოლოს, ხიდის აგებაზე, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა მეთაური, რომელიც საფუძველს ჩაუყრის ამ გლეხობისათვის მნიშვნელოვან საქმეს.

ხიდს დიდი მნიშვნელობა აქვს მახლობელი თემების მეურნეობისათვის:

უნდა ითქვას, რომ ხიდის აგებას დიდი მნიშვნელობა ექნება არა მარტო რამოდენიმე თემისათვის, არამედ მთელი მაზრისათვისაც. ეს ხიდი უფრო გააძლიერებს ხონსა და ცაგერის შორის ვაჭრობას, საჭიროა დაინტერესებულ თემების ღამასკომებმა ითავონ ეს საქმე.

ვინმე.

სოფლის ქრონიკა

— **ახალი ხიდები.** აჭარისტანის მაზრებში ახალი სასოფლო ხიდების ასაგებად წელს გადადებულია 20.000 მანეთი.

— **„გულაბი ბაღი".** ჯუმათში (გურია) დაარსდა სას.-სამ. კოლექტივი „გულაბი ბაღი".

— **საქონლის დაზღვევა.** ჩოხატაურსა და ნაგომარში დაარსდა სახელმწიფო დაზღვევის გაყოფილებები საქონლისა და შენობის დასაზღვევად.

— **კოოპერატიული კურსები.** სურამში გაიხსნა კოოპერატიული კურსები.

— **ხიდების აგება.** სოფ. ამბროლაურში და ჭრებალოში მდ. რიონზე წელს აგებული იქნება ხიდები.

— **ელსადგური.** ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის ქ. ონში დამთავრდება ელსადგურის აგება.

— გორის მაზრის განათლების განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. შეროზია.

მუშათა ცხოვრება

მეტი ყურადღება მუშათა უბნებს

საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს განაპირა უბნებს, სადაც ზამთარ-ზაფხულ გაჩაღებულია მუშაობა.

იკირწყლება ქუჩები, გაჰყავთ წყალსადენი, გაჰყავთ კანალიზაცია, ზაჰესის შუქმა ხომ უკვე გაანათა ქალაქის ცენტრალურ ნაწილებთან ერთად მუშათა უბნებიც.

მაგრამ ამ აღმშენებლობაში აქა-იქ ნაკლს და შეცდომა-დაუდევრობას აქვს ადგილი.

დღეს იკირწყლება იურიევის ქუჩა მეორედ. მაგრამ აქვე, ზევით ეს ქუჩა სრულიად მოუკირწყლავია. გვერდით, მეორე და მესამე ნაზარეტის ქუჩები ჯერ კიდევ უყურადღებოდ არიან მიტოვებული. ასეთივე მდგომარეობაშია პირველი, მეორე და მესამე ტყე-კულტურის ქუჩები და მრავალი სხვა.

იკირწყლება შუა ქუჩები და მოუკირწყლავი რჩება მისი ტროტუარი. წვიმის დროს ხალხი გამოდის მოკირწყლულ ქუჩაში და ასე ატალახიანებს ამ უკანასკნელსაც. გაშენდა განაპირა უბნებში ბაღ-ხეივნები. დაიხარჯა ამაზე დიდი ფული. მშვენიერი იყო შარშანწინ იურიევის ქუჩა ლენინის რაიონში. შარშან კი ეს ბაღი დასტოვეს უყურადღებოდ; წრეულს ვითომ მოჰკიდეს მის გამოკეთებას ხელი, მაგრამ ისე უგულოდ, რომ ეხლა აღარც ბაღი და არც მინდორი.

ასე არ ვარგა. ახალს ვაკეთებთ; ხარჯსა და შრომას არ ვიშურებთ, ხოლო ძველს ვივიწყებთ, ვაშენებთ ახალ ტყეებს, უკვე არსებული ძველი ტყე კი თითქმის უპატრონოდ არის მიტოვებული და ნადგურდება.

ასეთი დეფექტები ბევრია და ეს არ უნდა იყოს. აქ გამოსჭვივის დაუდევრობა და თუ გნებავთ ბიუროკრატობაც ზოგიერთი ორგანოების მხრივ.

აღმასკომი ადგენს: გაკეთდეს ესა და ეს ქუჩა, გაყვანილ იქნეს წყალი ამა და ამ ქუჩაზე. ამისათვის იდება საჭირო თანხა; ინიშნება სამუშაოს დრო საქმის შესასრულებლად. მაგრამ საქმე ხშირად შეუსრულებელი რჩება.

აი, ერთი მაგალითი: წრეულს წყალსადენის გასაფართოვებლად გადასდო საბჭომ 113 ათასი მანეთი. ამ თანხით უნდა გაეყვანათ წყლის მაგისტრალი რამდენიმე ქუჩაზე. ამ ქუჩებში ურევია მეორე და მესამე ნაზარეთის ქუჩა, პირველი, მეორე და მესამე ტყე-კულტურის ქუჩები; მუშაობა უნდა დასრულდეს ა.-წ. 1 ოქტომბრამდე — მომავალ საბიუჯეტო წლამდე. სულ ორი კვირა დარჩა ოქტომბრამდე და ხსენებულ ქუჩებზე არც კია ჯერ მუშაობა დაწყებული.

კომუნალურო სექციავ, გამოიძიე რაშია საქმე.

გრიგალი.

რჩევა-დარიგებაც ასეთი უნდა

— ყველა სარგებლობს რამეთი, შენ კი მაგ ოხერ საწყობში დაბერდი და ვერ შეჰიძლია ერთი ათი გირვანქა საღებავის გამოტანა, რა არის ეს თუ არა შენი უგნურობა.

ასე უსაყვედურებდა თავისი ცოლი რკ. გზის მთავარ საწყობის მუშა საბაძეს, როდესაც კი ის ხელცარიელი დაბრუნდებოდა სამუშაოდან სახლში.

— შენ ოხერო, — განა ჩემი მამა-პაპის დარჩენილი საწყობი ხომ არ არის, რომ რაც მოვინდომო, სახლში წამოვიღო, ერთი მიბრძანდი და ნახავ როგორი მცველებია, თითო ფეხის გადადგმაზე რამოდენიმე დარაჯი სდგას.

— მეხი შენც ჩაგარტყი და შენს დარაჯებსაც. განა დარაჯები პარკს ხომ არ გისინჯავენ, აიღე და ზედ ხის ნაფოტი დააყარე, შავ ქვას და ცხელ ნაცარს გაიგებენ ეგ შენი დარაჯები. მაგის მეტი თუ არ იცი მეოცე საუკუნეში, მაშ დავღუპულვართ.

გავიდა დრო. საბაძემ ცოლის რჩევა-დარიგების შესრულება მოინდომა და კიდეც იპოვა სამისო მოხერხებული დრო. ა.-წ. 27 აგვისტოს საბაძემ ათი გირვანქა საღებავი ჩადო პარკში და ზედ ხის ნაფოტი დააყარა და დაიმედებული, რომ დარაჯები ვერაფერს მიხვდებიან, გაუდგა გზას. საუბედუროდ, მას ცოლის დარიგება ვერ გამოადგა. საბაძე თავისი პარკით და ათი გირვანქა საღებავით რკინის გზის მთავარ სახელოსნოს დარაჯებმა დააკავეს და გადაგზავნეს სათანადო ადგილზე უკეთესი „პრაქტიკის" მისაღებად.

ასე გამოადგა ცოლის დარიგება სამსახურში საბაძეს.

მუშა სიონელი.

წაღვერის დასასვენებელ სახლებში

ცაგვერის ახლო, კეჩხობში მოთავსებულია 26 დასასვენებელი სახლი. ყოველ ორ კვირაში ამ.-კავკასიის ყველა კუთხეებიდან აქ მოდიან მუშები. ახლად მოსულებს ჯერ ექიმები სინჯავენ და ავადმყოფობის შემთხვევაში ათავსებენ ცალკე სახლში. ბევრი სიარულის დროს დიდი ენერგია იხარჯება. ამ მიზნით კავშირმა აუკრძალა მუშებს ექსკურსიები.

კინო და წარმოდგენები ძალიან იშვიათად არის. რადიო არის მოწყობილი, მაგრამ არაფრის გაგება არ შეიძლება, მიუხედავად იმისა, რომ ამ რადიოზე დახარჯულია 2.000 მან.

სამწუხაროდ, ზოგიერთებს არა აქვს წარმოდგენილი დასასვენებელი სახლის მნიშვნელობა და სამი ოთხი-დღის შემდეგ უკან ბრუნდებიან. კარგი იქნებოდა, რომ სახლის გამგე ასეთ პირების შესახებ აცნობებდეს ადგილკომს. შარშანდელთან შედარებით წრეულს სახლები ჩინებულია. არის მოწყობილი შესანიშნავი აბანო, დღიური დაკმაყოფილება 100 კ. აღემატება. წყალი გამოყვანილია ბაკურიანის ხეობიდან 24.000 ვედრო დებეტით დღეში.

გარდა ამისა, აშენებულია ორი ახალი დასასვენებელი სახლი. განზრახულია კანალიზაციის მოწყობა. შენდება კიდევ ორი დასასვენებელი სახლი სასადილოთი და კლუბით. წრეულს ამ დასასვენებელ სახლებიდან მთელი სეზონის განმავლობაში გაიარიან 4.000 კ., 75 პროც. მუშები, სეზონი გაგრძელდება 15 ოქტომბრამდე და მაშინ კიდევ კიდევ დამატებით 470 კ. დაკმაყოფილება შეიძლება ორი კვირის დასვენებით.

ა. სტრიშკო.

მოგვაქციეთ ყურადღება

წაღვერის ახლო, კეჩხობში მოთავსებულია 26 მუშები ნისიად ღებულობენ სანოვაგეს. მუშებს მუშკოოპის ვალს თვეში ორჯერ მთლიანად უჭერენ ჯამაგირში. იმ დრო, როდესაც ცენტრის დუქნები სავსეა ყოველნაირი პროდუქტებით და სხვა საჭირო საგნებით, ორთაჭალის მუშკოოპის დუქანს ბევრი რამ აკლია. 6 სექტემბერს გამოგზავნეს ხორცი, რომელიც არც საქონლისას გავდა და არც ნადირისას, ეს ხორცი კომისიამ დაიწუნა და თვითონვე უკან წაუღო. ამაზე კომისიის წევრი და ყასაბი მაგრად გამოლანძღა ამხ. არამა ხაზაროვმა. იქნებ გონია ამხ. ხაზაროვს, რომ ყველაფერს გაასაღებს.

მუშკოოპის გამგეობამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები ყოველგვარი ნაკლის გამოსასწორებლად აღნიშნულ დუქანში.

ნაპერწკალი.

ჩვენში კულტურული მუშაობა არ სწარმოებს

(აღმშენ. კავშ. ც. გ. კულტგანყოფილების საყურადღებოდ)

თბილისის აგურის ქარხ. № 1-ლში მუშაობს 60-მდე მუშა-მოსამსახურე. მათ შორის კულტურული მუშაობა გამოიხატება ხუთიოდე მუშისთვის გაზეთის გამოწერაში. არიან ისეთი მუშები, რომლებმაც ჯერ წერა-კითხვაც არ იციან. დაუშვებელია, რომ მუშამ, რომელიც 4—5 წლის განმავლობაში მუშაობს ქარხანაში, ხელის მოწერაც არ იცოდეს. ზოგიერთი მუშა კლუბშიაც არ ყოფილა. დახმარება და ხელმძღვანელობა არა სჩანს.

მუშკორი მიხ. ბოკუჩავა.

მოგვიკირწყლეთ ქუჩები

(აღმასკომის საყურადღებოდ)

ავლაბარში კახეთის ქუჩას არ ღირსებია არა ავლაბარში კახეთის ქუჩას არ ღირსებია არას დროს მორწყვა. კახეთის მოედანს აუარებელი მტვერი ედება. მასზე ძნელია გავლა სიმშრალის დროს.

მუშკორი სიმართლის მაძიებელი.

ჩვენც გვინდა წყალი

მეშვიდე უბანში, თელავის, ფალავანდოვის, ჩინგილის და ახმეტის ქუჩებზე მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან უწყლობის გამო.

იმედია, ქალაქის აღმასკომი ჩვენც გვაღირსებს წყალს.

სიმართლის მაძიებელი.

ახალი ფაბრიკა ქარხნები

როგორ მიმდინარეობს მშენებლობა

ახალშენებათა კომიტეტში მიღებული ცნობებით, 1-ლი სექტემბრისათვის ახალი ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის საქმე შემდეგ მდგომარეობაში იყო:

თბილისის მაუდის ფაბრიკა. დასრულდა კანტორის შენობის აგება და მოწყობა. ქარხნის საჭიროებისათვის გერმანიაში შეკვეთილია 500.000 მან. მანქანები. ახლო ხანში კიდევ შეკვეთილი იქნება 480.000 მან. მანქანები. ამჟამად მიმდინარეობს ქარხნის სარდაფის მოსაწყობი სამუშაოები. გერმანიაში შეკვეთილ მოწყობილობათა 10 პროცენტი უკვე მიღებულია. ქარხნის ასაგებად 1-ლ სექტემბრამდე დახარჯულია 1.244.260 მანეთი.

ბარიტის საფქვავი ქარხანა. ქარხნის მოწყობილობა შეკვეთილი აქვს გერმანიაში ფელნერისა და ციგლერის ფირმებს. მანქანების ნაწილი უკვე დამზადებულია და ჩაბარებული აქვს საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობას ბერლინში. ქარხნის ასაგებად საჭირო რკინა-ბეტონის სამუშაოების დასრულება ნავარაუდევია 1-ლი ნოემბრისათვის.

საკონსერვო ქარხანა გორში. უკვე დამუშავებულია ქარხნის ასაგები გეგმა, რომელიც გაგზავნილია გერმანიაში შესამოწმებლათ. ქარხნის მოწყობილობა შეკვეთილი აქვს გერმანიის ქარხნებს. დღემდე ქარხნის ასაგებ სამუშაოებზე დახარჯულია 168.229 მანეთი.

ცემენტის ქარხანა. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც დანიშნული იყო ქარხნის ასაგები ტერიტორიის გასამიჯნავათ, დასრულდა მუშაობა. ამჟამად სწარმოებს ქარხნის საამშენებლო პროექტს დამუშავება. სულ დღემდე დახარჯულია 108.846 მანეთი.

შუშეულობის ქარხანა ბორჯომში. ქარხნის ასაგებათ საჭირო წინასწარი სამუშაოები დაწყებულია. ამჟამად სწარმოებს ქარხანაში გადასამუშავებელი ნედლი მასალების ანალიზები და ქარხნის მუშაობის ეკონომიური მნიშვნელობის შესწავლა.

აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები. აბრეშუმის სახვევი ფაბრიკები შენდება ქუთაისში, ხონში და ოზურგეთში. ქუთაისის ფაბრიკასთან უკვე დასრულდა რკ. გზის ჩიხის და საურმე გზების გაყვანა და მომზადებულია საამშენებლო მასალა. ასეთივე მდგომარეობაა ხონში და ოზურგეთში.

რძის პროდუქტების ფაბრიკები. შენდება სოფ. ბუჟანსში (ახალქ. მ.) და სოფ. სიონში (დუშ. მ.) ყველა აღნიშნულ ადგილებში ჩვეულებრივათ ზამთარი დგება ძალიან ადრე და ამიტომ გადაწყვეტილია ქარხნების აგება დასრულდეს ოქტომბრის ბოლომდე, ხოლო ზამთრის განმავლობაში იწარმოებს მათი შიგნით მოწყობა.

ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობა შეკვეთილი აქვს „ალფა-ლავალის" ფირმას.

ხილის საშრობი ქარხნები. ქარხნები შენდება სოფ. მეჯვრისხევში, შინდისში და ახალციხეში. ამჟამათ სწარმოებს საამშენებლო მასალებას დამზადება და ასაგები ადგილების აგეგმვა.

ქარხნების მოწყობილობა უკვე შეკვეთილია.

ადგილობრივი ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები

(საუბარი საბჭ. კავშ. ადგ. ტრანსპ. ცენტრ. სამმართველოს უფროსთან—ამხ. იაკიმოვთან)

საბჭოთა კავშირში ადგილობრივი მნიშვნელობის ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივების შესახებ საკავშირო გზათა სახ. კომისარიატის ადგილობრ. ტრანსპორ. ცენტრ. სამმართველოს უფროსმა ამხ. **იაკიმოვმა** ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საკავშირო მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი გზების მშენებლობის საქმეს, ახალი გზების გაყვანა განსაკუთრებით საჭიროა საბჭოთა კავშირის განაპირა ტერიტორიებზე. შემუშავებულია მშენებლობის 5-წლიანი გეგმა, რომლითაც გარდა ჩვეულებრივი შარაგზებისა და გზატკეცილებისა გათვალისწინებულია აგრეთვე ბეტონით მოგებული და ასფალტიანი გზების გაყვანა.

კარგათ გაყვანილი გზები საბჭოთა კავშირში ცოტაა და ეს გარემოება აბრკოლებს ჩვენში საავტომობილო მიმოსვლის განვითარებას. ამჟამად ავტომობილები მუშაობენ მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 15,000 კილომეტრის გზაზე. საავტომობილო მიმოსვლა ყველაზე კარგათაა დაყენებული ამიერ-კავკასიაში და ყირიმში. მომავალში კი, როდესაც ჩვენ გვექნება ავტომობილების ქარხნები, ასეთი სახის მექანიკური ტრანსპორტი გაძლიერებული იქნება კავშირის ყველა კუთხეებში.

მომავალი წლის განმავლობაში განზრახულია აგებული იქნეს ავტომობილების ახალი ქარხანა, რომელიც წლიურათ გამოუშვებს 10.000 მსუბუქ და სამგზავრო ავტომობილს.

ახალი ტიპის გზების გასაყვანათ (ბეტონის, ასფალტის და ბიტუმის გზები) უკვე მოხდენილია რამოდენიმე ცდა, რამაც კარგი შედეგები გამოიღო. ასეთი გზები უკვე დიდი ხანია კეთდება ევროპაში, ხოლო ჩვენში ამ საქმეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიექცა ყურადღება.

დასასრულ, მინდა განვაცხადო, რომ გზათა სახ. კომისარიატის კომისია, რომლის ხელმძღვანელადაც მე ვარ დანიშნული, ჩამოივლის ა.-კ. რესპუბლიკების ყველა გზებს და გაეცნობა მათ მდგომარეობას. ჯერ-ჯერობით ჩვენ დავათვალიერეთ საქ.-სამხედრო და მანგლისის გზები და აღმოჩნდა, რომ ეს გზები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

პროფ. ვ. რამმე თბილისში

გუშინ სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდენ ბერლინის უნივერსიტეტის ზოოლოგიური კათედრის პროფესორი **ვილი რამმე** და მისი ასისტენტი **ვ. რიხტერი.** ისინი გამოგზავნილი არიან ბერლინის უნივერსიტეტის მიერ სპარსეთისა და ამიერ - კავკასიის ფაუნის (ცხოველების და მწერების) შესასწავლათ.

პროფ. ვ. რამმემ თავის სამეცნიერო დავალებათა შესახებ ჩვენს თანამშრომელს გადასცა:

— როგორც ამიერ - კავკასიის სამხრეთ ნაწილის, ისე განსაკუთრებით სპარსეთის ფაუნა სრულიად შეუსწავლელია; ბერლინის უნივერსიტეტმა ითავა პირველად მოეკიდა ამ საქმისათვის ხელი. ჩვენი მიზანი იყო ცალ-ცალკე შეგვესწავლა ა.-კავკ. ფაუნა. ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში სხვადასხვა ხასიათის ფაუნასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ მუშაობა დავიწყეთ სპარსეთიდან. ვიყავით თავრიზის ოლქში, სადაც ფაუნის შესწავლის მიზნით შევაგროვეთ სხვადასხვა მწერების მდიდარი კოლექცია. ასეთივე კოლექცია მოვაგროვეთ აზერბეიჯანის სამხრეთ ნაწილში, ერევნის რაიონში და ამჟამად ვფიქრობთ შეუდგეთ საქართველოს ფაუნის შესწავლას. ჩვენი მუშაობა საქართველოს ფაუნის შესასწავლათ გასტანს დაახლოვებით კვირანახევარი. მწერების კოლექციების შესაკრებათ ვფიქრობთ შემოვიაროთ სართიჭალის, ყარაიას და მცხეთა - კასპის რაიონები.

საქართველოდან ამავე მიზნით გავემგზავრებით ჩრდილოეთ კავკასიაში, საიდანაც დავბრუნდებით ბერლინში.

უძველესი ქართული ხელნაწერი გრაცში

პროფ. ა. **შანიძემ** მიიღო გრაციდან (ავსტრიაში) ფოტოგრაფიული სურათები იქ დაცული ერთი ქართული ხელნაწერის რამოდენიმე გვერდისა. როგორც სურათებიდან ჩანს, მთელი ხელნაწერი წარმოადგენს უძველეს ძეგლს ქართული ენისა და ლიტერატურისას. მის ენას ახასიათებს ეგრედწოდებული „ხანმეტობა", რაიცა მაჩვენებელია ძეგლის სიძველისა, ისე როგორც პალეოგრაფიული მხარე ხელნაწერისა.

აღნიშნული ხელნაწერი ერთ დროს დაცული უნდა ყოფილიყო სინას მთაზე ქართველთა მონასტერში. წარსული საუკუნის დამლევს იგი ხელში ჩაჰვარდნია ერთ ვენელ მხატვარს, რომლისგანაც ხელნაწერი შეუძენია ცნობილ ენათმეცნიერს **ჰ. შუხარტს**, რომელიც იყო ქართული ენის კარგი მცოდნე და მკვლევარი.

ხსენებული მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ (ამა წლის აპრილში) ეს ხელნაწერი შუხარტის მთელ წიგნთსაცავთან ერთად, ანდერძის თანახმად, გადაეცა გრაცის უნივერსიტეტს. პროფ. ა. შანიძეს განზრახვა აქვს მოკლე ხანში გამოსცეს აღნიშნული ხელნაწერი, რომელიც ერთად ერთია მთელს ქვეყანაზე, რადგანაც პალიმფსესტებს გარეშე მთლიანი ხანმეტი ტექსტი ჯერ-ჯერობით არსად არ არის აღმოჩენილი; არც თბილისის მუზეუმში, არც საქართველოში სადმე, და არც ათონისა, იერუსალიმისა, სინასა, ლენინგრადისა და სხვა კოლექციებში.

ხელნაწერი დაახლოებით მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრისა არის. შინაარსით იგი წარმოადგენს ე. წ. იერუსალიმის კანონს. მისი აღმოჩენით მკვიდრი საფუძველი ეყრება ქართულ ენისა და ლიტერატურის უძველესი პერიოდის ყოველ მხრივ შესწავლას.

მუკუზანის სახალხო მამულში

ეს მამული ერთი საუკეთესო მამულთაგანია კახეთში, ის ეკუთვნის სახალხო მამულების ტრესტს და მდებარეობს კახეთის რკ. გზის სადგურ მუკუზნის ახლოს. მამული იყოფა ორ ჯგუფად: მუკუზნის, რომელშიაც შედის 55 დესეტინა მიწა 33 დესეტინა ვენახით და ზეგაანის, რომელიც შეიცავს 68 დესეტინა ვენახს, 3-მეოთხ. დესეტინას მწარე ვაზის სადედისა, 40 დესეტინა სათიბს და 800 დეს. ტყეს. გარდა ამისა, მამულს ეკუთვნის ჩუმლაყის სანერგე, რომელიც შეიცავს 105 დ. მამულს ორი დესეტინა ვენახით და 42 დეს. ამერიკული მწარე ვაზის სადედეთი.

ზეგაანის ჯგუფში მოწყობილია ღვინის სარდაფი და მარანი ყოველგვარი საჭირო ხელსაწყოთი, როგორიცაა საქაჩავები, საწურავი, გადასაღები მანქანები, კასრები და სხვა. გარდა ამისა აქაა მოქცეული 12 სახლი საცხოვრებელი ბინებით, საავადმყოფო, სხვადასხვა სახელოსნოები, სამკითხველო, აბანო, მეტეოროლოგიური სადგური.

მუკუზნის ჯგუფი, რომელიც მდებარეობს დაბლა, რკინისგზის ლიანდაგის ქვევით, უფრო ღარიბია შენობებით (3 შენობაა), მაგრამ 1926 წელში აქ გაუშენებიათ ვეებერთელა სათბური ნამყენ ვაზების გამოსაყვანად. სათბურის სიგრძე უდრის 22 საჟენს, სიგანე 14 არშინს, შიგ ერთბაშად ეტევა 524 ფუთი, ე. ი. 400.000 ცალ ნამყენზე მეტი. სათბური გამოყვანილია მიწაში და აგებულია თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით.

მიუხედავათ ამდენი შენობებისა მამულს არ ყოფნის ბინები ყველა თავისი მუშა - მოსამსახურეთათვის, რომელთა რიცხვი უდრის 48 კაცს.

მამული, გარდა იმისა, რომ გარშემო მდებარე სოფლებისათვის ერთგვარი მასწავლებელია წესიერი მეურნეობის წარმოებისა და გამავრცელებელია აგრონომიული ცოდნისა, დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს გარშემო მდებარე 5—6 სოფლის მოსახლეობას (მუკუზნის, ზეგანის, ახაშნის, ჩუმლაყის, ველისციხის, კოშკის და სხვა). ყოველწლიურად მამულში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ წლებში, უხდება მუშაობა 15—18.000 მუშა ხელს. ასე რომ ადგილობრივი ღარიბი მოსახლეობისათვის, ჩვენი გამოკვლევით მამული შეადგენს უმთავრეს შემოსავლის წყაროს.

უმთავრესი მუშაობა, რომელსაც აწარმოებდენ აქ მუშები იყო მიწის პლანტაჟით გადაბრუნება. როგორც ცნობილია ვენახების მოშენებისათვის საჭიროა მიწის გადაბრუნება 12—14 ვერშოკის სიღრმით.

მართლაც საოცარი ენერგიით უწარმოებია ამ მამულს ფილოქსერისაგან გადამხმარ ვენახების აღდგენა. მუშაობა იწყება 1923 წლიდან და ამ ხუთი წლის განმავლობაში უკვე ნამყენებით მოუფენიათ 53 დესეტინა, რომლიდან თითქმის ნახევარი იძლევა დღეს უკვე ნორმალურ მოსავალს. ასეთი ტემპით (აღდგენილია 80 პროც.) ვენახების აღდგენა ჯერ კახეთში ვერც ერთ სახალხო მამულს ვერ მოუხერხებია. მომავალ წელში მუკუზნის მამულში არ იქნება არც ერთი დესეტინა ძველი ვენახებისა.

როგორც ვსთქვით 1926 წელში ზაფხულზე მამულმა ააშენა სათბური. იმავე სეზონში, ე. ი. მარტში - მაისში გაკეთებული იყო 750.000 ცალი ნამყენი. აქედან პირდაპირ სათბურიდანვე გლეხებს შეხვდათ 208.000 ცალი, გაფუჭდა 94.000 ცალი, დანარჩენი კი შენახულ იქნა დასაფესვიანებლად შემდეგი წლისათვის.

1927 წლის გაზაფხულზე მუკუზნის სათბურმა მოიყვანა 860.000 ც. ნამყენი. ამას მიმატა გამოყვანილი ჩუმლაყის სანერგეებში (მამულს იქაც აქვს სათბური გაშენებული 1915 წელში) 190.000 ცალი. ამგვარად მუკუზნის სახალხო მამულმა წელს გააკეთა 1.050.000 ცალი ნამყენი, რომლიდან გლეხებზე გაიცა 86.000 ცალი პირდაპირ სათბურიდან, გაფუჭდა 41.000 ცალი დანარჩენები დაშკოლავებულია სანერგეში და მომავალ გაზაფხულზე გაიყიდება გლეხებზე დაკლებულ ფასებში, როგორც ეს დაადგინა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა.

აი, ეს ჩატარებული მუშაობა მევენახეობის დარგში მაჩვენებელია იმისა, როგორი ენერგიით ებრძვიან სახალხო მამულების ტრესტი კახეთში ფილოქსერას.

აღსანიშნავია აქ თავდადებული, დაუღალავი მუშაობა მამულების სპეციალისტებისა, რომელთაც სეზონის დროს უხდებათ ხელაღებით დღე და ღამ მუშაობა, არ სცალიათ ძილისათვის, მაგრამ უსაყვედუროდ ჩუმათ ასრულებენ ზედმიწევნით თავიანთ მოვალეობას. საინტერესო ის არის, რომ ტრესტს ამ ხალხისთვის თუმცა სიტყვიერი დაპირება ქონია, არავითარი წაქეზება არ მიუცია და თითქოს დავიწყებია არაჩვეულებრივი შრომის დაფასება.

უკანასკნელ წელში მუკუზნის მამულს მიუქცევია ყურადღება იმ დიდ მოთხოვნილებისათვის, რომელიც არსებობს ადგილობრივ ნამყენ ხეხილის ნერგებში. ამისათვის გაზაფხულზე გაუშენებია ხეხილის სანერგე. რომელშიაც თავი მოყრილი აქვს დასამყნობ მასალას — ჭერამი, მაყალო, პანტას 35.000 ცალის რაოდენობით, რვაჯიში ლეღვის ნერგებს, ბროწეული და ზეთისხილის ნერგებს და სხვ. სანერგეს მუშაობას დიდი მომავალი ექნება, რადგანაც კახეთში არ არის არც ერთი ხეხილის სანერგე, მოთხოვნილება კი დიდია. ვიმედოვნებთ, რომ მამული ამ დარგსაც შესაფერ დონეზე დააყენებს.

ალაზნელი.

ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ

ადგილობრივი ბიუჯეტის გაჯანსაღება, მისი უდეფიციტო დაბალანსება წარმოადგენს ერთ-ერთ საზრუნავ საგანს სათანადო ორგანოების მუშაობაში.

ხელისუფლება უკვე შეუდგა მომავალ წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გამოჯანსაღებას. სახალხო კომისართა საბჭომ აგვისტოს 27-ს დაამტკიცა ფინანსთა კომისარიატის მიერ შემუშავებული დირექტივები მომავალ წლის ადგილობრივი ბიუჯეტების შესადგენად.

ამ დირექტივების მიხედვით, 1927—28 სამეურნეო წლისათვის უნდა შესდგეს ოთხი სახის ბიუჯეტი: მაზრის, სამაზრო ქალაქის, უმაზრო ქალაქის და თემის. საბოლოოდ დამუშავებული ბიუჯეტები ცენტრს უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად ა.-წ. სექტემბრის 15-მდე.

თემის ბიუჯეტები იმდენად უნდა იქნას სრულყოფილი და იმ ვარაუდით ჩამოყალიბდეს, რომ მასში მოექცეს თემის ყველა საშემოსავლო წყარო და გათვალისწინებული იქნას ყველა სათემო მნიშვნელობის ხარჯები, რაც კი დღემდე სამაზრო ბიუჯეტებში ტარდებოდა; როგორც მაგალითად: 1-ლ და მე-2 საფეხურის სკოლის მასწავლებელთა ხელფასი, სოფლის ამბულატორიების, საფერშლო პუნქტების და სხვა სათემო მნიშვნელობის დაწესებულებათა შესანახი ხარჯები. მომავალი სამეურნეო წლიდან ისე უნდა მოწესრიგდეს საქმე, რომ მაზრის მუშაკებს თავის დროზე ეძლეოდეს ხელფასი. თემის ყოველი რეალური შემოსავალი მთლიანად შედის სათემო ბიუჯეტში, რათა თემს შეეძლოს სათანადოდ გაუძლვეს სათემო მნიშვნელობის ყველა აუცილებელ ხარჯებს.სათემო ბიუჯეტის მოსაღონიერებლად წესად უნდა დაიდოს, რათა ფინანსიურად შეძლებულ თემებში სასოფლო - სამეურნეო გადასახადის ანარიცხების მთელი ჯამიდან 26 ორ მესამედ პროცენტზე მეტი არ გადაირიცხოს სამაზრო ფონდში.ხელმოკლე თემს კი უნდა მიეცეს დოტაცია იმ რაოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს სათემო ბიუჯეტის უდეფიციტო დაბალანსება.

თემის აღმასკომში ა.-წ. სექტემბრის 1-დან შტატში უნდა ჩაირიცხოს ერთი ფინმუშაკი იმ თემებში, სადაც შეიქნება დამოუკიდებელი სათემო ბიუჯეტი.

ამიერიდან ყოვლად დაუშვებლად არის მიჩნეული დეფიციტიანი ბიუჯეტის შედგენა ქალაქებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა, დეფიციტი მთლიანად უნდა მოთავსდეს სამაზრო ბიუჯეტში.

მომავალი სამეურნეო წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში უნდა შეიქმნას ფონდი საბინაო მშენებლობისა, გზათა მშენებლობისა და მრეწველობისა.

1927—28 სამეურნეო წელში სადოტაციო თანხები, გარდა მასწავლებელთა სპეციალურ სახელფასო დოტაციისა, აღარ მიეცემა შემდეგ მაზრებს: ახალციხეს, ბორჩალოს, სიღნაღს, თელავს, გორს, ქუთაისს და შორაპანს.

აღნიშნული დოტაცია განაწილდება შემდეგის რაოდენობით: სამხრეთ - ოსეთის ავტონომიურ ოლქს—175.000 მან., ზემო-სვანეთს—100.000 მან., ლეჩხუმის მაზრას—100.000 მან. რაჭას—140.000 მან., ზუგდიდის მაზრას—110.000 მან., ოზურგეთის მაზრას—140.000 მან., დუშეთის მაზრას—150.000 მან., (25.000 მან. ხევსურეთისათვის), ახალქალაქის მაზრას—65.000 მან., სენაკის მაზრას—90.000 მან., აფხაზეთს—60.000 მან., აჭარისტანს—65.000 მან. სულ—1.220.000 მან.

ამ მაზრებს ევალებათ, რომ მიღებული დოტაციის მეოთხედი ნაწილი (25 პროცენტი) მოახმარონ ადგილობრივ მრეწველობას და სასოფლო მეურნეობის საჭიროებას. ამავე საქმეზე სავალდებულოდ უნდა იხარჯებოდეს აგრეთვე ის თანხებიც, რომელსაც მაზრა მასზე ჩვეულებრივ ხარჯავდა ყოველ წლიურად.

ხსენებულ დირექტივების ცხოვრებაში გასატარებლად და მომავალი წლის საბიუჯეტო ნომენკლატურის ახსნა-განმარტებისა და ხელმძღვანელობის გასაწევად, საქართველოს ფინსახკომის ადგილობრივ ფინანსთა განყოფილებამ აგვისტოს 30—31-ს მოიწვია მაზრის სამფინგანთა თანამშრომელნი. თათბირს დაესწრენ 15 მაზრის წარმომადგენელნი, რომელთა მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მომავალი წლის საბიუჯეტო წინასწარი მუშაობა უკვე ყველგან სწარმოებს.

1) **რაჭის** მაზრას ინსტრუქტორი გაუგზავნია თემებში სათემო ბიუჯეტების შედგენის ხელმძღვანელად.

2) **თელავის** მაზრაში უკვე მოუთავებიათ წინასწარი მუშაობა, მაზრის შემოსავალი 1927—28 სამეურნეო წელში უდრის 414.000 მან., ხოლო გასავალი 433.000 მან.

3) **შორაპნის** მაზრის შემოსავალი უდრის 890.000 მანეთს, გასავალი—1.050.000 მან.

4) **სიღნაღის** მაზრის შემოსავალი უდრის 910.000 მან., გასავალი 996.000 მან.

5) **ქუთაისის** მაზრას ჯერ არა აქვს საბოლოოდ გამორკვეული შემოსავალ - გასავალი.

6) **ფოთის** შემოსავალ-გასავალი უდრის 435.000 მანეთს.

7) **ახალქალაქის** მაზრას არ დაუსრულებია საბიუჯეტო მუშაობა, მაგრამ წინასწარი ვარაუდით სასოფლო - სამეურ გადასახადი გაიზრდება 20.000 მან.

8) **ზუგდიდის** მაზრაში გასავალი ერთ მილიონ მანეთს აღწევს, შემოსავალი კი, მოუსავლობის გამო, ნაკლები იქნება და თუ წლევანდელის მიხედვით მაზრამ არ მიიღო დოტაცია 140.000 მანეთის რაოდენობით, მისი ფინანსიური მდგომარეობა აიწეწება.

9) **ლეჩხუმის** მაზრას არ წარმოუდგენია შემოსავალ-გასავლის ვარაუდი, რადგანაც დაწესებულებათაგან წარმოდგენილი ინდივიდუალური ხარჯთ-აღრიცხვები შეუფერებელი აღმოჩენილა და წინასწარ მუშაობას უნაყოფოთ ჩაუვლია.

10) **დუშეთის** მაზრაში საერთო შემოსავალი მოსალოდნელია 40—50.000 მან., აქედან სასოფლო - სამეურნეო გადასახადი 20—30.000 მანეთამდე. ხარჯების დასაფარავად საჭირო იქნება დოტაცია 170.000—200.000 მანეთამდე.

11) **ახალციხის** მაზრის შემოსავალი უდრის 400.000 მანეთს. თემების ვარაუდით გასავალი უდრის 700.000 მან. საბიუჯეტო კომისია ფიქრობს ხარჯები დაიყვანოს 500.000 მანეთამდე. მაზრა არ ღებულობს დოტაციას, რომელიც გასულ წელს უდრიდა 60.000 მანეთს. ამის გარდა, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მაზრას ჩამოართვა ინფუზორის დამუშავება; რომელიც მაზრას წლიურად აძლევდა 60 ათას მანეთს. მოსალოდნელია დეფიციტი 120.000 მანეთი.

12) **ბორჩალოს** მაზრაში თემებს ჯერ არ წარმოუდგენიათ ხარჯთ-აღრიცხვა.

13) **სენაკის** მაზრაში შეუმუშავებიათ საორიენტაციო ბიუჯეტი. დეფიციტი 130 ათას მანეთს აღწევს.

14) **გორის** მაზრაში შედგენილი იქნება უდეფიციტო ბიუჯეტი. 10 თემში, მაზრის ბიუჯეტი უკვე შედგენილია.

15) **აფხაზეთში** დაუმუშავებიათ ჯერ მხოლოდ საშემოსავლო ნაწილი.

ამ მოხსენებების შემდეგ თათბირმა მოისმინა ცხრილი იმ ადმინისტრატიული ხარჯების შემცირებისა მაზრობრივად, რომელი შემცირების გატარება, უმაღლესი ხელისუფლების დადგენილებით, სავალდებულოა მაზრებისათვის:

ადმინისტრატიული ხარჯები შემცირებული უნდა იქნას ამა წლის სექტემბრის 1-დან.

1) ახალქალაქის მაზრაში—10.686 მან. (5.6%), 2) ახალციხის—10.910 (5,5%), ბორჩალოს—15.897 (6.5%), 4) გორის—45.363 (9,9%), 5) დუშეთის—11.809 (7,1%), 6) თელავის—14.764 (7,5%), 7) სიღნაღის—17.172 (5,9%), 8) ქუთაისის—65.516 (11,9%), 9) შორაპნის—32.003 (11.6%), 10) რაჭის—11.722 (7,7%), 11) ლეჩხუმის—7.787 (6,4%), 12) ზუგდიდის—36.902 (15,8%), 13) სენაკის—17284 (9,1%), 14) ოზურგეთის 18.141 (9,1%), 15) ზემო-სვანეთში—8.840 (9,9%), 16) ქ. ფოთის—13.555 მ. (12%), 17) ს.-ოსეთის—7.620 მ. (6,0%), 18) აჭარისტანში—71.460 (15,8%), 19) აფხაზეთში—61429 (10,4%), 20) თბილისის—325.200 (10,2%).

ამგვარად, მომავალი საბიუჯეტო წლისათვის მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ ადმინისტრატიული ხარჯები წლევანდელთან შედარებით შემცირებულ უნდა იქნეს 823.176 მანეთით.

სხვათა შორის აღსანიშნავია ერთი განმარტება. მაზრები ხშირად ღებულობენ სხვადასხვა კომისარიატებიდან განკარგულებებს ფინანსიური საკითხების შესახებ, რადგან ასეთი უშუალო განკარგულებანი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მაზრებს, კომისარიატმა განუმარტა მათ, რომ სხვა კომისარიატების უშუალო განკარგულებანი საფინანსო საკითხების დარგში მაზრებისათვის სავალდებულო არ არის, თუ იგი არაა დადასტურებული საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი, როგორც უმთავრესი ძარღვი და ბარომეტრი ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობისა, გაჯანსაღების გზაზე სდგას, და საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ადგილობრივი ბიუჯეტი ერთი ორი წლის შემდეგ უსათუოდ უდეფიციტო გახდება. ეს იქნება დიდი მიღწევა და განმტკიცება ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობისა და უტყუარი თავდები, რომ ჩვენი დაბა-ქალაქებისა და თემების უპირველესი საჭიროებანი ჯეროვან დაკმაყოფილებას იპოვნის და სოფელს მიეცემა ახალი გზა და საშუალება საკუთარი ცხოვრების განვითარებისა და წინ წაწევისა.

ნ. კ—ლი.

მევენახეობა საქართველოში

უსაფუძვლო პანიკა

ერთ კვირაზე მეტია, რაც გამოქვეყნდა სააგენტოს დეპეშა, რომელიც იუწყებოდა, რომ თელავის რაიონში დაიწყო რთველი. ამ ცნობის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ წრეულს ყურძენი ადრე დამწიფდა.

მაგრამ ნამდვილად კი ყურძენი ჯერ არ დამწიფებულა, მისი შეგროვება შეიძლება მხოლოდ ორი კვირის შემდეგ. და თუ თელავის რაიონში უკვე ჰკრეფენ ყურძენს, ეს აიხსნება მევენახეებში გავრცელებული პანიკით, რომელიც წარმოიშვა ხანგრძლივ გვალვასთან დაკავშირებით, რაც დაღუპვას უქადდა ვენახებს.

სახალხო მამულების ტრესტმა თბილისში სახ. მამულების ადმინისტრაციისაგან მიიღო მთელი რიგი დეპეშები, რომლებშიაც ითხოვდა ნებართვას ყურძნის მოკრეფის დაუყონებლივ დასაწყებად, სანამ ის საბოლოოდ არ განადგურებულა სიცხისაგან. ტრესტმა შეკრიბა რაც შეიძლება ვრცელი ცნობები ამინდის პერსპექტივების შესახებ მახლობელ პერიოდში. გამოირკვა, რომ თითქმის სრული დარწმუნებით უნდა ველოდეთ წვიმიან ამინდებს.

მოლოდინი გამართლდა.

უკანასკნელი წვიმები ყურძნის საბოლოოდ დამწიფების წინ პირდაპირ იხსნის მოსავალს, რომელიც, თუ რომ ეს წვიმები არა, ერთობ ცუდი იქნებოდა.

ღვინის დამზადების მექანიზაცია

სახალხო მამულების ტრესტი დიდ მზადებაშია წრევანდელი მოსავლის გადასამუშავებლად.

დამთავრდა ღვინის სარდაფების მოწყობა მოსკოვში ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ამ სარდაფებში ყველა პროცესები, დაწყებული ღვინის გადასხმით და გათავებული ბოთლების თავის დაცმით და ეტიკეტების დაკვრით, მექანიკურად, ელექტრო-ძალის საშუალებით იწარმოებს.

მუშაობის ასეთივე მექანიზაციაა გატარებული თბილისის სარდაფებშიაც, თუმცა მისი გატარება აქ ცოტა უფრო ძნელია, ვიდრე მოსკოვის სარდაფებში. საქმე იმაშია, რომ ტრესტმა თბილისის სარდაფები მიიღო მემკვიდრეობით წინანდელ საუფლისწულო მამულების სამმართველოდან და ამიტომ მათი გამოყენება თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილების მიხედვით ძნელია,—მოსკოვის სარდაფები კი აშენდა ყველა ამ მოთხოვნილებათა დაცვით.

შესძლებისდაგვარად მექანიზაცია ხორციელდება საქართველოს სახალხო მამულების ტრესტის ბაქოს საბაზისო საწყობშიც.

ღვინის დასამზადებელ ახალ აპარატებიდან უნდა დავასახელოთ პასტერიზატორები, რომლებიც უცხოეთიდანაა გამოწერილი. ღვინო ტარდება ამ პასტერიზატორებში, რომლებშიაც იცვლება ტემპერატურა და ღვინის მავნებელი ბაქტერიები (მაგალ., რომლებიც ღვინის დამმარებას იწვევს) იხპობა. საინტერესოა ის მოვლენა, რომ თუმცა ღვინო პასტერიზატორებში 80 გრადუსამდე ცხელდება, მაგრამ პასტერიზატორებიდან გამოსვლის შემდეგ ღვინის ტემპერატურა ამაზე უფრო დაბალია ვიდრე პასტერიზატორებში გატარების დროს ჰქონდა.

კიდევ უფრო გაუმჯობესებულ აპარატს წარმოადგენს ფილტრი, რომელიც იმავე მიზანს ემსახურება, როგორსაც პასტერიზატორი. ფილტრს აქვს აზბესტის ბადე, რომელიც „იჭერს" ბაქტერიებს. ღვინო ამ აპარატის გამოყენების დროს არავითარ ცვლილებას არ განიცდის

ტკბილი ღვინო

წელს ტრესტი ბაზარზე გამოუშვებს ნახევარ მილიონამდე ბოთლ ტკბილ ღვინოს, რომელსაც საექიმო მიზნით ხმარობენ. ტკბილი ღვინო მზადდება განსაკუთრებული სტერილიზატორებით, რომლებიც ყურძნის წვენში სპობენ დუღილის ყველა პროცესებს. ყურძნის ტკბილი წვენი საუკეთესო საშუალებაა სისხლნაკლულთათვის, საერთოდ ყველა იმათთვის, რომლებიც ყურძნით ექიმობას საჭიროებენ.

ყურძნის წვენს ის უპირატესობა აქვს ჩვეულებრივ ყურძენთან, რომ მისი მიღება შეიძლება ყველგან, იქაც, სადაც ყურძენი არ ხარობს მთელი წლის განმავლობაში და არა მარტო იმ თვეებში, როცა ყურძენი მწიფდება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყურძნის წვენი თანდათანობით გააძევებს ლიმონათს, (თუ ორივეს ერთნაირი ფასი ექნება), ვინაიდან ლიმონათთან შედარებით ის განსაკუთრებით მარგებელია.

შემდეგ, გერმანული ფირმა **ზეიტცი** ამზადებს განსაკუთრებულ „ვაკუუმ-აპარატს ტკბილის დასამზადებლად. ტკბილს ხმარობენ ღვინის გასაძლიერებლად. ყურძნის წვენი შეიცავს 24 პროც. შაქარს, ხოლო ტკბილი — 80 პროც.; ტკბილის დაყენება სწარმოებს გათხელებულ ჰაერში, არაჩვეულებრივად დაბალ ტემპერატურაში (40 გრადუსი ცელსიუსით) ასეთი აპარატი იდგმება ვარციხის სახალხო მამულში; აპარატის პროდუქცია უდრის 1,000 ვედროს დღეღამეში.

ტრაქტორი ვენახში

მნიშვნელოვანი გაუმჯობესებებია მიღწეული არა მარტო მეღვინეობის დარგში, არამედ ვენახის კულტურაშიც. ასეთი გაუმჯობესებანი შეტანილი იქნება მომავალი სეზონისათვის სახალხო მამულების ახლად გაშენებულ ვენახებში.

მიწის პლანტაჟი (მიწის გადაბრუნება 12—14 ვერშოკის სიღრმეზე იმ ანგარიშით, რომ მიწის ქვედა ფენა მოექცეს ზევით), აქამდე ითვლებოდა ვენახის დამუშავების ყველაზე უფრო მძიმე და ძვირ ნაწილად. ერთი დესეტინა მიწის პლანტაჟი ჯდებოდა 1,200 მან.

ეხლა პლანტაჟი იწარმოებს მექანიკური საშუალებით, განსაკუთრებული საპლანტაჟო ტრაქტორებისა და გუთნების საშუალებით, ასეთი პლანტაჟის ცდა უკვე მოხდა და საუკეთესო შედეგებიც მოგვცა: ერთი დესეტინა მიწის გადაბრუნება ჯდება 70—100 მან.

მწკრივში გაშენებულ ვენახებს აქამდე ამუშავებდენ სპეციალურ გუთნებში გაბმული ცხენით. სახალხო მამულებში ამ მიზნით გამოყენებული იქნება განსაკუთრებული ტრაქტორი, რომელიც ჩვეულებრივ ტრაქტორზე უფრო ვიწროა და ადვილად გაივლის ვენახის მწკრივებს შორის. ერთი ასეთი ტრაქტორი სწევს 20 ცხენის მაგიერობას.

ამრიგად, სახალხო მამულებში ტარდება ახალი ვენახების გაშენებისა და მათი შემდგომი მოვლის მექანიზაცია.

ამავე ტრაქტორების საშუალებით შესაძლებელია ვენახის წამლობის მექანიზაცია.

თვითეულ რაიონს—თავისი ვაზი

მევენახეობის გაუმჯობესების საქმეში უდიდეს როლს თამაშობენ საბჭოთა მეურნეობანი. მათ მაგალითზე სავსებით შესაძლებელია ჩვენს ფართო სოციალისტური მეურნეობის უპირატესობის დანახვა.

საქართველოში ვრცელდება ფილოქსერის გამძლე ამერიკული ჯიშის ვაზები. ამ ჯიშის ვაზები მრავალი ხარისხისაა და თვითეული მათგანი კარგად ხარობს განსაზღვრული შემადგენლობის ნიადაგზე. საბჭოთა მეურნეობებთან არსებული საცდელი სადგურები არჩევენ სხვადასხვა ხარისხის ამერიკულ ვაზს ნიადაგის ამა თუ იმ შემადგენლობისათვის. ამ რიგად მევენახეობის თვითეული რაიონი ღებულობს მისთვის შესაფერ ვაზს.

ამერიკულ ვაზის ძირზე ამყნიან ევროპულ და ქართული ჯიშის ყურძენს. წამოჭრილია ახალი საკითხი, — რომელი ჯიშის ყურძნის დამყნა უფრო გამოსადეგია სხვადასხვა რაიონისათვის. საცდელი სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მევენახეებს ყურძნის ჯიშების შერჩევაში.

თვითეულ დიდ რაიონისათვის დაინიშნულია ყურძნის ორი სტანდარტული ჯიში, — ერთი წითელი და მეორე თეთრი,—რომლებიც ყველაზე უფრო ხეირობენ ამ რაიონში. ეს გარემოება უზრუნველყოფს ჩვენი ღვინოს ხარისხების სტანდარტულ სიმტკიცეს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ღვინოების გასაღებისათვის.

„გლინტვეინ"

თუ რამდენად კარგია ქართული ღვინის წითუ რამდენად კარგია ქართული ღვინის (წითელი ფერის) თვისებები, ამას მოწმობს ამას წინად სახალხო მამულების ტრესტის მიერ მიღებული წინადადება იკისროს გერმანიისათვის წითელი ღვინის მიწოდების საქმე.

გერმანიაში სასმელათ გავრცელებულია გლინტვეინი, რომელიც მზადდება ცხელი წითელი ღვინოდან. აქამდე ეს ღვინო გერმანიაში შემოჰქონდათ ესპანეთიდან. გერმანელებმა გასინჯეს ჩვენი ღვინო და დარწმუნდენ, რომ ის ბევრად სჯობია ესპანურს.

ეხლა ისინი ურჩევენ სახალხო მამულების ტრესტს, გააშენოს მხოლოდ წითელი ყურძენი იმ გარანტიით, რომ ისინი შეისყიდიან წითელი ღვინის მთელ პროდუქციას საქართველოში.

მ. დ—ლი.

წყალდიდობის შემდეგ

მოძრაობის აღდგენა მოსალოდნელია 11—12 სექტემბერს. — რკინის გზის ხაზი ჩაქვაში და ორი ხიდი აღდგენილია. — ზარალი ერთ მილიონ მანეთს აღემატება. დაზიანებულია საჯევახო-ოზურგეთის გზა. — დანგრეულია შარა-გზის ხიდები.

გუშინ ბათომის უბანზე წვიმებისაგან დაზიანებულ ადგილებიდან დაბრუნდენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის თავმჯდომარის მოადგილე გ. ი. ჩხეიძე, და გზათა უფროსის თანაშემწე ინჟ. ზ. ი. გვერდწითელი.

ბათომის ხაზის მდგომარეობის შესახებ ინჟ. გვერდწითელმა განაცხადა:

ბათომის უბანზე ადგილი ჰქონდა არა მარტო გზის წალეკვას, არამედ მატარებლის დამტვრევასაც. ძლიერი წვიმის დროს მიმავალი სამარშრუტო მატარებელი № 103 მოხვდა მეწყერის ქვეშ. მეწყერი ჩამოწვა 25 საჟენის მანძილზე და ჩამონგრეული მიწის მასა დაეჯახა მატარებელს სწორედ შუა გულში, ამის გამო მატარებელი გაწყდა. შემადგენლობიდან დაზიანდა ათი ცისტერნა. მათგან სამი სრულიად ჩაიფლო მიწაში, ერთი დაჯახების ძალამ გადაისროლა ზღვაში დანარჩენი ოთხი ვაგონი და ორთქლმავალი აცდა ლიანდაგს.

წვიმებით გამოწვეულ ნიაღვრებს მიჰქონდა საამშენებლო მასალები, დანგრეული სახლის ნამტვრევები და სხვა ნივთები, ყველა ესენი ანგრევდენ ყოველივეს, რაც კი წინ ხვდებოდათ.

ჩაქვაში სახლების ძირა სართულები აივსო წყალით, ჩაქვის სადგურზე არსებულ ჩიხში წყალმა შეიტანა დიდძალი კასრები, საამშენებლო მასალები და სხვა.

წყალდიდობისაგან დაზიანებულია რკინის გზის ხიდი აღდგენილი იქნა გუშინ დილას. ყველა დაზიანებულ ადგილებში მუშაობა სწარმოებს განუწყვეტლივ დღე-ღამის განმავლობაში, მუშაობას აწარმოებენ მუშები სამ ცვლად.

ამჟამად დაზიანებული ორი ხიდი უკვე აღდგენილია. დანარჩენ ხიდებზე მუშაობას აფერხებს დიდი წყალი მათ ქვეშ.

ხაზის სავსებით აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ 11—12 სექტემბერს.

ნაწილობრივ დაზიანებულია ნავთსადენიც.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მოძრაობის შეწყვეტით გამოწვეულ ზარალს, სტიქიის მიერ გზისთვის მიყენებული ზარალი გამოიხატება 1 მილიონ მან.

ამჟამად საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა შეწყვეტილია.

ეხლა გზა ეზიდება ამ პროდუქტებს თავის და ამიერ-კავკასიის მრეწველობის საჭიროებისათვის. ამ დღეებში, როგორც გზა, ისე მრეწველობა შესძლებენ საჭირო რაოდენობის ნავთის პროდუქტების მომარაგებას. ბათომის უბანზე მოძრაობის აღდგენის შემდეგ კი გაძლიერებული იქნება საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვა.

ცხადია, ეს შემთხვევა შეაფერხებს ნავთის პროდუქტების ექსპორტს, მაგრამ გზა მოძრაობის აღდგენისთანავე მიიღებს ყოველგვარ ზომებს და საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვის სექტემბრის გეგმა შესრულებული იქნება სავსებით.

საჯევახო-ოზურგეთის გზა

საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოში მიღებული ცნობიდან სჩანს, რომ წვიმებმა საგრძნობლად დააზიანეს საჯევახო-ოზურგეთის გზა. მიმოსვლა გზაზე შეწყვეტილია.

ზარალის დაწვრილებით გამოსარკვევად გზაზე გაემგზავრება ქუთაისის დისტანციის უფროსი.

აჭარისტანის შარა გზები და ხიდები

საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში მიღებულია ცნობა, რომ ბათომში მოსულმა წვიმამ დააზიანა ბარცახანას ხიდი, რომელმაც ძირს დაიწია ერთი მეტრით.

კუბა-წყალის და ქორნის-წყალის ხიდები გადარჩენ, მაგრამ წყალმა ორთავეს შემოარეცხა დაყრილი ხრეში.

ჩაქვის შარა გზის ფეხით სახიარულო ხიდი ჩავარდნილია წყალში.

მიღებულია ზომები ხიდების აღსადგენად. მდ. კუბა-წყალის და ქორნის წყალის ხიდების აღდგენას დასჭირდება 1,500 მან.

სახკომსაბჭოში

შეთანხმების კომისიის დაარსების შესახებ

პროექტი ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა —კოოპერაციისა და სახელმწიფო სამრეწველო დაწესებულებათა შორის გენერალურ ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმების დადებისა და შესრულების დროს აღმოცენებულ უთანხმოებათა გადასაჭრელად შესათანხმებელი კომისიების დაარსების შესახებ, — მოწონებულ იქნა სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომის მიერ. ხსენებულ კომისიაში შევლენ ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენელი (თავმჯდომარეთ), ერთი სათანადო სახ. - სამრეწველო საწარმოსი, ერთი იმ სახ. კომისარიატისა, რომლის უშუალო გამგებლობაშიც იმყოფება საწარმო, ერთი სათანადო კოოპერატიულ ცენტრისა, ერთი სათანადო კოოპერატიულ საბჭოსი და ერთი სათანადო რესპუბლიკის მიწსახკომისა, უკეთუ იგი დაინტერესებულია აღძრულ საკითხით.

სპეციალისტების შრომის ბაზრის მოწესრიგება

სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ მოიწონა სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ შემუშავებული პროექტი დადგენილებისა — საექიმო და ვეტერინარული პერსონალისა და აგრეთვე სოფლისა და ტყის მეურნეობის და მიწათმოწყობის საქმეში მომუშავე სპეციალისტების შრომის ბაზრის მოწესრიგების შესახებ.

ტეხნიკუმების დებულების დამტკიცება

განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი დებულებისა — ტეხნიკუმების შესახებ დამტკიცებულ იქნა სპეციალურ კომისიის რედაქციით.

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოში

1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

აჭარისტანის სახკომსაბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის 1927-28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი. შემოსავალი უდრის—779.217 მან., გასავალი—1.721.334 მან. აჭარისტანის სახკომსაბჭო შუამდგომლობს საქართველოს სახკომსაბჭოს წინაშე, რათა დეფიციტი — 942.117 მან. რაოდენობით დაფარულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის საშუალებებიდან.

აჭარისტანის ჰიდრო-ელსადგურის სააშენებლო კომიტეტი

აჭარისტანის სახკომსაბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის ელსადგურის მთავარი საამშენებლო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე —**მამედ გოგიბერიძე**, მისი მოადგილე—**ლ. გამყრელიძე**, საამშენებლო მუშაობის უფროსი—**ინჟ. მაშევსკი**, წევრები—**ა. ყუფუნაშვილი, ზ. ლორთქიფანიძე, ჯინჭარაძე, სულაბერიძე, ზაქარიაძე, ბრეგაძე, კუნჭულია, ეჯიბია, ტეპენჩუკოვი და ზელბსტი.**

ს. მ. უ. ს.-ში

ინდუსტრიალიზაციის სესხი

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა ტრესტებს და შენაერთებს შეიძინონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. თითოეულმა წარმოებამ უნდა შეიძინოს არანაკლებ 300 მანეთის ობლიგაციები.

ადმ. ხარჯების შემცირება

წინადადება მიეცა ს. მ. უ. ს. ქვემდებარე ყველა ტრესტებს და მათ წარმოებებს მიიღონ ზომები მომავალი წლის განმავლობაში ადმინისტრატიული ხარჯების 20 პროცენტით შესამცირებლათ.

ამ ვარაუდით უნდა იქნეს შედგენილი მომავალი წლის ხარჯ-აღრიცხვები და ახალი შტატები.

გლეხობის ჯანმრთელობის დაცვა

საბავშვო ბაგა ყარაიაში

4 სექტემბერს, ყარაიაში დიდი ზეიმი იყო: გაიხსნა საბავშვო ბაგები, სპეციალურად გლეხების ბავშვებისათვის. ეს ბაგები მოწყობილია თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ და საქ. ცაკთან არსებულ ქალების ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის საშუალებით.

ბაგების გახსნა შეხვდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს და საზეიმო მიტინგი ამ დღეს ჩატარდა იმ შენობის წინ, რომლებშიაც მოთავსებულია ბაგები.

ბაგების გახსნას დაესწრო თბ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი ექ. **დევიძე**, რომელმაც შეკრებილ ხალხს განუმარტა ბაგების მნიშვნელობა გლეხების ბავშვებისათვის და აუხსნა სრული უსაფუძვლობა ჭორების, რომ თითქო „საბჭოთა ხელისუფლება ბაგებში მოყვანილ ბავშვებს აღარ დაუბრუნებს თავის დედებს"-ო...

ამჟამად ბაგაში არის 10 ბავშვი, აქედან 5 ძუძუმწოვარაა. ბავშვები ბაგაში რჩებიან ექიმისა და მისი თანაშემწის მეთვალყურეობის ქვეშ, სანამ ბავშვების დედები სამუშაოზე იმყოფებიან.

ბავშვების რაოდენობა ბაგაში საჭიროების დროს შეიძლება აყვანილ იქნეს 30-მდე.

საავადმყოფო მარტყოფში

რამდენიმე ხნის წინად თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ გაიღო საშუალებები საექიმო პუნქტის დასამთავრებლად მარტყოფში. ადგილობრივმა გლეხობამ გამოსთქვა სურვილი დახმარებოდა ამ საქმეს თავისი შრომით. ამას შედეგად მოჰყვა საშუალებების ისეთი მომჭირნეობა, რომ პუნქტის დამთავრების ნაცვლად შესაძლებელი გახდა მთელი საავადმყოფოს აგება.

ამჟამად საავადმყოფოს დამთავრებას ცოტა უკლია და ის მოკლე ხანში გაიხსნება.

საავადმყოფოში იქნება 15 საწოლი.

მალარიასთან ბრძოლა

მალარიის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის კამპანია ყარაიას რაიონში, მოძრავი ამბულატორიის საშუალებით, წარმატებით მიმდინარეობს. ამბულატორიამ დაასრულა მოსახლეობის ქინიზაცია ბოიოკაში და გადავიდა ტატიანინკაში. მოსახლეობას ქინა-ქინა ურიგდება უფასოდ.

გარდა პრაქტიკული მუშაობისა, **მოძრავი** ამბულატორია აწარმოებს სამეცნიერო მუშაობასაც: იკვლევს ცხოველებისა და ფრინველების სისხლს მალარიით დაავადებულ ადგილებში. გამოირკვა, რომ ცხოველები და ფრინველებიც დაავადებულია არიან მალარიით.

ამბულატორიის ექიმები აღნიშნავენ კოღოების იშვიათ სიმრავლეს წრეულს.

რაიონული სტატისტიკოსთა კონფერენცია

სოციალურ სტატისტიკის სექტორში

მოხსენებას აკეთებენ **ზ. ჩახვაძე** და **ა. ქარჩავა.**

მომხსენებლებმა ჩამოსთვალეს სოციალურ სტატისტიკაში შემავალი დარგი,—მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, სასკოლო, საექიმო-სასანიტარო, მორალური და კომუნალური სტატისტიკა. მომხსენებლები აღნიშნავდენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ყველაფერი კეთდება წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, სტატისტიკას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

მოსახლეობის ყოველწლიური აღწერა შეუძლებელია და რომ ხელისუფლებას ჰქონდეს სწორი ცნობა მოსახლეობის მოძრაობის შესახებ, საჭიროა რაისტატისტიკოსებმა ყურადღება მიაქციონ, თუ რამდენათ სწორათ ავსებს სარეგისტრაციო ბარათებს მმაჩის ორგანიზაცია.

სასკოლო სტატისტიკაში რაიონულ სტატისტიკოსებს ევალებათ ხელმძღვანელობის გაწევა მასწავლებელთათვის, რათა უკანასკნელებმა კარგათ შეავსონ მათთვის გადაცემული სხვადასხვა ანკეტები.

ჯანმრთელობის სტატისტიკაში — საჭიროა ჟურნალების დევნება, რათა სამკურნალო დაწესებულებებში და ექიმებთან აღრიცხვაზე იქნან აყვანილი ყველა ავადმყოფები.

კომუნალურ სტატისტიკაში—რაისტატისტიკოსებს ევალებათ დიდი ყურადღებით მოეპყრან კერძო მშენებლობის გამოკვლევას, რომელიც ჩატარებულ იქნება მიმდინარე წლის ნოემბერში.

მორალურ სტატისტიკაში—რაისტატისტიკოსები ვალდებული არიან თვალყური ადევნონ, თუ რამდენათ უნაკლოთ სდგება თვითეულ მსჯავრდებულზე—მსჯავრდებულთა ფურცლები.

მოხსენების შემდეგ მომხსენებელს მისცეს პრაქტიკული შეკითხვები.

სავაჭრო ურთიერთობის სტ. სექტორში

მომხსენებელი ი. **წამალაშვილი** ამბობს, რომ, საკავშირო სახკომსაბჭოს გასული წლის 31 დეკემბრის დადგენილებით სტატისტიკურ ორგანოებს ევალებათ აწარმოონ კერძო კაპიტალის სისტემატიური შესწავლა და აღრიცხვა.

ამავე დეკრეტით აღრიცხვაზე უნდა იქნან აყვანილი სავაჭროების მთავარი დარგები და სახელმწიფო და კოოპერატიული წამოწყებანი.

თანახმად ამ დეკრეტისა, სტატისტიკის სამმართველო შეუდგა სავაჭროების ყოველთვიურ შერჩევითი აღრიცხვას და როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ,ისე კერძო სავაჭროების ყოველთვიურ ბრუნვების და საქონლის ნაშთების გამორკვევას. მომხსენებელი განმარტავს, თუ რა წესით და როგორ უნდა იქნეს შევსებული ამ მიზნისთვის დამზადებული ბარათები.

შემდეგ **გ. ჭანიშვილი** აკეთებს მოხსენებას—საქართველოს სოფლებში [illegible] დუქნების, ბაზრის და დამამზადებელ ვაჭრობის რეგისტრაციის დაყენების შესახებ, მომავალ სამეურნეო წელში—რეგისტრაციის ახალ მეთოდებზე და ფორმებზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სამრეწველო სტატისტიკის სექტორში

მომხსენებელი **დ. ბერიშვილი** აღნიშნავს, რომ მომავალ წელში მოხდება შინა-მრეწველობის აღწერა. წელს კი საორგანიზაციო ცნობების შეკრების მიზნით, რაიონულ სტატისტიკოსებს ევალებათ სოფლათ გაფანტულ წვრილი და შინა-მრეწველობის აღრიცხვა-შესწავლა. რაისტატისტიკოსებმა უნდა აღრიცხონ თითოეულ სოფლის შინა-მრეწველობა, მრეწველობის დარგი, გამოარკვიონ თითოეულ დარგში ჩაბმულ პირთა რაოდენობა, მეკომურთა რიცხვი და სხვა.

აღრიცხვა შეეხებათ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც ნაწარმოები გააქვთ ბაზარზე.

შრომის სკოლების ინსტრუქტორთა კონფერენცია

ოთხწლედის პროგრამები

6 სექტემბერს, საღამოს, დაიწყეს მუშაობა კომისიებმა, რომლებიც არჩეულ იქნა კონფერენციის მიერ ცალკე ჯგუფებისათვის შედგენილ პროგრამების გასახილველად. კომისიების მუშაობა დამთავრდა 7 სექტემბერს.

გუშინ დილას შესდგა კონფერენციის მორიგი სხდომა, რომელზედაც წაკითხულ იქნა კომისიების მიერ განხილული პროგრამები.

კომისიებ მუშაობის პროცესში პროგრამებში შეუტანიათ ზოგიერთი დამატებები.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენციამ წარმოდგენილი პროგრამები მიიღო ზოგიერთი დამატებებით.

დასასრულ, გამოვიდა განათლების სახ. კომისარიატის შრომის სკოლების განყოფილების გამგე **გ. გოგუაძე**, რომელმაც განაცხადა, რომ ეს პროგრამები საბოლოო ნორმალურ პროგრამებად არ ჩაითვლება. ისინი კიდევ დამუშავებას საჭიროებენ.

— ამისათვის, დასძინა ის,—საჭიროა სამოსწავლო წლის განმავლობაში მისი შესწავლა ადგილებზე—სკოლებში. წლის განმავლობაში ინსტრუქტორებმა და მასწავლებლებმა უნდა შეისწავლონ ეს პროგრამები დეტალურად და შეგროვილი მასალები გადმოაგზავნონ განათლების კომისარიატში.

ამ პროგრამების ღირსება გამოიხატება იმაში, რომ იგი იძლევა გარკვეულ გეზს საბჭოთა შრომის სკოლებისათვის.

პროგრამების მიღების შემდეგ, კონფერენციამ გამოჰყო სკოლებში საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის, საზაფხულო დავალებების და საგნობრივი მეთოდების კომისიები.

აღნიშნული კომისიები მუშაობას შეუდგნენ გუშინ საღამოს.

ავტომობილის კატასტროფა ზაჰესში

გუშინ, საღამოს, ზაჰესიდან თბილისისაკენ მომავალ ავტომობილს, რომელსაც მართავდა შოფერი **სარქისოვი**, შემთხვა მარცხი.

„ფიატის" სისტემის მანქანა № 47, ოთხი მგზავრით ნელა მიდიოდა თბილისისაკენ, როცა ავტომობილი ზაჰესის არხს მიუახლოვდა (იქ სადაც ხიდია), მანქანას წინა ბორბალი მოძვრა. ავტომობილმა კიდევ გაიარა რამდენიმე საჟენი, შემდეგ ხევში გადავარდა და მგზავრები გადაყარა. რომ მანქანა ხევს არ შეეჩერებია, შესაძლებელი იყო მისი მტკვარში გადავარდნა 12 საჟენის სიმაღლიდან.

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდენ: შოფერი ვანო სარქისოვი, შოფერის თანაშემწე ცხილაძე, ზაჰესის მოლარე ლონგინოზ ჯიჯვაძე, ზაჰესის წყალსაქაჩავის მემანქანე მიხეილ კერნერი. მსუბუქად დაშავდენ საუწყებო მილიციის თანამშრომლები: ბახუტოვი, ბანდურაშვილი და სოხაძე.

დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში.

შოფერ სარქისოვს დაზიანებული აქვს ხელები და ფეხები და მიღებული აქვს თავის კონტუზია.

ცხილაძეს დაზიანებული აქვს ფეხები.

ჯიჯვაძემ იღძო მარჯვენა ხელი და დაკაწრული აქვს პირის სახე.

კერნერს დაზიანებული აქვს წელის ძვლები.

ფლორიდინი

სამთა მრეწველობის ტრესტის ინიციატივით მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში ჩატარებულ იქნა სოფ. გუმბრში (ქუთ. მაზრა) აღმოჩენილ ფლორიდინის საბუდოების შესწავლა. ფლორიდინი წარმოადგენს განსაკუთრებული თვისების თიხას, რომელსაც ხმარობენ უმთავრესად ნავთის პროდუქტების საწმენდათ. საბჭოთა კავშირში ფლორიდინი არ მოიპოვება არსად და იგი დღემდე შემოჰქონდათ ამერიკიდან (ფლორიდიდან).

გუმბრის ფლორიდინის საბუდოებზე პირველად მუშაობა დაიწყო ტეხნიკოსმა **ჯანუაშვილმა**, რომელმაც გამოარკვია მადნების მარაგი და მისი ხარისხი. შემდეგ გამოსაკვლევ სამუშაოებზე მოწვეული იყო პროფ. **ა. თვალჭრელიძე**, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩატარდა ნავთის საცდელი წმენდა გუმბრის ფლორიდინით ბაქოში და შემდეგ ბათომში.

ჩვენებური ფლორიდინით გაწმენდილი ნავთი იმავე ღირსების აღმოჩნდა, როგორც ამერიკული ფლორიდინით გაწმენდილი. საერთოდ ჩატარებულმა ცდებმა გამოარკვიეს, რომ გუმბრის ფლორიდინი იძლევა მაღალ ხარისხის დაწმენდილ საექსპორტო ნავთს.

ამის შემდეგ დაისვა ამერიკიდან ფლორიდინის იმპორტის შემცირების და მის მაგიერ ადგილობრივი ფლორიდინის გამოყენების საკითხი.

ახლო ხანში კი შესაძლებელი გახდება სრულიად შესწყდეს ამერიკიდან ფლორიდინის შემოტანა და დაწყებულ იქნეს გუმბრის ფლორიდინის დამუშავება.

ქუთაისი

დამღრჩვალის პოვნა

ამ დღეებში დამღრჩვალი მოწაფის ზვიადაძის გვამი იპოვეს სოფ. გეგუთში რიონის ნაპირას გამორიყული.

დიმ - როკითის არხი

ქუთაისში მოელიან ცაკის თავმჯდომარეს ამხ. ფ. მახარაძეს, რომელიც მიდის დიმ.-როკითის სარწყავ არხზე წარმოებულ სამუშაოთა დასათვალიერებლად.

„მაშველი"

თბილისიდან დაბრუნდა ქუთაისის წყალთა ოლქის გამგე ზ. ბიჭაშვილი, რომლის მიერ წარდგენილი პროექტი და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა „მაშველი" არხისა და 1 საბჭოთა არხის დასამთავრებლად მოიწონა ა.-კ. წყალთა სამმართველოსთან არსებულ საბჭომ და დაადგინა, რომ ხსენებული არხების დასამთავრებლად მიეცეთ დაინტერესებულ თემებს გრძელვადიანი შეღავათიანი სესხის სახით 800.000 (რვაასი ათასი) მანეთი.

აგრილდა

ძლიერი სიცხეების შემდეგ სამი დღეა წვიმს და საგრძნობლად აგრილდა. მოაგარაკენი და მოსწავლე ახალგაზრდობა უკვე დაბრუნდა და ქალაქს გამოცოცხლება დაეტყო.

ბანკების ახალი სადგომები

სახელმწიფო ბანკის ქუთაისის განყოფილება გადავიდა ყოფ. ქუთ. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობაში, პუშკინისა და აკაკი წერეთლის ქუჩების კუთხეში (სადაც უკანასკნელად ქუთ. სამ. პარტკომი იყო მოთავსებული); სახ. ბანკს ქუთ. განყოფილებისაგან განთავისუფლებული შენობა დაიჭირა კომუნალური ბანკის ქუთაისის განყოფილებამ (ს. წულუკიძის ქუჩა, საბჭოთა სახლი); უკანასკნელისაგან განთავისუფლებული სადგომი კი შეიერთა სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილებამ.

ფართალი

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საქართველოში შემოზიდული იქნა 100 ვაგონი ფართალი. აღნიშნულ რაოდენობიდან აღმოსავლეთ საქართველოს (ქალაქებს და სოფლებს) უნდა მიეღო 45 ვაგონი, მარტო თბილისმა კი მიიღო 45 ვაგონი (მთელი აღმ. საქართველოს წილი) და კიდევ—8,3 ვაგონი, სულ 53,3 ვაგონი. ცეკავშირს ერგო ყველა ძირითად კოოპერატივებისათვის მხოლოთ 15,64 ვაგონი. ამ რიგათ, სოფელმა ფართალის მცირე რაოდენობა მიიღო. ამ გარემოებას თავის დროზე მიაქცია ყურადღება შინა-ვაჭრობის სახკომისარიატმა, რომელმაც შუამდგომლობა აღძრა, რათა საკავშირო ვაჭრობის კომისარიატმა, მომავალში მთელ საქართველოში შემოსაზიდი ფართალი გადასცეს საქართველოს შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რომელიც აღნიშნულ ფართალს განაწილებს ადგილობრივ სახ. სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის რაიონების რეალურ მოთხოვნილებების შეფარდებით. ამჟამად სოფლად ფართალის ნაკლებობაა. ამ გარემოების შესუსუბუქების მიზნით, შინა-ვაჭრობის კომისარიატში 27 აგვისტოს შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრენ „საქართველოს სახ. ვაჭრობის" და ცეკავშირის წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა ეთხოვოს „სახელმწიფო ვაჭრობას" დაუთმოს თავის საწყობებიდან ცეკავშირს (ძირითად კოოპერატივებისათვის 4 ვაგონი ფართალი.

თათბირმა აგრეთვე დაადგინა, რომ აღნიშნული ფართალი კოოპერაციამ მიაწოდოს მომხმარებელს შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ მაგარ ფასებში.

84 დესეტინა კანაფი

საქართველოს კანაფის მოყვანაში უმთავრესი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში.

წარსულ წლამდე კანაფი უმთავრესად ჩრდილოეთ კავკასიაში მოჰყავდათ. ის აქ კარგ მოსავალს იძლეოდა, მაგრამ ძალიან მწვავედ იდგა კითხვა თესლის შესახებ. ეს იმიტომ, რომ ჩრ. კავკასიაში კანაფი თუმცა კარგად იზრდებოდა, მაგრამ თესლი საკმაოდ არ მწიფდებოდა და დასათესად უვარგისი იყო. ამიტომ ყოველწლიურად საჭირო ხდებოდა კანაფის თესლის გამოწერა სპარსეთიდან.

დაბოლოს, გადაწყდა კანაფის პლანტაციების გაშენება საქართველოში. ამ ცდის მიზანს უმთავრესად შეადგენდა იმის გამორკვევა, თუ რამდენად კარგი თესლი მოვიდოდა საქართველოში და თუ ცდა მიზანს გაამართლებდა, მაშინ საჭირო აღარ იქნებოდა სპარსეთიდან კანაფის თესლის შემოტანა.

კანაფის პლანტაციები გაშენებულ იქნა 84 დესეტინაზე ყარაიას რაიონში. ამჟამად მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში მიღებული ცნობები, რომ ეს ცდა ბრწყინვალედ დაგვირგვინდა. წარსულ წელში ამ პლანტაციებზე შეგროვილი კანაფის თესლი ხელმეორედ დათესილ იქნა არა მარტო ჩვენში, არამედ ჩრ. კავკასიაშიც და გამოირკვა, რომ ეს თესლი ყოველმხრივ ორჯერ უკეთესია სპარსეთის თესლზე.

ამ 84 დესეტინა პლანტაციებზე მოყვანილი კანაფის თესლი სავსებით უზრუნველყოფს ორი ათასამდე დესეტინა კანაფის სათეს მოედანს და ამრიგად სავსებით იქნება დაკმაყოფილებული არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიის, არამედ ჩრდ. კავკასიის მოთხოვნილებაც თესლზე.

საგლეხო სესხი

ობლიგაციების გასაღება აჭარისტანში და გურიაში

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გლეხობის შორის საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით სარეალიზაციოთ მიიღო 23.000 მანეთის მესამე საგლეხო მოგებიან სესხის ობლიგაციები.

ეს ობლიგაციები განაწილებულია აჭარისტანის და გურიის საკრედიტო ამხანაგობებზე შემდეგის რაოდენობით: **აჭარისტანში** — ხულოს საკრედიტო ამხანაგობას—1.500 მანეთის, ქობულეთის—2.000 მან., ბათომის—1.500 მან., ქედის—1.000 მან., აჭარის წყლის—500 მან და ჩაქვის 1.100 მან. **გურიაში**—ოზურგეთის—1.500 მან., სუფსის—700 მან., ჩოხატაურის—2.500 მან., ლანჩხუთის—1.000 მან., ნიგოითის—600 მან., ხიდისთავის—1.700 მან., მიქელ-გაბრიელის—2.000 მან., შემოქმედის—700 მან., ბახვის—500 მან., აცანის—500 მან., დიდვანის—500 მან., ერკეთის—1000 მან., საჭამიასერის—400 მან. და დვაბზუს—600 მან.

გლეხთა შორის სესხის იდეის პოპულიარიზაციისათვის, აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა სათანადო სააგიტაციო მასალა დაუგზავნა საკრედიტო ამხანაგობებს.

წერითი დამხმარე ბიუროების წმენდა

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოებთან არსებულ სამოსამართლო მაგიდებთან არსებობს ე. წ. წერითი დამხმარე ბიუროები, რომლებიც შესდგებიან უმთავრესად პროფკავშირების უმუშევარ წევრებისაგან.

მათი მოვალეობაა დახმარების აღმოჩენა მცირე წერა-კითხვის მცოდნეთა და წ.-კ. უცოდინართათვის იმ დროს, როდესაც ისინი მიმართავენ ცნობებისათვის კომისარიატს ან სამოსამართლო მაგიდას. დახმარებისათვის დაწესებულია სპეციალური ნიხრი.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულმა სამმართველომ ამას წინად ჩაატარა ამ ბიუროების გამოკვლევა და აღმოაჩინა მთელი რიგი არანორმალური მოვლენები.

ხშირად ამ ბიუროებში დახმარებისათვის მისულ პირებს ახდევინებენ ფულს ნიხრზე ზევით. ზოგიერთ მოქალაქეებს ბიუროებში მომუშავენი პირდაპირ უკრძალავდენ პირადი ბარათების შევსებას, აიძულებდენ ეს ბარათები შეევსებინათ მათ და ამისათვის ახდევინებდენ ფულს.

მომავალში ამ არანორმალობის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრატიული სამმართველოს დადგენილების თანახმად, ყოველ კომისარიატში თვალსაჩინო ადგილზე გამოკიდებული იქნება წერითი დახმარებით სარგებლობის ნიხრი, რომლის ზევით ბიუროებს ნება არ ექნებათ გადაახდევინონ ფული მოქალაქეებს. ამასთანავე ყოველ მოქალაქეს ექნება საშუალება თვითონ შეავსოს ბარათები.

გარდა ამისა, ახლო მომავალში ადმინისტრატიული სამმართველო, შრომის ბირჟასა და პროფორგანოებთან ერთად შეუდგება აღნიშნულ ბიუროების წმენდას.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბილისის აღმასკომმა აღბულაღის რაიონში—სოფ. ვაკეში წყალსადენის გამოსაყვანად გადადო 5000 მან.

◆ **სესხი საიჯარო ამხანაგობებს.** მცირე შემოსავლიან საბინაო-საიჯარო ამხანაგობებისათვის სესხის მისაცემად გადადებულია 6500 მანეთი. სესხი უნდა მოხმარდეს სახლების შეკეთებას.

◆ **ახალი სახლები.** მიმდინარე წელს ავლაბარში აგებული იქნება მუშათა ორი ახალი სახლი.

ჯანსახკომში

◆ **სატუბერკულიოზო ყრილობა.** მომავალ წლის მაისში თბილისში შესდგება სრულიად საკავშირო სატუბერკულიოზო ყრილობა.

სხვადასხვა

◆ **პროფკავშირთა საბჭომ** გამოყო კომისია ოქტომბრის დღესასწაულის ჩასატარებლად.

◆ **საზოგადოება „ხლეპროდუქტმა"** აჭარისტანისათვის მიიღო 10.000 ფ. პური.

◆ **ფართალი.** საფეიქრო სინდიკატმა მიიღო სამი ვაგონი პირველ საჭიროების ფართალი ზამთრის სეზონისათვის.

◆ **მონტიორების მომზადება.** ელექტროქსელის მონტიორების მოსამზადებელ კურსებზე მეცადინეობა განახლდება 1 ოქტომბრიდან.

ჟურნალი „ტეხნიკა და ცხოვრება".

გამოვიდა ჟურ. „ტეხნიკა და ცხოვრების" მორიგი ნომერი.

შინაარსი: ინჟ. **ბ. ჰიჰინაძე.**—„თეთრი ნახშირის" ტეხნიკის თანამედროვე განვითარება; ინჟ. **ი. მჭედლიშვილი.**—ენგურის, კოდორის, ბზიბის და სხვა მდინარეების ჰიდრავლიური ენერგიის გამოყენება; ინჟ. **ნ. მაისურაძე.**—რკინა ბეტონის მრავალმანძიან ჩარჩოს გაანგარიშების თეორია; ინ. **ა. ლემანი.**—ლითონთა ავადმყოფობანი; ინჟ. **ა. უდალოვი.**—უსაშიშროების ტეხნიკის საკითხისათვის; **ინჟენერი-ქიმიკოსი.**—ქიმია ადამიანის სამსახ.; ინჟ. **ვ. კაკაბაძე.**—ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში; **აპ. კაკაბაძე.**—ბაქტერიები და ნიადაგის ნაყოფიერების პრობლემა; **შ. ჭანიშვილი.**—მცენარეთა დაცვის ორგანიზაციის საკითხი ჩვენში; **კ. გაბიჩვაძე.**— აგრონომიის პრობლემები სოფლად; ტეხნიკის ინფორმაცია, ადგილობრივი ინფორმაცია, პროფესიონალური ცხოვრება, ბიბლიოგრაფია, სასარგებლო ცნობები, კითხვა-პასუხი, ტერმინოლოგია.

შემთხვევები

◆ **სახაზინო ფული.** 7 სექტ. იუსტიციის სახ. კომისარიატის ადგილკომების მდივანმა მილიციას განუცხადა, რომ მას ჯიბიდან ამოაცალეს 311 მ. სახაზინო ფული.

◆ **გზატკეცილების სამმართველოში** მოსამსახურე ნინა მირიანაშვილს მოპარეს რედიკული ფული და სხვადასხვა საბუთები.

◆ **ოქროს საათი.** 7 სექტ. გულიოვიის ქუჩა № 12 ლიდა პაპოვის ბინიდან მოიპარეს ოქროს საათი და სამაჯური.

◆ **თავისუფლების მოედანზე** კონსტანტინე მელიქოვს ჯიბიდან ამოაცალეს ოთხი მანეთი. ჯიბგირი მიხეილ ასლანიანცი შეიპყრეს. ნაპარავი ფული მას პირში აღმოაჩნდა დამალული.

◆ **„ზაკგოსტორგი"-ს** ექსპედიტორმა მოქ. კასუმ აბას-ოღლი-ბაირამოვმა მილიციას განუცხადა, რომ ტრამვაის ვაგონში ამოაცალეს 200 მ. სახაზინო ფული.

◆ **ბამბის რიგში** გლეხ შაბათა ზავლელაშვილისათვის ერთი ტომარა ფართლეულის მოპარვისათვის შეიპყრეს რუბენ შეპოვი.

◆ **ქურდი სტუმარი.** 7 სექტ. პიმენ მაცუკატოვის ბინა (გოჩნარის № 12) გაქურდა მასთან სტუმრათ მყოფმა ა. აშოტიანმა და მიიმალა.

◆ **დაკარგვა.** მოქ. ტატიანა მეტარჯიანცევმა მილიციას განუცხადა, რომ ერთი კვირის წინ სახლიდან გავიდა მისი ვაჟიშვილი (16 წლის) და დღემდე არ დაბრუნებულა.

◆ **სავაჭროს გაქურდვა.** 7 სექტ. მადათოვის კუნძულზე (№ 6) გაქურდეს სედრაკ ბდიანცის სავაჭრო. ქურდი მელქონ ტეტუჯანოვ შეიპყრეს ნაქურდალი ნივთებით.

◆ **დაჭრა.** 7 სექტ. მაგისტრალის ქუჩა № 27 თვითმკვლელობის მიზნით დაიჭრა პეტრე ანტონისძე წიკლაური, რომელიც გადაიგზავნა რკ. გზის საავადმყოფოში.

რკინისგზეზე

საწარმოო პროგრამა

1927-28 წლისათვის ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობას შემუშავებული აქვს საწარმოო პროგრამა. ამ პროგრამით 27-28 წელს გათვალისწინებულია: 72 სახალხო ვაგონის შეკეთება და 17 სრულიად უვარგისი ვაგონის აღდგენა. საშუალოდ შეკეთებულ იქნება 191 ვაგონი. წლის განმავლობაში შემოწმებულ იქნება 534 ვაგონი. საქონლის ვაგონების რემონტი გამოიხატება 5044 ერთეულში და იზოთერმიული ვაგონებისა—150-ში.

1927-28 წ. საწარმოო პროგრამა გაცილებით აღემატება წრევანდელს.

ჩქარი მატარებლები

1 ოქტომბრიდან რკ. გზებზე შემოღებული იქნება მატარებლების მიმოსვლის ახალი საზამთრო ცხრილი. ახალი ცხრილის მიხედვით ჩქარი მატარებლები თბილის-მოსკოვსა და თბილის ლენინგრადს შუა ივლიან კვირაში სამჯერ.

გაძლიერდა ტვირთების მიღება

უკანასკნელი დღეების განმავლობაში საგრძნობლად გაძლიერდა ჩრდილო-კავკასიის რკ. გზებიდან ტვირთების მიღება. ნაცვლად ჩვეულებრივი 250-275 ვაგონისა, ყოველ დღე-ღამის განმავლობაში იქიდან მოდის 300 ვაგონი ტვირთი.

მოვალეობის მსხვერპლი

ბაქოს მე-2 სადგურის მატარებლების შემდგენელმა **ილ. ბოჟინოვმა** სადგურში მოულოდნელად შეამჩნია ქარის მიერ გატაცებული ვაგონები, რომლებიც საშინელი სისწრაფით მოექანებოდენ.

ბოჟინოვმა განიზრახა თავიდან აეცილებია კატასტროფა და ამ მიზნით დაიწყო ქვების დება რელსებზე. გაქანებული ვაგონების შეჩერება ბოჟინოვმა ვერ შესძლო. ერთ-ერთმა ვაგონმა იგი შეითრია და გასრისა.

სასამართლო

ლ. ბურდულის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ ამხ. **ა. თენეიშვილის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **არგანიშვილის** და **ლალიაშვილის,** პროკურორ **კაკაბაძის** და მდივან **ტატიშვილის** მონაწილეობით გაარჩია სოფელ მლეთის (დუშეთის მაზრა) მცხოვრების **ლადო გაბოსძე ბურდულის საქმე.**

გ. წ. მლეთის მცხოვრებმა ალექსანდრე ბურდულმა მოჰკლა თავისი ბიძაშვილი **ნიკო ბურდული.**

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ალ. ბურდულს აღნიშნულ დანაშაულის ჩადენისათვის მიუსაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ამის შემდეგ ნ. ბურდულის მეზობლებმა გადასწყვიტეს შური ეძიათ ალექსანდრეს ნათესავებზე.

ამ მიზნით სამი კაცი თავს დაესხა ალექსანდრეს ბიძის **ივანე ბურდულის** ოჯახობას. მოინდომეს მისი აწიოკება და დარბევა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

შემდეგ კიდევ განაახლეს თავდასხმა, მაგრამ სახლში არავინ დაუხვდათ.

ფასანაურის მილიციის უფროსი გაემგზავრა თავდასხმის ადგილზე ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

როცა მილიციის უფროსი ოქმს ადგენდა, მასთან მივიდა ლადო ბურდული და უთხრა:

— თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია, ოქმის შედგენას თავი დაანებე.

შემდეგ კი მან დასაკითხავად გამოწვეულ ხალხს შესძახა:

— სოფლელებო, გამოიჩინეთ ხასიათის სიმტკიცე და არ გასცეთ დამნაშავეები.

ამგვარი მოქმედებით ბურდულმა მილიციის უფროს არ მისცა საშუალება ეწარმოებია კვლევა-ძიება.

ბურდული პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლომ ლ. ბურდულს მიუსაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის სოციალური მდგომარეობა და სასჯელი შეუცვალა პირობით და გამოსაცდელ ვადით დაუნიშნა 3 წელი.

ბიძაშვილის მკვლელი

სოფ. სალაჯურის (დუშეთის მაზრა) მცხოვრებნი **მათე** და **შიო კეკიშვილი** (მამა და შვილი) ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში იყვნენ.

ა. წ. 13 იანვარს, მამა და შვილი ერთად იყვნენ საეკლესიო დღესასწაულზე.

დღესასწაულზე შიო ნასვამი მივიდა. მან უწმაწური სიტყვებით შეამკო მამა და საცემად წაიწია.

მოხუც მათე კეკიშვილს გამოესარჩლა მეზობლები. ერთ-ერთმა მეზობელმა საყვედურით მიმართა შიოს:

— შენ უსინდისო! არა გცხვენია, რომ მოხუც მამას აგრე უხეშად ეპყრობი.

— ხმა გაკმინდე, თორემ სიცოცხლეს მოგისპობ,—მიუგო შიომ.

ამ ლაპარაკს ყური მოჰკრა შიოს ბიძაშვილმა **სიმონმა.** მან გალაძლა შიო და უთხრა:

— მე ამის შემდეგ შენთან ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირსო.

შიო გაბრაზდა და გადასწყვიტა სიმონის მოკვლა.

იმავე დღეს, ნაშუადღევს, სიმონი კეკიშვილი თავის სოფელში მიდიოდა. მისი სახლის მახლობლად ჩაუსაფრდა მას შიო და მოუთმენლად ელოდა თავის მსხვერპლს.

შიო ფეხ-აკრეფით მიეპარა თავის ბიძაშვილს და ზურგიდან ხანჯალი ჩასცა. კეკიშვილი წაიქცა. შიომ გადააგდო ის თხრილში და ესროლა მაზანა თოფიდან. კეკიშვილი იქვე გარდაიცვალა.

მკვლელმა მორთო ყვირილი:

— მიშველეთ... კაცი შემომაკვდა, რადგან მოკვლას მიპირებდაო.

შეცვივდენ გლეხები. ნახეს მკვდარი ს. კეკიშვილი, რომელსაც გულზე სისხლიანი ხანჯალი ედო.

მკვლელი დააპატიმრეს.

სასამართლომ შ. კეკიშვილს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

„ქურთ—თამარა" და „არაბუშა"

(პროცესი მეორე დღე)

გუშინ სხდომის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით.

ბრალდებულები ისე სხედან, თითქოს ერთი ოჯახი შეკრებილაო. მეგობრულად უღიმიან ერთმანეთს, განუწყვეტლივ ჩურჩულებენ.

საბრალმდებლო ოქმის კითხვას ყველა ბრალდებულები უდიდესი ყურადღებით უგდებენ ყურს.

ნინუა თავს სცნობს დამნაშავედ.

„ქურთ-თამარა" და ნიჟარაძე თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

სასამართლო იწყებს ბრალდებულთა დაკითხვას.

პირველად დაჰკითხეს **ნინუას.** ის დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ პირობებში მოჰკლა მან როსტომ —გიორგი ქათამაძე, მეტ სახელად „არაბუშა".

ბრალდებული აცხადებს, რომ ქათამაძე გადამტერა მას და ერთხელ კიდეც დასჭრა იგი. ამის შემდეგ მათ შორის გამწვავდა დამოკიდებულება. მკვლელობის დღეს ბრალდებული თითქო შეუძლოთ იყო. ქათამაძე მივიდა ვაგონში, სადაც ნინუას ეძინა და გამოაღვიძა იგი. მას ხელში ბებუთი ეჭირა. ნინუას ეგონა, რომ ქათამაძე მომკლავსო. ეცა მას, წაართვა დანა და ჯერ ყელი გამოსჭრა და შემდეგ მუცელი გამოაღადრა.

ჩვენებას ნინუა იძლევა ისე თითქოს დაზეპირებულ გაკვეთილს ამბობდეს.

ცდილობს დანარჩენ ბრალდებულთა დანაშაულის შემსუბუქებას და მკვლელობას თავისთავზე ღებულობს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ეწეოდა, თუ არა წინედ ქურდობას—ბრალდებული აცხადებს, რომ მას აქვს ქურდობის მხოლოდ (!) სამი რეგისტრაცია.

„ქურთ-თამარა" ჩვენების მიცემის დროს ნერვიულობს. მისი დაკითხვა ორ საათს გაგრძელდა.

„ქურთ-თამარა" აღნიშნავს, რომ 10 წელიწადია, რაც ხელმძღვანელობს თბილისში ქურდთა და ჯიბგირთა ორგანიზაციას. მას ჰყავდა აგრეთვე როსკიპ ქალთა ჯგუფი და თვითონაც ეწეოდა მეძაობას.

„ქურთ-თამარა" არ ცდილობს თავისი ნამოღვაწარის დაფარვას, თითქო თავსაც კი იწონებს და დამსახურებათ თვლის ქურდობის და ჯიბგირობის 46 რეგისტრაციას.

სიცილით ხვდება აუდიტორია „ქურთ-თამარა"-ს „კატეგორიულ" განცხადებას, რომ მოკლულ ქათამაძესთან მას ჰქონდა და-ძმური განწყობილება და არ მიუღია მონაწილეობა მის მოკვლაში.

ბრალდებული **ნიჟარაძე** აცხადებს, რომ მას არ მიუღია მონაწილეობა ქათამაძის მოკვლაში.

— ამხანაგო მოსამართლენო! სიკვდილი მირჩევნია მე, ამ საბრალმდებლო სკამზე ჯდომას, —ტირით აცხადებს ნიჟარაძე. ამის შემდეგ მას ისტერიკა მოუვიდა.

სასამართლოს სხდომა შეწყდა.

დღეს დაიწყება მოწმეების დაკითხვა.

თ.

მხეცი დედა

ეს ამბავი ასე დაიწყო. სოფ. არახვეთის მცხოვრებს (დუშეთის მაზრა) **სოფიო ბურდულს** (29 წლისა) 4 წლის წინად მოუკვდა ქმარი.

ბურდულის ქალი ძლიერ მოსწონდა იმავე სოფლის მცხოვრებ **ნიკო ბურდულს** (27 წლისა)

ერთ დღეს ბურდულმა გაიცნო სოფიო. შემდეგ ხშირად დაიარებოდა მის ბინაზე და უწევდა მას დახმარებას.

დაახლოვებას მოჰყვა გამიჯნურება ისე, რომ ნიკოს დაავიწყდა თავისი ცოლ-შვილი.

ნიკომ წინადადება მისცა ქალს ეცხოვრა მასთან მცირე ხნის ყოყმანის შემდეგ სოფიო დასთანხმდა.

გავიდა ხანი. სოფიო ფეხმძიმედ შეიქნა. ამის შემდეგ მან მუქარის კილოთი უთხრა ნიკოს:

— არ გსურდა მაჩში გატარება, მაგრამ მე უკვე ფეხმძიმეთ ვარ. ბავშვის დაბადების შემდეგ შენ ოფიციალურად ჩემი ქმარი იქნებიო.

რას ამბობ სოფიო, ხომ არ გაგიჟებულხარ, —შესძახა მას ნიკომ, — ხომ იცი, რომ მე ცოლიანი ვარ.

— ეგ არაფერია, მაშინ შენ ცოლს უნდა გაეყარო და თუ არა, ბავშვით წამოვალ საცხოვრებლად შენ ბინაზე, — მიუგო სოფიომ.

აეწვა ზურგი ნიკოს. მაგრამ მან ჩქარა მონახა „გამოსავალი"

ერთ დღეს ნიკო მიდის სოფიოსთან და ეუბნება:

— ჩემი ცოლი თანახმა, რომ შენ გადმოხვიდე ჩემს ბინაზე, მაგრამ ნერვიულია და ბავშვი მას შეაწუხებსო.

ნიკომ ურჩია სოფიოს გაეკეთებია აბორტი.

სოფიო დაეთანხმა მას. დალია ბალახების ძირიდან გამზადებული წამალი, მაგრამ ბავშვი მაინც ცოცხალი იშვა.

ამის შემდეგ ნიკოს რჩევით ბურდულის ქალმა თავის შვილს არაყი ჩაუსხა პირში და მოჰკლა იგი. ყველაფერი ეს ისე მოხდა, რომ მეზობლებმა არაფერი გაიგეს. უკანასკნელნი გაკვირვებულნი იყვნენ, რომ სოფიოს აღარ ემჩნეოდა ორსულობა.

ერთ - ერთი მეზობელი ქალის შეკითხვაზე სოფიო გამოტყდა ბავშვის მოკვლაში. ეს ამბავი აცნობეს მილიციას. სოფიო და ნიკო დააპატიმრეს.

მათი საქმე ამ დღეებში გაირჩა ფასანაურში აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიის მიერ.

თავმჯდომარეობდა **ა. თენეიშვილი,** სახალხო მსაჯულები: **არგანაშვილი** და **ლალიაშვილი,** ბრალს სდებდა პროკურორის თანაშემწე **კაკაბაძე,** მდივნობდა **შ. ტატიშვილი.**

სასამართლომ სოფიო და ნიკო ბურდულს **მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა თვითეულს, სასტიკი იზოლიაციით, მაგრამ მხედველობაში მიიღო მათი სოციალური მდგომარეობა და სასჯელი გაუნახევრა.**

გასამართლებას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

თ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 9 სექტემბერს, შრომის ბირჟა სამუშაოზე იწვევს, შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ანდრო ტომიაშვილი; **გონებრივ მუშაკთა მე-2-რე სექცია:** ამირაღოვი ნიკოლოზ, ტრუევცკი კოზმა, გავდაბეგოვ ვართან; **ახალგაზრდათა მე-2-რე სექცია:** ათიანცი შუშანიკ, გორონჩევა ვალენტინ, ვენდიტ სტეფანე, ბაღდასაროვა ანა, პაკონცევა მარიამ, მიხაილოვა ალექსანდრა, რაცკოვა ლიდა, პარტნოვა დ., შადევსკაია კლავდია, პავლოვა ნადია, დურიევი სერგო, ივანოვა ევგენია, პოროშინი ნადია, ანასტასია სიკალოვა, ოლღა გუბნოვა, სატაროვა ზინაიდა, ტაიძე თამარა, პატრისოვა ლუბა, მაკატლოვა ანა, იუშინა ნინა, ოგანეზოვა ნინა, ანდრეევა ვერა, ეოვაკინა ტ., კუკოვსკი მ., პიკედოვა ა., აკიევა ანა, ფუკს რიმა, ივანოვა ალექსანდრა, მ. სავიჩევსკაია, სუხანოვა მარია; **მშენებელთა მუშაკთა მე-5-თე სექცია:** ავაქოვ მ., შარინიანც აკოფ., ადუაშვილი ალექ., ბაგრამინ უშანგი, ფარნიევ მელიქ. ა. ხალატიანი, აივაზოვ ოგანეს, ბეუროვ ვართან, ხალატიან არუთინ, პაიმევ ავეტიკ, ვაზარიან ისაკ, ისახაროვ ავეტის, გეურქოვ ვართან; **რკინისგზელთა მე-7-დე სექცია:** ხვედელიძე შალვა, დემიტრაშვილი სპირიდონ, გოგვაძე ილია, იაკოვლევი კიმოთე, მაღრაძე კონსტანტინე, ნინოშვილი ლევან, მოდებაძე ამირ, დევევი სიმონ, ვაზრევი ოლღა; კაზიევი მახარან, ტერ-გრიგორიევი ნესტორ, ჯავლიაშვილი სიმონ, არტემოვი ნიკოლოზ, დიოხიკიანც არუთინ, მოწონელიძე ონოფორე, საძაგლიშვილი ლევან, გველტაშვილი გიორგი.

„მეცნიერება და ტეხნიკა

ბენზინი წყლიდან

გამოყენებითი ქიმიის საკავშირო ინსტიტუტში (მოსკოვში) აღმოაჩინეს წყლიდან ბენზინის მიღების წესი.

წყალს ათბობენ. წარმოშობილ ორთქლს ატარებენ გაკარვარებულ (1.000 გრადუსამდე) ნახშირში. წყლის გაზი გაივლის კობალტზე (კობალტი—ლითონია) 270 გრად. ტემპერატურაში, შემდეგ გაზს ატარებენ მთელ რიგ მაცივარებში, სადაც იგი იქცევა ბენზინის მსგავს პროდუქტებათ, უმთავრესად ბენზინათ.

ერთ კუბიკურ მეტრ წყლის ორთქლიდან ღებულობენ 100 გრამ ბენზინს. ამ წესით მიღებული ბენზინი, თავისი თვისებებით, სავსებით წააგავს ნავთიდან მიღებულს და გამოსადეგია, როგორც საწვავი მასალა (შემდგომ გადამუშავების გარეშე) შინაგანი წვის მამოძრავებლებისათვის—საავტომობილო და აეროპლანების მოტორებისათვის და სხვ.

ენერგია ნაგვიდან

მოსკოვის კომუნალურმა მეურნეობამ მოაწყო ნაგვის გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. ნაგავი განსაკუთრებულ სადგურზე ასრულებს საწვავი მასალის როლს ორთქლის ქვაბების გასათბობათ, ორთქლის მანქანის ენერგია დინამოს საშუალებით იქცევა ელექტრონის ენერგიათ, რომლითაც სარგებლობენ თვით სადგურის გასანათებლად, ყველა სამუშაოთა მექანიზაციისათვის და ენერ. მოსაწოდებლად ელექტრო-მობილებისათვის, რომლიბსაც ნაგავი მიაქვთ ქალაქიდან. იგივე ენერგია გამოყენებული იქნება კომუნალურ საუთოვებელში და აგურის ქარხანაში, რომელთა მოწყობა განზრახული აქვს მოსკოვის კომუნალურ მეურნეობას.

სადგურში ყოველ დღე სწვავენ 10.000 ფ. ნაგავს.

ყველა ოპერაციები—ნაგვის გადატანა, ჩაყრა ფეჩებში და დაწვა—სწარმოებს დახურულ შენობებში ისე, რომ მუშები დაცული არიან მტვერისაგან.

ელექტრონის შერლოკ-ხოლმსი

ამ რამოდენიმე ხნის წინათ საჯაროთ გამოსცადეს ერთი მეტად საინტერესო გამოგონება, რომელიც მოწოდებულია დიდი როლი ითამაშოს გულის მოქმედების შესწავლაში და აგრეთვე ბოროტმოქმედთა აღმოჩენის საქმეში. ახალი მოწყობილობა შესდგება ელექტრონის სტეტოსკოპიდან, რომელიც აღნიშნავს ყოველგვარ ცვლილებას გულის ცემაში. მეორე აპარატი—არკვევს რყევას ხელის გულის ოფლის ჯირკვლების მოქმედებაში.

ნიუ-იორკში მოახდინეს ასეთი ცდა: ერთი საათის განმავლობაში მოაწყვეს „ქურდობა" და გამოააშკარავეს „დამნაშავენი". ამ საცდელი ქურდობის სამივე მონაწილე შემდეგ დაკითხულ იქნა. ნამდვილმა „დამნაშავემ" თავი გასცა იმით, რომ როგორც კი ახსენეს სიტყვა „პოლიციელი" აპარატმა აღნიშნა მისი გულისცემის გაძლიერება. ამ აპარატის საშუალებით შორმანძილზე მყოფ ექიმსაც შეუძლია აღნიშნოს ცვლილებები პაციენტის გულის ცემაში.

სახლების შრობა

გერმანიაში გავრცელება ჰპოვა ახალი სახლების მექანიკური წესით გამოშრობამ. ახალ სახლში სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით აგროვებენ მშრალ გახურებულ ჰაერს, რამოდენიმე საათის შემდეგ სახლი უკვე გამოსადეგია საცხოვრებლად. შრობის ეს მექანიკური წესი დროის უდიდეს ეკონომიას იძლევა რკინა ბეტონიდან აგებულ სახლებში, რომელნიც, ჩვეულებრივ პირობებში, დიდ დროს მოითხოვენ გამოსაშრობად.

ზღვის დონე

ზუსტმა მეცნიერებამ დაარღვია კიდევ ერთი გავრცელებული შეხედულება, თითქო წყლის დონე ზღვებში ერთნაირია დედამიწის ყველა კუთხეებში. ამერიკულ გეოდეზისტის **ავერსის** ცდებმა დაამტკიცეს, რომ საერთოდ შეუძლებელია ლაპარაკი „ზღვის დონეზე". ავერსმა მოახდინა გამოკვლევა შეერთებული შტატების სანაპიროების გასწვრივ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზღვის დონე გეოგრაფიული განივის მიხედვით მერყეობს 30 და მეტი სანტიმეტრის ფარგლებში. ავერსის გამოკვლევებით ოკეანეს ზედაპირი წარმოადგენს ოდნავ დაქანებულ კონუსს რომლის ზედაპირი მდებარეობს ეკვატორზე. ზღვის დონეს სხვადასხვა ნაირობა აიხსნება აგრეთვე მიმზიდველობის ძალის სხვაობით დედამიწის ცალკე კუთხეებში.

ნარევი

„მომჭირნეობის რეჟიმი" საიუველირო მრეწველობაში

ერთმა ამერიკელმა საიუველირო ფირმამ თავის ხელოსნებისათვის შემოიღო ხელის სავალდებულო დაბანა მუშაობის დასრულების შემდეგ, ხელის ნაბან წყალს აგროვებენ და მასში პოულობენ ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ნაწილაკებს. მომჭირნეობა ამ წესის შემოღებით ფირმას აძლევს 6.000 მან. წლიურათ.

360 ვერსი უწყლოთ

წყლისა და საწვავი მასალის მარაგს თანამედროვე მძლავრ ორთქლმავლებზე ახასიათებს შემდეგი საინტერესო მაგალითი. რკინის გზის ხაზზე—ლონდონი — კარნფორტი შემოღებული სწრაფი მატარებელი, რომელიც 360 ვერსს გადის ისე, რომ არსად ჩერდება. ორთქლმავალი მთელი ამ მანძილის გავლის დროს არ ავსებს თავის არც წყლისა და არც საწვავი მასალის მარაგს.

ცოცხალი ნიშნები

ნიშნებს მფრინავ აეროპლანებს ჩვეულებრივ აძლევენ ფერად ტილოების დიდი ნაჭრების საშუალებით, ტილოს ამ ნაჭრებს მიწაზე აგებენ განსაკუთრებული წესის მიხედვით ისე, რომ მიღებულ იქნეს პირობითი ნიშნები, რომელთა წაკითხვას მფრინავი შესძლებს დიდ სიმაღლიდან. მაგრამ საომარ პირობებში ასეთი ტილოს ნაჭრები ყოველთვის იქნება არ დარჩეს ჯარის ნაწილების განკარგულებაში. ასეთ შემთხვევებისათვის ამერიკულ არმიაში შემოღებულია სიგნალიზაციის შემდეგი ხერხი: ნიშნებს ჰქმნიან ჯარისკაცები, რომლებიც მიწაზე წვებიან განსაკუთრებული წესით. ნიშნების უფრო უკეთ სად გასარჩევად, ჯარისკაცები ხსნიან ზურგზე მიმაგრებულ ჩანთებს, რომლებიც შიგნიდან თეთრად და ყვითლად არის შეღებილი. ასეთი სიგნალიზაციის ცდების დროს მფრინავებმა 1500 მეტრის მანძილიდან წაიკითხავს ცოცხალი „ნიშნები".

იურიდიული დახმარება

მიწის იჯარით გაცემის შესახებ

კითხვა

გთხოვთ გვიპასუხოთ, ვის აქვს უფლება გასცეს მიწა იჯარით?

სოფ. კარდანახის (სიღნაღის მაზრა) მცხ. გიორგი ყაზახიშვილი.

პასუხი

მიწის იჯარით გაცემის უფლება აქვთ მხოლოდ ისეთ პირთ, ვინც აღნიშნულია მიწის კოდექსის მუხ. № 26 და 27-ში და ისიც სამაზრო და საადგილმამულო ორგანოთა ნებართვით, რომელსაც გირჩევთ თქვენც მიმართოთ სათანადო განცხადებით. საერთოდ კი უნდა იცოდეთ, რომ მიწას იჯარით გასცემს მხოლოდ, უმწეო, უინვენტარო მეურნეობა, რომელსაც დამხმარე ხელი სიკვდილისა ან და სხვა მიზეზების გამო არ გააჩნია.

უმუშევრობის გამო დახმარების შესახებ

კითხვა

მე ვმსახურობდი ქუთაისის გამსახლში 1921 წლიდან. ა. წ. 20 თებერვლიდან შტატის შემცირების გამო მომხსნეს სამსახურიდან და როგორც უმუშევარი დაზღვეული გადამრიცხეს დამზღვევ სალაროს კმაყოფაზე, რომელიც ყოველთვიურად მაძლევდა დახმარებას ათი მანეთის რაოდენობით, ამ უკანასკნელ ხანებში ვიშოვე დღიური სამუშაოები, საიდანაც ვიღებ სათანადო ხელფასს, დამზღვევმა სალარომ კი ამ უკანასკნელი მიზეზის გამო მომიხსნა ათი მ.

კანონიერია თუ არა დამზღვევ კასის მომქმედება ჩვენ მიმართ, რომელიც დღემდე ვითვლებოდი შტატის გარეშე მომუშავედ.

გიორგი ზაზტაძე.

პასუხი

დამზღვევ სალაროს მოქმედება სრულიად კანონიერია. იგი აძლევს დახმარებას მხოლოდ ისეთ დაზღვეულ უმუშევრებს, რომელთაც არ გააჩნიათ არსებობის სხვა წყარო, გარდა იმ დახმარებისა, რომელიც მათ ეძლევათ დამზღვევ სალაროდან. თქვენ კი, ამხანაგო გაქვთ დღიური სამუშაო, საიდანაც იღებთ გასამრჯელოს, ამიტომ დამზღვევი სალარო არ არის ვალდებული ასეთი დახმარება მოგცეს თქვენ და არც იქნება სამართლიანი, რომ თქვენ ორი წყაროდან იღებდეთ დახმარებას და სხვა დაზღვეული კი ერთსაც მოკლებული იყოს (დამზღვევ სალაროში სათანადო თანხის უქონლობის გამო)

ალექსანდრე ამბრულაძეს

პასუხი

უმწეო და ძალზე ღარიბ პირებს, რომელნიც ამის შესახებ წარუდგენენ ნოტარიუსს სიღარიბის მოწმობას, სათანადო აღმასკომის ადმინგანიდან, ნოტარიუსი ვალდებულია დაუმოწმოს საბუთების ასლები უსასყიდლოდ. გირჩევთ ნოტარიუსს წარუდგინოთ სიღარიბის მოწმობა და დაამოწმებინოთ შასვე უნივერსიტეტში შესატან საბუთების ასლები.

კავშირის წევრს (წიგნ. № 3556)

პასუხი

კავშირის საწევრო გადასახადი უნდა შეიტანოთ იქ, სადაც თქვენ მუდმივად მუშაობთ. თუ თქვენ მაზრაში მუშაობთ, საკავშირო ანარიცხები მაზრის ფარგალში, სათანადო პროფკავშირში უნდა შეიტანოთ. ანარიცხების შეტანა უნდა ხდებოდეს პირადათ თვით წევრის მიერ, მისი კავშირთან დაახლოვების მიზნით.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებისათვის 17¹ და 17² მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულებას, რომელი დებულება დამტკიცებულია საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამა 1927 წლის მარტის 30-ს (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. კან. კრებ. 1927 წ. № 3, მუხ. 58),— დაემატოს 17¹ და 17² მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 17¹. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებობს გეოდეზიური კომისია, რომლის თავმჯდომარესაც დანიშნავს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი. კომისია შესდგება სამრეწველო - საალმშენებლო და სასოფლო - სამეურნეო სექციების წარმომადგენლებისაგან.

შენიშვნა: გეოდეზიურ კომისიას თავისი აპარატი არა ჰყავს და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის აპარატს გამოიყენებს".

„მუხ. 17².—გეოდეზიური კომისიის მიზანს შეადგენს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამეურნეო აღმშენებლობის მოთხოვნილებების განვითარებასთან დაკავშირებით, გამოარკვიოს ასტრონომიულ - გეოდეზიურ, ტოპოგრაფიულ და კარტოგრაფიულ სამუშაოთა წარმოების ფარგლები და თანამიმდევრობა. ამის გამო გეოდეზიურ კომისიას დაეკისრება:

ა) შეათანხმოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ყველა უწყებისა და დაწესებულების, — გარდა სამხედრო დაწესებულებებისა, — წარმოებითი გეგმები ზემოჩამოთვლილ სამუშაოთა დარგში;

ბ) შეადგინოს ასტრონომიულ - გეოდეზიურ, კარტოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ სამუშაოთა რესპუბლიკანური გეგმები;

გ) განსაზღვროს, თუ რა თანდათანობით უნდა იქნეს წარმოებული ადგილების გადაღება და რუკების შედგენა;

დ) შეადგინოს შეთანხმებული ჯამლი ზემოაღნიშნული სამუშაოების მწარმოებელ უწყებათა და დაწესებულებათაგან მიღებული მასალების მიხედვით, რათა იგი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის მეშვეობით, წარედგინოს ს. ს. რკ-ის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ გეოდეზიურ კომიტეტს დადგენილი წესისამებრ:

ე) მისცეს ხოლმე დასკვნა სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმს სათანადო საუწყებო გეგმების და ანგარიშების შესახებ".

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ლ. ქართველიშვილი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დრ. აღმასრულებელი
გ. ფალავა.

ტფილისი—სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 2.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 13 სექტემბერს დილის ათ საათისათვის, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილებაში (ოთახი 49):

შეფტელი (სახელმწიფო პოლიტ-სამმართველო) ჩერქეზიშვილი (საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკა) გოგლიძე (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტ-სამმართველო) ერშოვი (სახელმწიფო პოლიტსამმართველო) და ჯაფარიძე (საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკა)

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, ცხრა სექტემბერს, დილის ათ საათზე საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილებაში. ბ. ვართანოვი (ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარი სახელოსნო), ასლამაზოვი (ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს რონოდების (ცეხი) ზაზტაძე (ამიერ-კავკასიის რკინის გზების მთავარ სახელოსნოს კოლექტ.) ბლექსეევი (ამიერ კავკასიის რკინის გზების სამმართველო), ვლ. ბარამიძე (მოძრაობის დარგი) ხუბოვა, შტეპე (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტ-სამმართველო) და ლიტვაკი (ამიერ-კავკასიის სახ. პოლიტ-სამმართველო).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილებაში, (ოთახი № 49) 11 სექტემბერს დილის 12 საათისათვის. ნამერზელი (კავკ. წითელ დროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველო) იაროსლავსკი (ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარ.) ლეჟავა (განათლების სახ. კომისარ.) ცორევსკი (მუშკოოპი) მაშავარიანი (სახკინმრეწვი) პრეობრაჟენსკი (ლითონ-ტრესტი) ინჩაგოვი („ზაკავტოპრომტორგი") კლევცოვი (თბილისის ფეხოსანთა სკოლა). პრიდონოვი თამბაქოს ტრესტი), ჩიხლაძე (საბმედვაჭრობა).

საქართველოს კ. პ. (ბ) ლენრაიკომი სთხოვს ამხ. გრიგოლ კვიცარიძეს (ლენრაიონის განათლების მუშაკთა კავშირის მე-24 უჯრედის წევრს) სამი დღის ვადაში გამოცხადდეს რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილება სთხოვს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ 12 სექტემბერს, დილის ათ საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საინფორმაციო განყოფილებაში (ოთახი № 49): მოსესოვი (ტყავტრესტი) შახნაზაროვი (საპნის ტრესტი) ოგანიანი (ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი) და პუდიკოვი (სახელმწიფო საავადმყოფო № 1).

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ პარასკევს, ცხრა სექტემბერს, საღამოს ექვს საათზე, საბჭოთა სავაჭრო მოსამსახურეების კლუბის შენობაში (კიროვის ქუჩა—ელბაქიძის ხიდთან) შესდგება ჯგუფური კრება შემდეგი უჯრედების მონაწილეობით: განათლების სახალხო კომისარიატის, მილიციის, საქართველოს ფინსახკომის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის, საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, თბილისის აღმასკომის, სოფლის კავშირის, სახალხო კვების, ქალაქის ბანკის, ფოსტის; მასწავლებელთა; მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მუშფაკის, თბილისის აღმასკომის პირველი სტამბის და პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის. დღის წესრიგში: ამხ. **კახიანის** მოხსენება **საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებულ პლენუმის შედეგების შესახებ.**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. მელიტონ თაყაიშვილს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში.

თბილისში არ ყოფნის შემთხვევაში ვთხოვთ ზემოაღნიშნულ ამხანაგს შეგვატყობინოს მისი მისამართი.

შვილები: ანა, თამარი, მარო, ვერა, ნიკოლოზი და ვლადიმერი, რძლები: ქეთო და ანნა, შვილისშვილები: ნინა და ვარა, ნადია, მარო და შურა, ეთერი, ქეთო და ოთარი, ჟუჟიკო და გივი, სიძეები: გიორგი კვიჟინაძე, პორფირი წირქვაძე და რომან გულისაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

პეტრე დავითის ძე ნარიმანიშვილი

რომლის დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 119 ნაშუადღევის 4 ნახ. საათ. 3785

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

ახალი სურათი კონ. ვეიდტისა და ემილ იანინგსის ჩონაწ.

ЖЕНЩИНА ГОСТИННЫХ

ანონსი: ამ დღეებში „სისხლიანი კვირა" (9 იანვარი)

კორინა გრიფიტი და კონვეი ტირლი
მხატვრულ შედევრში
„წარსული და მომავალი"
სურათი არაჩვეულებრივი წარმატებით მიდიოდა ლენინგრადში და მოსკოვში

მონოპოლიურათ ჩვენს ეკრანზე, მხატვრული შედევრი
ნ. ლესკოვის მოთხრობის მიხედვით
„კატერინა იზმაილოვა"
მთავარ როლში ე. ეგოროვა
ვინც შეიძენს კინოში შესასვ. ბილეთს ბაღში შესასვ. ფას არ იხდის

0—8 ნ. 1388

„კომუნისტი"
გაზეთზე ხელის მოწერა
— და —
განცხადებების მიღება
სწარმოებს
მთავარ კანტორაში
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი 8—81.

თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობა აცხადებს, რომ თანახმად თბილისის საბჭოს პლენუმის ა. წ. 5 სექტემბრის დადგენილებისა, 1927 წ. 1 ოქტომბრიდან
შემოღებულია გადასახადი
საკანალიზაციო ქსელით სარგებლობისათვის
წყალისთვის გადასახადი თანხის ¹/₃ რაოდენობით. საკანალიზაციო გადასახადი აკრეფილი იქნება წყალის გადასახადთან ერთად.
კომუნალური განყ. გამგის მოადგილე სიხარულიძე
ნ. 1625. კოლეგიის მდივანი მუჩაიძე.

ს. ს. მ. უ. ს. თამბაქოს ტრესტი
ამით აცხადებს მწეველთა საყურადღებოდ, რომ ა | წ. 1-ლ სექტემბრიდან, მის მიერ
დაკლებულია ფასები
შემდეგ პაპიროსებზე:

		ახალი ფასი	ძველი ფასი
„შოთა"	25 ც.	27 კაპ.	40 კაპ.
„ლიუბიტელსკი"	25 ც.	21 „	27 „
„ჩერვონეცი"	25 ც.	21 „	27 „
„იუნკერსი"	25 ც.	21 „	27 „
„ბიჭო".	20 ც.	9 „	11 „
„სპარტაკი"	20 ც.	6¹/₂ „	9 „
„ხათაბალა"	20 ც.	6¹/₂ „	9 „
„ტრიო".	20 ც.	6¹/₂ „	9 „
„მახტიორი"	20 ც.	6¹/₂ „	9 „

კუპაჟი და გემოვნების ხარისხი უცვლელია
მოითხოვეთ ყველგან
ნ. 1624. საქ. თამბაქოს ტრესტი.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 13 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 ს. სახლში № 119 კლარა ცეტკინის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე ალიბეგოვის მოძრავ ქონებას: ავტო მანქანას ექვს ადგილიანს, ოთხ ცილინდრიანს, 12 ძალიანს, ფირმა „სამბი" შეფასებულს 2000 მანეთად, მოქ. ქსენია სადჩენკოს და დიმიტრი ეფრემოვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 8 და 13 აგვისტოს 1927 წ. თარიღით, № 3028—3056 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან.
ნ. 1626

ქ. თბილისის შრომის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 14 სექტემბერს 1927 წ. დღის 2 ს. სახლში № 52 ალექსანდროვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის არამ მარაჯიანცის მოძრავ ქონებას: ბრონზის გედებს, სკამებს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს შეფასებულს 397 მანეთად „ზაკპოგრუზი"-ს და „ზაკავტოპრომტორგი"-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ბათომის უზენაეს სასამართლოსაგან 25 ოქტ., 3 სექტ. 1926 წ. თარიღით № 4591—3908 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვაჭრობა დაიწყება შემოძლეულ ფასიდან.
ნ. 1627

ი. იმედაშვილის
უცხო სიტყვათა ლექსიკონი
რომელიც გამოდის პროფ. ახვლედიანის რედაქციით
აუცილებლად დაეგზავნება ხელის მომწერლებს (ვისაც სრულად აქვთ ფული შემოტანილი) ნოემბერში.
ნ. 1628. ს. თავართქილაძე.

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულ. **გ. ბაღდასაროვი**

ამით აცხადებს, რომ ის 12 სექტემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 71 რიყის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნიკოლოზ პატარქლიშვილის მოძრავ ქონებას: არღანი, სკამები და ღვინო შეფასებულს 154 მანეთად, ალექსანდრე მოქუხინის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოსაგან 2 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 1029 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
3793

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სასამართ. აღმასრულებელი
ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 12 სექტემბერს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 5 ნახშირის ქუჩაზე მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე ნოზაძის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 190 მანეთად, იან-იახს-კუანის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 10 მარტს 1927 წ. თარიღით, № 807 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
3795

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 24 სექტემბერს 1927 წელსა დღის 11 ს. ადგილობრივ ქ. ქუთაისში პროფ. მარის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება დავით ბიჭიას-ძე ნიქაბაძის ქვიტკირის სახლი, რომელიც შეიცავს სამ საცხოვრებელ ოთახს, დარაბას და პადვალს დახურული კრამიტით, აგებულ ნაკვეთ მიწაზე ზომით 200 კვად. საჟენი პიმენ ლევიძის ვალის დასაკმაყოფილებლად სახლი დაფასებულია 550 მანეთ. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10 პროც.
ნ. 1629

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში.
ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე.
კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ) № 7. ტელ. 14—56. 13-1

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს.
პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის)
3645—18—1

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი
მიღება დილის 8—10
ორჯონიკიძის (ყ. ანდრეევის) ქ., № 74

ექიმი მეგრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ძლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ.. 13—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ზახარი პარისტაევის **სახელზე, ჩ. გ.**
3740

დაკარგე დიდუბე - ნაძალადევის მაჩის მიერ მოცემული დაბადების სარეგისტრაციო ფურცელი № 1718 ამირიდონ ბურჭულაძის სახელზე. ჩ. გ.
3784

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ ლური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლ. 13 მარტის **დადგენილებისა № 12**

ადმინისტრატიული განყოფილები მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. პლატონ ივანესძე ნავალოვმა შემოიტანა განცხადება, მის სახელის პლატონის ახალ სახელი ბიქტორიზე შეცვლის შესახებ.

საერთო საადმ. ქ | განყ. უფროსი კილურაძე
მმაჩის ბიუროს გამგე ევტიხი ჩახუნაშვილი
3783

დაკარგე სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა ალექსანდრე მახსულიას **სახელზე, ჩ. გ.** 3792

დაკარგე თბილისის საბჭოს წევრობის წიგნაკი № 722 ნიკოლოზ ღლონტის **სახელზე, ჩ. გ.** 3787

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი ნადია მირიანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3794

დაკარგე საბჭ. და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 26448 იაგორ გიორგისძე ალიბეგაშვილის **სახელზე, ჩ. გ.** 3790

დაკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 8636 გაცემული მიწა-ტყის კავშირის სამგანყოფილებიდან გ. გარეგინიძეს **სახელზე, ჩ. გ.** 9797

დაკარგე პროფკავშირის წევრობის წიგნაკი № 5178 ივანე პავლესძე გოცაძეს **სახელზე, ჩ. გ.** 3788

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 14693 და საფოსტო განყოფილებიდან მიღებული მოწმობა კორესპონდენციების უფა ოდ გადაგზავნისა, და სხვა საბუთები ალფესი კლდიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1629

დაკარგე საწევრო წიგნაკი № 226 გაცემულ ქუთაისის ხის დამამუშავებელ პროფ. კავშირიდან პავლე ანტონისძე გიორგაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1629